ალ. ბურთიკაშვილი

გიორგი ალადელი-იმხნელი

ჟანრი: ისტორიული

« ხელოვნება »
1954

წინასიტყვაობა

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში თეატრალური საზოგადოების მორიგი საღამოა.

უფრო ხანდაზმულთ მოუყრიათ თავი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ახალგაზრდობისათვის თითქმის უცნობია სახელი იმ ადამიანისა, რომლის ხსოვნასაც ეძღვნა 1952 წლის 15 სექტემბრის საღამო. პრეზიდიუმის მაგიდასთან მხცოვანი ხელოვანნი სხედან.

გათავდა მოხსენება და დაიწყო მოგონებანი. 34 წლის წინათ უდროოდ დაღუპული მსახიობის ერთ-ერთ მეგობარს ეძლევა სიტყვა. გაისმა გამოჩენილი მსახიობი ქალის გულში ჩამწვდომი ხმა და დარბაზი გაინაბა: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნუცა ჩხეიძე იგონებს საყვარელ ადამიანს, უნიჭიერეს მსახიობს, მოგვითხრობს მის უკუღმართ ბედზე და მწუხარებამ მოიცვა ყველა. განწყობილება უფრო ღრმავდება, როცა წარმოიდგენთ, თუ რა დიდი შესაძლებლობის ადამიანი დაჰკარგა უდროოდ ქართულმა თეატრმა. მას ხომ არ მიეცა საშუალება თავისუფლად გაეშალა თავისი ძლიერი ფრთები და ენავარდნა სცენაზე. მეფის რეჟიმს არა ერთი და ორი ადამიანი უმსხვერპლია. მათ რიცხვში იყო ისიც, რომელსაც იგონებდნენ პატარა დარბაზის მსმენელები.

დასრულდა სხდომა. თავმჯდომარე აუწყებს დამსწრეთ — შევეცდებით უახლოეს ხანში გამოვაქვეყნოთ ამ დავიწყებული შემოქმედის განვლილი გზის ამსახველი ნარკვევიო. ამ გარემოებამ ამაღებინა ხელში კალამი და განვიზრახე გავაცნო ჩვენს ახალგაზრდობას მსახიობი გიორგი არადელი-იშხნელი.

ავტორი



თ ა ვ ი I

ბავშვობა და ყრმობა

ძველად ყველა სოფელს თითო კუდიანი დედაკაცი მაინც ჰყავდა და ამას არც ქართლის კოპწია არადეთი იყო მოკლებული. რა არ იცოდა ამ დედაბერმა — შეშინებულის შელოცვა, მისნობა, თიაქრის წამალი, ავზნიანის მორჩენა და ვინ იცის კიდევ რა.

დიდსა და პატარას სჯეროდა ამ ადამიანის სასწაულთმოქმედება. სოფლის მხოლოდ თითო-ოროლა მწიგნობარს ღიმილს გვრიდა ამ დედაბრის მისნობის ამბავი. მაგრამ ქადაგად დაცემულ დედაკაცებს ვინ აუხირდებოდა და წინააღმდეგში ვინ დაარწმუნებდა? ამ ურწმუნოთა რიცხვში იყვნენ არადელი აზნაური ნიკოლოზ იშხნელი და მისი მეუღლე ტყვიაველი კირილე ფავლენიშვილის ასული ნინო. მაგრამ როცა ოთხი ჩვილი ბავშვი ისე დაკარგეს, რომ მათი ტიკტიკიც კი ვერ მოისმინეს, მოდი ნუ დავძრახავთ, თუ მეხუთე შვილის მოლოდინში ამ კუდიან დედაკაცს მოუხმეს და რჩევა ჰკითხეს. ბჭობა მომავალ მემკვიდრეს ეხებოდა. დედაბრისაგან ასეთი დარიგება მიიღეს:

— ახლად დაბადებული ნაცარში ჩასვან და ზედადგარში ამოაძვრინონ. ბავშვი ერთ წლამდე ნათხოვარ, დაძონძილ ჩვრებში გახვიონ, სამ წლამდე ასეთი ტანსაცმლით ატარონ, ნათლიად ვინმე ნათათრალი გამონახონ.

მშობლებიც ასე მოიქცნენ.

რიცხვით მეხუთე და სინამდვილეში კი პირველი შვილი გიორგი მშობლებმა ნაცარში ამოგანგლეს, ზედადგარში ამო-

აძვრინეს, ახალი ტანსაცმელი არ მიაკარეს და ნათლიად გამონახეს სოფელ ქარელიდან ნათათრალი ვინმე სუმბათაშვილი.

1882 წლის 8 ივნისი (ძვ. სტ.) ბედნიერ დღედ იქნა მიჩნეული ნიკოლოზ იშხნელის ოჯახში. ამ დღეს დაბადებულმა ბავშვმა სახიფათო ზონა განვლო, ჯანსაღი შეიქნა და მშობლები გაახარა.

სოფლის უმეცარნი ბავშვის გადარჩენას კუდიან დედაკაცს მიაწერდნენ, ისევე როგორც ბნელეთში მყოფნი ამავე კუთხის შვილნი ნიკო ლომოურის აღწერით შიშისაგან დამუნჯებულ ქაჯანას ენის ამოდგმას წმინდა გიორგის სასწაულით ხსნიდნენ. მაგრამ მოვეშვათ მკითხავებს. მათი „საქმენი საგმირონი“ მრავალჯერ მხილებულა. ასეთი ამბები თანამედროვე სოფლისათვის უცხოა. და ამიტომ ისევ იშხნელების პირმშოს დავუბრუნდეთ.

...გრუზა, შავტუხა ბიჭუნა 7 წლისაა. დროა აბგა აჰკიდონ და სოფლის სკოლაში გაგზავნონ. მშობლებიც ასე მოიქცნენ. ბავშვმა მასწავლებელი მისვლისთანავე მოხიბლა: სწრაფად ისწავლა ანბანი, არითმეტიკის ოთხივე მოქმედება 20-ის ფარგლებში. მასწავლებელს ისე შეუყვარდა პატარა ბიჭუნა, რომ საკუთარ შვილებში არ არჩევდა.

ჩვეულებრივ, სოფლის სკოლებში ერთი მასწავლებელი რამდენიმე კლასს უძღვებოდა. დასვენებისას მოსწავლეთა გართობასაც პედაგოგი ხელმძღვანელობდა.

აი გაისმა სანატრელი ზარის ხმა. გაკვეთილი დამთავრდა. დიდი დასვენებაა. ყივილხივილით მოეფინენ ეზოს ბავშვები. გაჩაღდა ლახტი. აუხურეს ბიჭებმა ერთმანეთს კანჭები, ლახტს მოეშვნენ და ჭიდაობა გაიმართა. ჯერ სულ პატარები გამოიყვანეს საჭიდაოდ. მორგვივით მრგვალმა, ცოტა ბაჯბაჯამ ზედიზედ ორი თავისი ტოლი გალახა. ერთი თუ მოგვერდით გადაიტანა, მეორეს ისეთი მაგარი სარმა წამოსდო, რომ მიწაზე ზღართანი მოადინა. პატარა ბიჭუნას—გიორგის ფალავ-

ნობა მთელმა სკოლამ აღიარა. ათი წლის ბიჭებიც ველარ ბედავდნენ მასთან შერკინებას.

დიდი დასვენება დასასრულს უახლოვდება, საცაა ზარის ხმა მოუწოდებს მოსწავლეთ კლასებისაკენ. მაგრამ სწორედ ზარივით წკრიალა ხმა იპყრობს ყველას ყურადღებას და განსაკუთრებით მასწავლებლისას... უსმენს პედაგოგი გიორგის მოძახილს და სიხარულის ცრემლებს აფრქვევს.

— არა, ცოდოა სოფელში მისი გაჩერება! ვინ იცის ჩვენს ქვეყანას როგორი გამოჩენილი ადამიანი უნდა შეემატოს,— ფიქრობდა კეთილი პედაგოგი და გამოსავალს ეძებდა.

ძნელია მასწავლებლისათვის კარგი მოსწავლის დათმობა, მაგრამ მოვალეობა, პედაგოგის წმინდა დანიშნულება?

სოფლად რომ დარჩეს, რა იქნება, რა გამოვა? სიზმარივით გაირბენს წლები. ბავშვი ტანს აიყრის და გული საამოდ ჩქროლვას დაუწყებს. მამაპაპური ჩოხა-ახალუხი, და ქამარხანჯალი. ცხენით ჯირითი. ბანოვანთა ტრფიალი, არადეთიდან ბრეთელ ავალიშვილებთან სტუმრობა, ქარელში ციციანთ სუფრაზე ყანწების ტრიალი და მრავალჟამიერი,— კარგ მომღერალს ვინ მოასვენებს! და სიბერის ჟამს კი გვერდზე გადახრილი კედლები, წვიმისაგან დამპალი აივანი, ძირმომპალ ბოძებზე მოქანავე კიბეები, ბანკში დაგირავებული მამული, მეტი ჯაფისაგან გაყვითლებული და ჩამომხმარი ხუტკნეინა-მეუღლე, ნახევრად ტიტველი ბავშვები. აი მწარე ხვედრი უსწავლელი აზნაურის; იქ კი, თუ ბედმა გაუღიმა, გიმნაზია, შემდეგ უნივერსიტეტი (რაზედაც მთელი თავისი სიცოცხლე ოცნებობდა კეთილი პედაგოგი), ქვეყნის სახელოვანი შვილი.

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას“...

ერთ მშვენიერ დღეს მასწავლებელი ეწვია ნიკო იშხნელს და ასეთი საუბარი გაუმართა:

— პატივცემულო ნიკო! ცოდოა სოფლად ამისთანა ბავშვი დარჩეს. ჩვენი დანაშაული იქნება, რომ ასეთი ნიჭიერი თბილისის ერთ-ერთ რომელიმე გიმნაზიაში არ მიაბაროთ.

— მეც კარგად ვიცი, ჩემო მეგობარო, მაგრამ რა ექნა, დიდი მამულ-დედულის პატრონი მე არა ვარ.

საუბარში ნიკოს მეუღლე ნინოც ჩაერია. გადწყდა არავითარ ხარჯს არ მოერიდონ, თუ საჭირო იქნება ივალონ და გიორგი კი გზას არ ააცდინონ. ნიკო ერთი იმ აზნაურთაგანი იყო, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი კლასის განწირულება და დაკნინება. ნიკომ იცოდა, რომ უსაქმოდ წოწიალის დრო წავიდა, თვითონ უსწავლელი იყო მაგრამ ცხოვრების დაკვირვებამ თვალნათლივ დაანახვა და დაარწმუნა საყვარელი პოეტის დავით გურამიშვილის თქმაში:

„თუ კაცსა სწავლა არა აქვს
გასტანჯავს წუთისოფელი".

ნიკოს დაყოვნება აღარ უყვარდა.

ერთ მშვენიერ დღეს ნინო და ნიკო თავიანთი პირმშოთი ქარელის სადგურიდან თბილისისაკენ დაიძრნენ.

ნიკოს განზრახვა—სათავადაზნაურო სკოლაში მოეწყო გიორგი, მოყვრებმა არ მოიწონეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს სკოლა კერძოა და დამთავრებისას თუ მოსწავლემ მთავრობის რომელიმე გიმნაზიაში გამოცდა არ ჩააბარა, ისე სიმწიფის მოწმობას ვერ მიიღებსო. ბევრი მაგალითი მოუყვანეს და დაუსახელეს ის პირები, რომლებიც წლობით ელოდებოდნენ ამ მოწმობის მიღებას. ნათესავები ამასთანავე უმტკიცებდნენ ნიკოს, რომ თვით მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა მეოთხე კლასამდე ძლივს აღწევს. ჩოხა-ახალუხით გამოწყობილნი უსაქმოდ დაეხეტებიან გოლოვინის პროსპექტზე და უგვანო საქციელით ყველას თავს აბეზრებენ. ასეთი პირები ცუდ მაგალითს აძლევენ ბეჯითებსაც კი, აიყოლიებენ ხოლმე მათ და სწორ გზას აცდენენ.

გიორგი იშხნელი (გიმნაზიელი)

ნიკოს მოწინააღმდეგეთ არაფრად მიაჩნდათ ის, რომ ამ პერიოდში გლეხის შვილებს საშუალება მიეცათ ესწავლათ ამ სკოლაში და ბეჯითი შრომით თავი ესახელათ, ეს, პირიქით, თავიანთი პრივილეგიების შელახვად მიაჩნდათ. არც ის მიაჩნდათ დიდ დამსახურებად, რომ ეს სკოლა ერთადერთი იყო, სადაც დედაენას სათანადო ადგილი ჰქონდა დათმობილი. ავიწყდებოდათ ისიც, რომ ამ სკოლის პედაგოგთა დიდი უმრავლესობა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისაგან შედგებოდა და თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტები იყვნენ.

— თუ შვილის ბედნიერება გინდათ, მთავრობის გიმნაზიაში უნდა მიაბაროთ, — დაასკვნეს ნათესავებმა და ნიკოც დაითანხმეს.

ბავშვმა რუსული ენა არ იცოდა. საცხოვრებლად მიაბარეს ამიერკავკასიის მხარის სამეჯნაო დაწესებულების უფროს მიწისმზომელ ევგენი ალექსანდრეს-ძე ხოლინს, რომელსაც უნდა მოემზადებინა ბავშვი უფროსი განყოფილებისათვის. ხოლინების ოჯახი განთქმული იყო თბილისში თავისი კულტურით და ჰუმანიურობით. ხოლინის მეუღლე მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებდა პატარა გიორგის და თავის შვილებში არ არჩევდა. ევგენი ხოლინი გიორგის ამეცადინებდა ყველა საგანში. ძალიან შეუყვარდა პატარა ბიჭუნა ევგენის უმცროს ძმას, კადრის ოფიცერს კაპიტან ალექსანდრე ხოლინს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, რომ ბავშვს სწორი მეტყველება ჰქონოდა. ალექსანდრეს მეოხებით ბავშვმა ისე გაიწაფა ენა და მახვილს ისე სწორად სვამდა, რომ ხოლინების აღტაცებას იწვევდა. 1890 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში გიორგიმ გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა და მეორე გიმნაზიის უფროსი განყოფილების მოწაფე გახდა. მართალია, ხოლინები კარგად ინახავდნენ ბავშვს და გიორგიც შეეჩვია ამ ოჯახს, მაგრამ ნიკომ ვერ შეძლო ყოველთვიურად 25 მანეთის გადახდა და მეორე წელიწადს ამავე გიმნაზიის უმცროსი განყოფილების მასწავლებელ იპოლიტე

ტატიაშვილის ოჯახში დააყენა გიორგი. ნიჭიერი ბავშვი ყველა საგანს ადვილად ითვისებდა და წარჩინებულ მოწაფეთა რიცხვში იყო. აზნაურთა კლასი[1] (მეოთხე) გადალახა და გიორგი უკვე მეხუთეშია.

გიორგი ბუნებით მეტად წყნარი, ჩუმი და გულჩათხრობილი იყო. ქალაქის ცხოვრება როგორღაც მას არ იზიდავდა და რაღაც არაჩვეულებრივად გატაცებული იყო თავისი სოფლით. არადეთი ქვეყანას ერჩივნა; რომ გეკითხათ დაასახელე საქართველოს ულამაზესი სოფელიო, არადეთს იტყოდა; მდინარეების არჩევანზე რომ მიმდგარიყო საქმე, ფრონეს მდინარეთა მეფედ გამოაცხადებდა. ამიტომაც იყო, რომ გიორგი პირდაპირ ცას ეწეოდა ხოლმე, როცა არდადეგები იწყებოდა და სოფელში გამგზავრებას აპირებდა. ქარელთან მატარებლის გაჩერებას არც კი მოუცდიდა ხოლმე და ფრენით მიდიოდა ბორნისაკენ.

სოფელში ჩასვლისთანავე გიმნაზიელის ფორმის ტანსაცმელი კარადაშია, ფეხსაცმელები ტახტის ქვეშ ალაგია. ხარის ტყავის კოხტად ამოსხმული ქალამნები, თეთრი წინდები, შავი უბრალო ხალათი, ამავე ფერის შარვალი, კეფაზე ნაბდის ქუდი და იღლიაში იფნის სახრე. აი მთავრობის გიმნაზიის მეექვსე კლასელის საპარადო ფორმა! თქვენა გგონიათ სწავლისაგან მოქანცული, ის სოფელში განცხრომას ეძლევა? არა, გიორგი შრომის ფერხულშია ჩაბმული. თიბათვეში (ივნისი) —თიბვა, მკათათვეში (ივლისი) —-მკა, აგვისტოში —ძნის ამოზიდვა, ძირებად დადგმა, საკალოე ადგილის ბალახბულახებისაგან გათოხნა, კალოს მორწყვა, სისხამ დილით ძნის ჩაშლა, პაპანაქება სიცხეში კევრზე ჯდომა და ოროველა, საღამო ჟამს უშველებელი არნადით ნალეწის შექუჩება, განიავება და ხორბლით სავსე ტომრების წამოკიდება და ხაროში ჩაცლა — აი გიორგის საქმიანობა.

---

[1] თავადაზნაურთა დიდი უმრავლესობა მეოთხე კლასს ძლივს მიაღწევდა ხოლმე, ამიტომ ვინც ამ რუბიკონს გადალახავდა, მისთვის უკვე საიმედო იყო გიმნაზიის დამთავრება. ავტ.

ამ დროს მისი ასაკის აზნაურნი არადეთში, ბრეთში, ქარელსა და სხვაგან უფროსებს ღვინის სმაში ეჯიბრებოდნენ, ტაშ-ტაშის გაიძახოდნენ, ფეხის თითებზე დგომით, კარგი დავლურით და გასმით თავიანთ ჭიას ახარებდნენ და სიცოცხლის დღეებს იმოკლებდნენ.

არც გიორგი გაურბოდა გართობას, მაგრამ გართობას გონიერსა და საჭიროს. კვირადღეობით ტოლბიჭებში გავლა, ჭადრის ჩრდილში გაშაირება, ფანდურის აკვნესება, საჭიდაოდ მორბედთა წაქეზება და ბოლოს მზისაგან გახუხულ ტიტველ ტანზე საჭიდაო ჩოხის ჩაცმა, მოგვერდით ტოლის გალახვა და წარსული კვირის დამარცხების დავიწყება. დამარცხებული და გამარჯვებული ერთმანეთს ხელს ართმევენ, კოცნიან. უცბად ვიღაც დაამღერებს „წაიყვანეს თამარ ქალი“ და გიორგის მოგუგუნე ბანი ფარავს არადეთის არე-მარეს. პატარა ბიჭები ჩინჩხვარს აგროვებენ, ცეცხლს დაანთებენ, იშხნელების ნაყმევის ქალი ალზე დაირას აფიცხებს. ბრეთიდან არადეთს რძლად წამოყვანილი ქალი გარმონს ააჭყიპინებს, გაფიცხებული დაირა მას გამოეხმაურება და შავტუხა ბიჭი გიორგი საცეკვაოდ გაშლის ხელებს.

გიორგის სოფლად ყოფნა მისი ტოლების ზეიმი იყო ხოლმე. სოფელი ამაყობდა, რომ კარგი ბიჭი ეზრდებოდა. ესახელებოდათ, რომ კუდაბზიკა აზნაურებს არ ჰგავდა და გლეხის ტლუ ბიჭებს მეგობრობდა. ბარაქიანი შემოდგომა იწყება. მოსავალი დაბინავებულია, ჭირნახულით სავსეა ოჯახი. თონეში გამტკიცული პური ცხვება, მამალ ინდაურებს თავები წააგდებინეს. ხურჯინის ორივე თვალი გატენეს შოთებით, ნაზუქებით. ინდაურებით, ვაშლის და ატმის ჩირით. გიორგი ქალაქს მიდის სწავლის გასაგრძელებლად. ქარელის სადგურამდე გიორგის ტოლი ბიჭები მისდევენ. გულითადი გამოთხოვება, კეთილი სურვილები და მომავალ ზაფხულამდე განშორება.

1900 წლის ივნისია. ნინო და ნიკო თავიანთ პირმშოს ელოდებიან. ჩამოვიდა. ხედავს ნიკო, რომ ისედაც გულჩათხრობილ

გიორგი იშხნელის დედა (ნინო)

გიორგის კრიჭა აქვს შეკრული. ნიკოს არ უყვარს მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი, მისი პირიდან ტყუილ-უბრალოდ შაქარი არ ამოდის. ბუნებით ის უკმეხია, ზარმაცთა და უქნარათა მტერი. აკი ამიტომაც არ უყვარდათ მეზობელ მოქეიფე აზნაურებს ნიკო. მიუხვდა შვილს გაჩუმების მიზეზს. ამბავი მოდიოდა, სწავლაში წარჩინებული გიორგი სუსტ მოწაფეთა რიგებში მოხვდაო. იცის მოხუცმა, მაგრამ იმედოვნებს, იქნებ მტრებმა დაურხიეს გიორგის ასეთი ხმა? შვილმა დაუდასტურა. ეწყინა მოხუცს ეს ამბავი და კარგა ხანს უმძრახად იყო შვილთან.

რამ გამოიწვია წარჩინებული, ნიჭიერი მოსწავლის ჩამორჩენა? მოდი, ჩვეულებისამებრ მასწავლებლებს ნუ გადავაბრალებთ—გადაემტერნენ ბავშვსო. აბა რა უნდა გაეწყო მათემატიკის მასწავლებელს კრამარენკოს, როცა მოსწავლე მართკუთხეს ვერ არჩევდა ბლაგვისაგან, როცა იქსი მართლაც რომ მისთვის იქსი დარჩა.

თუ მოსწავლე გეოგრაფიის მასწავლებელს იოსებ ათანას-ძე ბიმერგალს ვერ განუმარტავდა, რომელ გრადუსზეა მონტერიკო, სამაგიეროდ ტანვარჯიშის მასწავლებელი ალიოზ სკოტაკი აღტაცებულია ღერძზე გიორგის მიერ „მზის“ გაკეთებით და პორუჩიკი, სამხედრო გიმნასტიკის მასწავლებელი კონსტანტინე ბულგაკოვი ნატრულობს, ნეტავი ერთი ათიოდე ბიჭი მომცა ამისთანა, ვნახოთ პარადის დროს მეორე გიმნაზიას ვინ აჯობებსო. თუ ისტორიის მასწავლებელი, გიორგი გეხტმანი აღშფოთებულია, რომ მოსწავლემ არ იცის ნერონი რომელ წელს გარდაიცვალა და კართაგენი როდის დაინგრა, სამაგიეროდ მუსიკის მასწავლებელი ალიოზ კნოტი გაიძახის, რა დიდი მომღერალი ეყოლება ჩვენს ქვეყანასო. მხოლოდ რუსული ენის მასწავლებელია აღტაცებული გიორგის დეკლამაციით. ხერასკოვის ხოტბებს ისე კითხულობს მოსწავლე გიორგი იშხნელი, რომ მასწავლებელი სიხარულისაგან ცრემლს აფრქვევს, ლაშაზ ხუთიანს გამოხატავს დავთარში და შურიან მოსწავლეთ ათქმევინებს. „Глоткой берет“. ერთ-ერთი მოსწავლის ეს კა-

ლამბური საყოველთაოდ ცნობილი გახდა და გიმნაზიის დასრულებამდე ეს ეპითეტი გიორგის არ მოშორებია. ზოგი უფრო შორს მიდიოდა და გიორგის ხმას იერიქონის საყვირად ნათლავდა.

გიორგის მახლობელი ამხანაგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების გიგო და ალექსანდრე ყიფშიძეების უმცროსი ძმა დოცენტი ილია ყიფშიძე ჩემს თხოვნაზე, დაეხასიათებინა გიორგი, სხვათაშორის მწერდა:

„...გიმნაზიის უფროსები აფასებდნენ გიორგის, რადგანაც იყენებდნენ მას, როგორც საუკეთესო ხმის მქონეს და მგალობელს გიმნაზიასთან არსებულ საეკლესიო გუნდში — მას არა ერთხელ გადაურჩენია გუნდი... გიმნაზიელები ხშირად ოხუნჯობდნენ ერთმანეთში და ხმამაღლა ამბობდნენ, რომ გიორგიმ მე-2 გიმნაზია თავისი ხმის წყალობით დაამთავრაო“.

გიორგისვე კლასის ამხანაგმა, ცნობილი მუსიკოსების ოჯახის წევრმა ანტონ ფალიაშვილმა გადმომცა, რომ გიორგი გიმნაზიის გუნდის მარგალიტი იყო. მის ბანს სიონის საკათედრო ტაძრის მთავარდიაკონის კარგარეთელის ხმას ადარებდნენ სიძლიერით. საკვირველია, რომ გიორგის თავისუფლად შეეძლო ეთქვა პირველიც, მეორეც და ბანიც. კარგი სმენის პატრონისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა რა ნოტაც უნდა აეღო. ამ გზას რომ გაყოლოდა ასეთი მურმანი და კიაზო ჩემი ძმის ოპერებს არ ეყოლებოდაო.

სწორედ ამ ხმის წყალობით იყო, რომ სამღვთო სჯულის მასწავლებელი დეკანოზი მიხეილ არხანგელსკი უკიდურეს ათეისტს ხუთიანებით აჯილდოებდა. მეექვსე კლასიდან გიორგი მეორე გიმნაზიის უმცროსი განყოფილების მასწავლებელ სოლომონ მესტიაშვილის ბინაზე ცხოვრობდა (კრილოვის ქუჩა № 13). სოფლის მუშაობაში მეტად ბეჯითს, სწავლაში ცოტა სიზარმაცე ახასიათებდა. გარეშე წიგნების კითხვას თითქმის არ ეტანებოდა, ამხანაგებთან ლაპარაკი არ უყვარდა, განმარტოებით დადიოდა. ათასში ერთხელ ილია ყიფშიძეს თუ

შეუვლიდა ბინაზე, რომელიც მაშინ „კირკაზე“ რუსების ეკ-ლესიის პირდაპირ ცხოვრობდა. იქაც დიდხანს არ გაჩერდებო-და და შინ მიდიოდა. გიორგის აზნაურის კოპწიობაც არ გამოყ-ვა და ცოტა ჩაჩულა იყო. ხან შარვალი ჩაეჩაჩებოდა, ხან ქა-მარი მოეხსნებოდა, ხან წინდები გამოუჩნდებოდა ხოლმე. აი რას გვწერდა იმავე წერილში ილია ყიფშიძე:

„...არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთ-ერთი ეპიზოდი გიმნა-ზიის წლებიდან. მე-7 კლასში გიორგის ბერძნულს ასწავლიდა ვიაჩესლავ რაკუშანი (ჩეხი თავისებურად ლაპარაკობდა რუსულს). მოწაფეებს იძახებდნენ ჩვეულებრივად კათედრას-თან. გიორგი რომ მიუახლოვდებოდა კათედრას, ქამარი უვარ-დებოდა იატაკზე. რაკუშანი აღშფოთებით ეკითხებოდა: **„Вы без пояса, уходите вон из класса“. გიორგისაც ეს უნ-** დოდა, დაავლებდა ხელს თავის ქამარს და გავარდებოდა კა-რისაკენ. კლასში აღარ ბრუნდებოდა. ასეთ შემთხვევებს სის-ტემატური ხასიათი ჰქონდა“.

გიორგის წარუმატებლობამ გიმნაზიის დირექტორის დრბო-გლავის ყურამდე მიაღწია. დირექტორმა იშხნელი მიაკუთვნა იმ მოწაფეთა ჯგუფს, რომელიც სიმწიფის მოწმობას ვერ ეღირ-სება. უნიჭიერესი მოსწავლის ასეთი ჩამორჩენა და უფროს კლასებში ორჯერ დარჩენა, გულს უთუთქავს კეთილ ინსპექ-ტორს ივანე გამყრელიძეს. პედაგოგიურ საბჭოზე ხშირად ესარ-ჩლება და მხარს უჭერს იმ პედაგოგებს, რომლებიც მოითხო-ვენ დაამთავრებინონ გიმნაზია ისეთ მოსწავლეს, რომლის ნიჭი-ერებითაც იამაყებს ყველა. გიმნაზიის ინსპექტორს სწამს,— იშხნელი ისეთი ნიჭიერია, რომ თუ ცოტაოდენ თავს ძა-ლას დაატანს, გამოასწორებს თავის ნიშნებს და კვლავ რჩეულ-თა რიგებში იქნება. მასწავლებელ სოლომონ მესტიაშვილს, ვის ბინაზედაც ცხოვრობს გიორგი, სთხოვენ ზეგავლენა იქო-ნიოს ყრმაზე.

1900 წელია. მეორე გიმნაზია ემზადება სალიტერატურო სა-ღამოს მოწყობისათვის. არჩეულია დასადგმელად რუსი კლასი-

კოსის ა. ოსტროვსკის პიესა „ტყე“. სპექტაკლის ხელმძღვანელობა დაევალა რუსული ენის მასწავლებელს სვატოშს. სპექტაკლში მონაწილეობას იღებს გიორგი იშხნელი, რომელსაც გენადი ნესჩასტლივცევის როლის შესრულება დაეკისრა. კარგა ხანს გაგრძელდა სამზადისი. სვატოშმა დიდი ენერგია დახარჯა და ჩინებულად მოამზადა მოსწავლენი. საღამოს ესწრებიან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მიხეილ ზავადსკი, ინსპექტორები ლევ ლოპატინსკი და ალექსანდრე სლავინსკი, მოწვეული სტუმრები, მოსწავლეთა მშობლები და სხვადასხვა გიმნაზიის პედაგოგები. გიმნაზიის სააქტო დარბაზი გაჭედილია. ღელავს სვატოში და მასთან ერთად ღელავენ ახალგაზრდა მონაწილენი. აი გაისმა მესამე ზარი, ჩაქრა დარბაზი, განათდა რამპა და ფარდა აიწია. დასაწყისს კარგი პირი უჩანს. მოსწავლეთ ისე იციან როლები, რომ მოკარნახის ჯიხურში მჯდომ ანტონ ფალიაშვილს დიდი ჯაფა არ დაადგა. რაც მთავარია, დიდი დრამატურგის წარმტაცი დიალოგები მაყურებლის ყურთასმენას ატკბობს. აი გამოჩნდნენ სცენაზე გენადი და არკაშა. უკანასკნელი თუ მაყურებელში ჯანსაღ სიცილს იწვევს, პირველი თავისი მეტყველებით ხიბლავს ყველას. თანდათანობით გენადიმ დაჩრდილა სხვა მონაწილენი და მთელი დარბაზის ყურადღების ცენტრშია. გულზვიადი მიხეილ ზავადსკი, პედანტი და მოსწავლეთა რისხვა ალექსანდრე სლავინსკი, ნამდვილი ენციკლოპედისტი ლევ ლოპატინსკი მოხიბლული არიან გენადის როლის შემსრულებლით და ამ როლში მცირე თეატრის არტისტებს ადარებენ და იოსებ დრბოგლავს დიდ მადლობას უცხადებენ. აღტაცებულია მთელი სასწავლებელი, აღფრთოვანებულია სვატოში. „რა არტისტს ზრდის მეორე გიმნაზია,“—გაიძახის სიხარულით გიმნაზიის ინსპექტორი ივანე გამყრელიძე, დრბოგლავიც მოლხვა და ამ სპექტაკლის შემდეგ ალერსიანად ესაუბრება მოსწავლეს და ურჩევს გაიხსენოს ძველი დრო და კვლავ ღირსეული მოსწავლე გახდეს.

ბევრს ახლაც ახსოვს დირექტორის თქმა: „У нас не только ученики в гимназии, но есть и большой артист Ишхнели“.[1]

მას შემდეგ განვლო 54 წელმა და დღესაც, როცა შეხვდები გიორგი იშხნელის კლასის ხანდაზმულ ამხანაგს: ექიმ ანტონ ფალიაშვილს, იურისტებს ვიქტორ კლენევსკის, ნიკო ქუჩუკაშვილს, გრიბოედოვის თეატრის მსახიობს ალექსანდრე ოსიპოვს და სხვებს, ყველას მყისვე ოსტროვსკის „ტყე“ გაახსენდებათ და თვალწინ წარმოუდგებათ ხავერდოვანი ხმის, დიდი ტემპერამენტის მსახიობი. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მეხსიერებიდან რომ არ ამოშლილა მსახიობის მიერ შესრულებული როლი, ეს მხოლოდ დიდი შემოქმედის ხვედრია. ახალგაზრდა მოსწავლის არაჩვეულებრივი წარმატების ამბავი სკოლის კედლებს გაცდა და რუსული წარმოდგენების გამართველი წრე იწვევს გიორგის ამავე პიესაში მონაწილეობის მისაღებად.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს აკრძალული ჰქონდათ ასეთ წრეებში მონაწილეობის მიღება, სკოლის ადმინისტრაციამ ვითომ ვერ შეიტყო ეს ამბავი და იშხნელისათვის არავითარი მითითება არ მიუცია.

1902 წლის 21 თებერვალს გოგოლის გარდაცვალების 50 წელი შესრულდა. მთელი პროგრესული რუსეთი გამოეხმაურა ამ დღეს. თეატრალური თბილისიც არ ჩამორჩა და გოგოლის დღეები ფართოდ აღნიშნა. სახელმწიფო ოპერამ დადგა გოგოლის „მაისის ღამის“ სიუჟეტზე დაწერილი რიმსკი-კორსაკოვის ოპერა.

ქართულმა დრამატულმა დასმა აღნიშნა ეს დღე და 1902 წლის 2 თებერვალს წარმოადგინა „რევიზორი“, რომელშიაც გოროდნიჩის როლი შესრულა ვასო აბაშიძემ, ხოლო ხლესტაკოვს კოტე შათირიშვილი თამაშობდა.

---

[1] იხ. შ. იმედაშვილის „ქართული სცენის დიდი მსახიობი“. „საბჭოთა ხელოვნება“ 1937, № 2, გვ. 94.

რუსულმა დრამამ ძმები ადელგეიმების მონაწილეობით გამართა დილის წარმოდგენა „რევიზორი“.

„რევიზორი“ დადგეს ავჭალის აუდიტორიაშიც, სადაც ხლესტაკოვის როლს ასრულებდა კ. შათირიშვილი. ამავე პერიოდში საშუალო სასწავლებლებმაც აღნიშნეს ეს დღე და გიორგი იშხნელმა თავისი ოსიპით „რევიზორში“ მოხიბლა მეორე გიმნაზიის დარბაზის მსმენელნი. აღტაცებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, როცა იშხნელმა წაიკითხა დიდი მწერლის „შეშლილის წერილები“. მნახველთა გადმოცემით გიორგის ოსიპი თავისი მხატვრული ღირებულებით უტოლდებოდა დიდ ოსტატთა მიერ შექმნილ ამ სახეებს.

სადავოდ არავის მიაჩნდა, რომ მომავალი დიდი არტისტი ემზადებოდა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად.

მხოლოდ ორი ადამიანი იყო ამის წინააღმდეგი. ამავე გიმნაზიის მუსიკის მასწავლებელი ალიოზ კნოტი, რომელიც ურჩევდა გიორგის კონსერვატორიაში შესულიყო და ხმა დაემუშავებინა.

— მერწმუნე, ჩემო მეგობარო, შენ ისეთი განძის პატრონი ხარ, თუ სათანადოდ მოუარე, ბევრი გამოჩენილი მომღერალი დავიწყებას მიეცემაო,— ჩასჩიჩინებდა მუსიკის მასწავლებელი და ცდილობდა დრამატულ თეატრს არ გადაებირებინა მომავალი ჩინებული ვოკალისტი.

ასევე წინააღმდეგი იყო გიორგის სცენაზე გაჭრით მისი მამა ნიკო იშხნელი.

— როგორ, ტახტის აზნაურის შვილი და ბერიკა? რაღა უნდათ იშხნელებს! ვაი სირცხვილო, დახე რა ბედს გიმზადებს, ნიკო, შენი პირმშო,— ფიქრობდა მოხუცი და ბუტბუტებდა. ნიკოს ისიც კი ვერ მოენელებინა, რომ მისი მეუღლე ნინო გათხოვებამდე ნატო გაბუნიას გაებრიყვებინა და გიორგი ერისთავის „ძუნწში“ მონავარდისას როლი ეთამაშა. ნიკოს სასირცხვილო საქმედ მიაჩნდა სცენაზე მუშაობა და ქურთელ ზაალ მაჩაბელს

მას შემდეგ აღარც სცემდა პატივს, როცა გორის სცენაზე თავადიშვილის ტლინკაობას უყურა... საკუთარი ხელით დაახჩობს შვილსა და გვარს კი არ შეარცხვენინებს.

1903 წლის ივნისის პირველი რიცხვებია. იშხნელები თავიანთ პირმშოს მოელიან. გაზეთში უკვე ამოიკითხეს, რომ ამ წელს მეორე გიმნაზია 13 ქართველმა დაამთავრა და მათ შორის გიორგი იშხნელიც არის მოხსენებული. გოროზი და ამაყია ნიკო. საამაყოც აქვს. არადეთში პირველი სტუდენტი მისი შვილია შავტუხა ბიჭი გიორგი, მამის გამგონი გიორგი, დინჯი, გონიერი, ჯანღონით სავსე ჭაბუკი. უხარია მამას საამაყო შვილის დაბრუნება, ცას ეწია დედა თავისი პირმშოს დანახვაზე. იკრავს დედა გულში შვილს და სიხარულის ცრემლებს აფრქვევს.

სიზმარივით გაირბინა ზაფხულმა და გიორგი თბილისს გაემგზავრა. ქალაქიდან ამბავი ჩამოუტანეს მამას — გიორგი ადგილობრივ რუსულ დასში აპირებს შესვლას და მოლაპარაკება უკვე დამთავრებულიაო. შეშფოთდა მოხუცი და თბილისში ჩამოიჭრა. ნიკომ პირდაპირ ულტიმატუმი წაუყენა შვილს და მოსთხოვა სცენისათვის თავი დაენებებინა და უნივერსიტეტში შესულიყო. გიორგის მამის ხათრი და რიდი ჰქონდა, მოხუცს წინააღმდეგობა არ გაუწია და დათანხმდა განეგრძო სწავლა.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში გიორგი უკვე ბათუმშია. იქიდან გემით აპირებს ოდესისაკენ გამგზავრებას და ამ ამბავს წერილით ატყობინებს მშობლებს.

მიღებული წერილი ახარებს მოხუცს და მოაგონებს დავით გურამიშვილის თქმას.

„რკინა ცეცხლში გარბილდების
ყმა სწავლაში მომშვიდდების“.

თავი II

სამზადისი

გიმნაზიის მერვე კლასში გამოცდების ჩაბარებისას გიორგიმ ახლო გაიცნო რუსელი თავისი სეხნია დაფქვიაშვილი. ამ უკანასკნელს დამთავრებული ჰქონდა თბილისის სათავადაზნაურო სკოლა (ქართულ გიმნაზიას მაშინ ასე ეწოდებოდა) და სიმწიფის მოწმობაზე გამოცდას მეორე გიმნაზიაში აბარებდა. თუ მთავრობის გიმნაზიების აბიტურიენტებს ევალებოდათ თავიანთ მასწავლებლისათვის გამოცდები ჩაებარებინათ მხოლოდ 8 საგანში, სათავადაზნაურო სკოლის კურსდამთავრებულთ მთელი რვა კლასის პროგრამას თხოვდნენ და ამიტომაც მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ხშირად პირში ჩალაგამოვლებული რჩებოდა და წლობით ელოდა სიმწიფის მოწმობის მიღებას. გამართლდნენ ნიკო იშხნელის ნათესავნი, რომელნიც ურჩევდნენ შვილი მთავრობის გიმნაზიაში მიებარებინათ. საეჭვოა, რომ იმ პერიოდში გიორგის მიეღო სიმწიფის მოწმობა ექსტერნად გამოცდების ჩაბარებით გამომცდელები უცნობის არტისტულ ნიჭს არაფრად მიიჩნევდნენ და გალობას და ღერძზე იშვიათი ოსტატობით ვარჯიშს არარად ჩათვლიდნენ. გიორგი დაფქვიაშვილმა გამოცდა ჩააბარა და თავის ახლადგაცნობილ მეგობარს გიორგი იშხნელს ურჩია ოდესის უნივერსიტეტში შესვლა.

ქართველ სტუდენტთა უმრავლესობა ქალაქ ოდესას უფრო ეტანებოდა. ოდესა შავი ზღვის სანაპირო ქალაქია და მისი ჰავა ქართველთათვის ადვილად ასატანი. ოდესას სხვა მიმზიდველი ძალაცა ჰქონდა.

ახალი, იშვიათი სილამაზის, შავი ზღვის პირას მდებარე ქალაქი, განთქმული იყო თავისი კულტურული დაწესებულებებით, საუცხოო თეატრებით, სამეცნიერო ძალებით. ყველაფერი ეს მიმზიდველს ხდიდა ოდესას ქართველი სტუდენტებისათვის.

1903 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში „ნაოსნობის და ვაჭრობის რუსეთის საზოგადოების“ გემმა „პუშკინმა“ გიორგი იშხნელი და მისი ახალი მეგობარი დაფქვიაშვილი ბათუმიდან ოდესაში ჩაიყვანა.

რექტორის სახელზე განცხადების შეტანისთანავე გიორგი იშხნელი ჩარიცხული იქნა იურიდიულ ფაკულტეტზე. რატომ აირჩია გიორგიმ იურიდიული ფაკულტეტი? იმაზე პასუხს ნაწილობრივ პირველ თავში მოხსენებული ილია ყიფშიძის წერილიდან ვიგებთ. „იშხნელებს როგორც სიმღერა ეხერხებოდათ, ასევე ორატორობაც. გიორგის კამათში ვერავინ ჯობნიდა. ეს იყო, რომ ნაკლებად კითხულობდა წიგნებს და ორატორულ ნიჭს არ აღრმავებდაო“. უეჭველია თანდაყოლილი ორატორული ნიჭი და ხმის საუცხოო ტემბრი იყო მიზეზი ამ ფაკულტეტის არჩევისა. აბა, ბლუკუნა იურისტი სად გამოდგებოდა!

ერთ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. იურიდიული ფაკულტეტი რატომღაც ყველაზე ადვილად ითვლებოდა. თუმცა არსად ისეთ რთულ საგნებს არ ასწავლიდნენ, როგორც ამ ფაკულტეტზე. სტუდენტი თუთიყუშივით გაზეპირებით აქ ფონს ვერ გავიდოდა, როცა სამართლის თეორიების, პოლიტიკური ეკონომიის ან სამართლის ფილოსოფიის ისტორიის შესწავლა უხდებოდა. მარტო კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ შეთვისებას რამდენი შრომა სჭირდებოდა!

თეორიული საგნებისა და სემინარების სიმცირე მიმზიდველად ხდიდა ამ ფაკულტეტს. იურიდიულ ფაკულტეტს ეტანებოდნენ როგორც პოლიტიკურ ასპარეზზე სამოქმედოდ გამომსვლელნი, აგრეთვე კარიერისტები და ბობოლა მოხელეო-

ანა იშხნელი, გიორგი იშხნელი და გიორგი ყიფიანი

ბის მოტრფიალენიც. ვერც ერთ ფაკულტეტზე ვერ შეხვდებოდით ამდენ პროგრესულად მოაზროვნე სტუდენტს, და ამასთან არსად პურიშკევიჩის და დუბროვინის მიმდევარი იმდენი შავრაზმელები არ იყვნენ, როგორც ამ ფაკულტეტზე. პარადოქსი არ იქნება, თუ ვიტყვით: — ეს ფაკულტეტი იზიდავდა ყველაზე ნიჭიერს და ყველაზე ზარმაცს, ყველაზე პროგრესულად მოაზროვნეს და ყველაზე რეაქციონერს.

ორატორული ნიჭით უხვად დაჯილდოებული, მათემატიკურ საგნებთან ცოტა შემომწყრალი, პროგრესულად მოაზროვნე და ცოტა მოზარმაცე გიორგის არჩევანი იურიდიულ ფაკულტეტზე შეჩერდა. მით უმეტეს მისმა ახალმა მეგობარმა დაფქვიაშვილმაც ეს დარგი აირჩია.

ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის (ასე უწოდებდნენ ოდესის უნივერსიტეტს) იურიდიული ფაკულტეტი მოთავსებული იყო ცალკე, ხერსონის ქუჩაზე და გიორგიც პირველ წელიწადს ამავე ქუჩაზე დასახლდა — სტუდენტ იურისტ დავით ტატიშვილთან. იცოდა რა თავისი მამის — ღარიბი აზნაურის გაფხეკილი ჯიბის ამბავი, გადაწყვიტა მომჭირნეობით ეცხოვრა და ისედაც გაჭირვებაში მყოფი მშობლები დიდად არ შეეწუხებინა.

თქმა ადვილია, მაგრამ შესრულება ძნელი.

ეს მეტად ნიჭიერი ადამიანი პრაქტიკულ საკითხებში სრულიად უნიათო იყო. მომჭირნეობა, გამოზოგვა მისთვის უცხო რამ იყო. ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობდა. ანგარიშიანობა მის ბუნებას ვერ ეგუებოდა. როცა ფული გაუჩნდებოდა, მოუსვენარი ხდებოდა, მაგარ სასმელს სრულიად არ ეტანებოდა, კომფორტს არ იყო დაჩვეული, შოკოლადებით გულს არ ისუყებდა. მაშ რაში ეხარჯებოდა წვითა და დაგვით მამისგან გამოგზავნილი ფული? ბინის ქირა, მრეცხავის გასამრჯელო, საადილი, თუ ჰქონდა ვახშამსაც გიახლებოდა — აი ახალგაზრდა სტუდენტის აუცილებელი ხარჯი. მაგრამ მას ახალი გაუთვალისწინებელი ხარჯებიც მოემატა.

მამონტ დალსკი ეწვია საგასტროლოდ ოდესის თეატრს — გიორგი იქ არის. ოტელო, ბელუგინი („ბელუგინის ქორწინება“), ნეზნამოვი („უდანაშაულო დამნაშავენი“), ა. სტრინდბერგის „მამა“ ნახა ამ დიდი მსახიობის შესრულებით და „ჰამლეტსაც“ რომ არ დაესწროს, როგორ იქნება? გიორგის მანეთიანები ანტრეპრენიორის სალაროს ემატება, ღარიბი სტუდენტის ჯიბეს კი აკლდება.

ალ. ციციშვილი, დ. პარკაძე, გ. ყიფიანი, დ. ტატიშვილი, ყ. სულხანიშვილი და გ. იშხნელი

ვერა კომისარჟევსკაიას მონაწილეობით იდგმება ჰ. იბსენის „ნორა“, ა. ოსტროვსკის „უმზითვო“, გ. ზუდერმანის „ივანობის ღამე“ და განა გიორგი გამოსტოვებს ამ სპექტაკლებს?

ვერა კომისარჟევსკაიას პავლე ორლენევი ცვლის და გიორგი სად იქნება, თუ არა მის გასტროლებზე! აბა, ამ უკანასკნელის შესრულებით ოსვალდი რომ არ ნახოს ჰ. იბსენის „მოჩვენებაში“, განა შეიძლება?

ი ოპერის თეატრში რომელიმე გამოჩენილი ბარიტონის გამოსვლაა და გიორგი ხომ არ გამოტოვებს ამას და ისედაც გაფხეკილი მისი ჯიბე ცარიელდება.

ალკოჰოლს არ ეტანება, თეატრის ლოთი კი გახდა. პირველი თუ ჯანს ასუსტებს, მეორეს დიდ სარგებლობასთან ერთად ჯიბის გაფხეკაც მოსდევს. რამდენჯერაც გიორგი სტუდენტობისას სპექტაკლს დასწრებია, მეათედი იმისა რომ ლექციებზე ევლო, ანატოლ კონის და ვლადიმერ სპასოვიჩს გაუსწრებდა, მაგრამ

ლექციებზე სტუმარივით ცხადდებოდა — ათასში ერთხელ, თეატრში კი მუდმივად. ეკითხებით მის მახლობელ მეგობრებს, მისი კაცურიკაცობის დიდად დამფასებლებს, მისი კურსის ამხანაგებს, იმავე გიორგი დაფქვიაშვილს, შალვა მესხიშვილს, ანდრო კოსტავას, ალექსი ზედგინიძეს და ღიმილით გიპასუხებენ — ლექციებზე იშვიათად ვხვდებოდითო.

პირველ წელიწადს ენციკლოპედიის სამართალი და რუსეთის სამართლის ისტორია ჩააბარა, გადავიდა მეორე კურსზე და ამით დაკმაყოფილდა. ცხრა ძირითადი საგნიდან მეოთხე კურსზე ყოფნისას რამდენი საგანი დარჩა ჩასაბარებელი, რომ დამთავრების მოწმობა მიეღო, იმათაც კი არ ახსოვთ, რომლებიც მასთან ერთად ბინაზე ცხოვრობდნენ. სამაგიეროდ რა აღტაცებით იგონებენ გიორგის მიერ ამა თუ იმ მონოლოგის შესრულებას! ყველა ერთხმად ნაღვლიანად გაიძახის:

— რა დიდი მსახიობი დაჰკარგა ასე უდროოდ ჩვენმა სცენამაო. მაგრამ მარტო მისი კურსის ქართველი იურისტები კი არ იგონებენ გიორგის არტისტული კარიერის დასაწყისს. იმ დროს ოდესაში მცხოვრებ ქართველებს ვისაც კი შევეკითხეთ გაეხსენებინათ გიორგის ამბები, ყველა მხოლოდ მის არტისტობაზე მოგვითხრობს და თანაც დასძენს — რა იშვიათი ადამიანი იყო, რა კარგიო.

მე არ შევხვედრივარ გიორგის ნაცნობ არც ერთ პირს, რომ მასზე რაიმე აუგი ეთქვას. საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა. არც საკვირველია. ამხანაგისათვის თავს დადებდა, შური და მტრობა მის გულს არ ეკარებოდა, ანგარიშიანობა მისთვის უცხო იყო, „ეს ჩემიაო“—მის ლექსიკონში ასეთი ფრაზა არ მოიძებნებოდა.

აი კაცი, რომელიც მოყვასისათვის საკუთარ პერანგს გაიხდიდა და თვითონ შიშველი დარჩებოდა. ამ ადამიანზე შეგეძლოთ თამამად გეთქვათ „ის კაცი იყო, ვით შეშვენის კაცსა კაცობა“, იყო რაინდი, უშიშარი და გულმართალი.

გინდა რეალური, ცოცხალი ადამიანის სახე დახატო. ყველა

ადამიანში ხომ დადებით თვისებებთან ერთად უარყოფითი მხარეებიც არის! ამ მიმართულებით ვუყენებთ საკითხს მისი სტუდენტობის ამხანაგებს და ყველას სახე უღიმის საყვარელი ადამიანის გახსენებისას. ეკითხებით მის პირველ თანამგზავრს ბათუმიდან ოდესამდე, გიორგი დაფქვიაშვილს და გესმით:

— მე ასეთ ამხანაგს არ შევხვედრივარ — უეშმაკოს, უბრალოს, გულმართალს.

ასეთივე პასუხს გვაძლევს წერილობით გიორგის სტუდენტობის ამხანაგი შალვა მესხიშვილი. 1904 წელს ხერსონის ქუჩაზე ერთ ოთახში უცხოვრიათ — ყველას გვიყვარდა, როგორც სანდო და კარგი ამხანაგი.

დავივიწყეთ რა რომაული თქმულება **De mortuis aut bene, aut nihil** (მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვან, ან არაფერი), შევძელით გიორგის ხასიათში ზოგი ისეთი თვისების აღმოჩენა, რაც მის ნათელ სახელს ჩრდილს არ აყენებს, მაგრამ რეალურს კი ხდის.

სტუდენტობისას გიორგის დიდი მეგობარი იყო ჭალელი დათა (ტეკო) პარკაძე.

1905 წელს ისინი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ, განცალკევდნენ მას შემდეგ, როცა დათიკომ შეირთო ნინო ლოლაძე. სიკვდილამდე გიორგი და დათიკო განუყრელი მეგობრები იყვნენ. ქართული გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლეებს კარგად გვახსოვს უმცროსი კლასის მასწავლებელი დათა პარკაძე როგორც ქართული თეატრის მუდმივი მაყურებელი. ვის არ აგონდება სპექტაკლებზე მისი აღფრთოვანებული „ვაშა“ გიორგი იშხნელის მიმართ. განსვენებული დათა პარკაძის მეუღლეს ვთხოვეთ დაეხასიათებინა გიორგი იშხნელი როგორც მსახიობი და როგორც ადამიანი. პირველ საკითხზე მერე გვექნება ლაპარაკი, ხოლო გიორგის ადამიანობაზე კი აი რა გადმოგვცა:

მე 1905-9 წლამდე ოდესაში ვცხოვრობდი. გიორგი იშხნელი ჩვენთან ხშირად დადიოდა. თავისებური იუმორით იყო დაჯილდოებული. ჩემი მეუღლეც ამ მხრივ არ ჩამორჩებოდა

მას. გიორგი თუ დინჯი იყო, აუჩქარებელი, დათა მეტად ცოცხალი, სწრაფი, მოუსვენარი და თანაც მეტად პეწენიკი. გიორგი ჩემს მეუღლეს ტეკოს ეძახდა, ის კი სერიოჟას. მე დავინტერესდი, რატომ უძახის სერიოჟას, რაზედაც დათამ გიორგისავე თანდასწრებით ეს ამოცანა „ამოხსნა". როგორც მათემატიკოსის მეუღლე, მეც დავეჩვიე ამ ტერმინოლოგიით ლაპარაკს.

დათამ გაიხსენა იაკობ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოში" მოთავსებული უშინსკის „Всякой вещи свое место". და თავისებური იუმორით წაგვიკითხა. ეს პატარა მოთხრობა რომელმა მოსწავლემ არ იცის ზეპირად!

„Сережа как проснется, так и начинает свои вещи разыскивать: один чулок у него на стуле, другой под столом,— один сапог под кроватью; а другого и в комнате нет. Возится Сережа каждое утро, возится — и опоздает в класс".

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, განაგრძობდა დათა, რომ სერიოჟა გიორგის პროტოტიპია. მე რომ გიორგისთან ერთ ოთახში ვცხოვრობდი, ვხედავდი, რომ მისი შარვალი ყოველ დილას იატაკზე ეგდო, ცალი ფეხსაცმელი საწოლ ქვეშ, მუთაქად ჟელეზნოვის „პოლიტიკურ ეკონომიას" იყენებდა, ბალიში ფეხებთან ჰქონდა და დიდი ძებნის შემდეგ ქამარს საპირფარეშოში ალმოვაჩენდით ხოლმე, წინდებს ხშირად სულ ვერ პოულობდა. დავალაგებდი ოთახს, წავიდოდი ლექციებზე, შინ დაბრუნებისას იგივე სურათი მხვდებოდაო.

გიორგის სახე უღიმის სიყვარულით შეყურებს თავის მეგობარს.

— არა, არა, შენი გამოსწორება არ შეიძლება. შენ დოლინოვი კი არა, ბალეტმეისტერი მარიუს პეტიპაც ვერ გადაგაჩვევს ჩაჩულიაობასო.

გიორგი ხარხარებს და პასუხს არ აძლევს. უყვარს ტეკოს გაცხარებული ლაპარაკი.

— აბა მიპასუხე, როგორ უნდა ითამაშო არმანი „მარგარიტა

გოტიეში“,— ფრაკის კალთებს აიწევ სკამზე დაჯდომისას?

— მე არმანს არ ვითამაშებ, სალონური როლები ისე მომერგება, როგორც აქლემს უნაგირი.

— შენი სალონი ბოსელია და გომური. შენ იქ კარგად გრძნობ თავს, და მოგვიყვა ერთი ამბავი, რაც გიორგიმ დუმილით დაუდასტურა.

„ზაფხულის არდადეგებისას.— დაიწყო ჩემმა მეუღლემ, მე და გიორგი ოდესიდან გემ „პუშკინით“ სამშობლოსაკენ გავემგზავრენით. ფოთი არ მენახა და ვურჩიე ფოთის ნავსადგურში ჩამოვმხტარიყავით. მივედით ფოთში. ნავსადგურიდან ქალაქი კარგა მოშორებით იყო. ერთი ცხენიანი „კონკა“ დადიოდა. ჩვენი ბარგი-ბარხანით დავსხედით მე და გიორგი კონკაზე და ქალაქისაკენ მივემგზავრებით. უცბად ლაფში თვალი მოკრა ორ კამეჩს. მიატოვა ბარგი-ბარხანა, გადახტა კონკიდან და დაუწყო კამეჩებს ალერსი: „ჩემო ნიკორა, ჩემო ლაჩინავ“. კონკა შევაჩერებინე და ვუცდიდი როდის დაამთავრებდა ალერსს ჩვენი გიორგი. ჰოდა, ნიკორას მეგობარი და სალონის არტისტი მე მგონია ძალიან დაშორებულნი არიანო.

— შე იქსებით გამოყეყეჩებულო, აღარ მომასვენებ, — სიცილით უპასუხებდა ხოლმე გიორგი და ბაასი ახლა სხვა საგანს ეხებოდა, სხვა ამბებს. ლაპარაკით რომ დაიღლებოდა, ტეკო სიმღერას შემოსძახებდა ხოლმე. მეც ავყვებოდი, გიორგი იშვიათი ბანით ამშვენებდა სიმღერას და ჩვენი მეზობლების აღფრთოვანებას იწვევდა.

გიორგი რომ ქოთია იყო, ეს აწ გარდაცვალებულ დათა ტატიშვილისაგანაც გაგვიგია.

— 1903 წელს გიორგი, ვანო ჯაფარიძე და მე ერთ ოთახში ვცხოვრობდითო. ვანო ჯაფარიძეს უყვარდა კოხტაობა, სულ სარკეში იყურებოდა და ოთახშიაც იატაკზე რომ პაპიროსის ნამწვი დაენახა დაგდებული მაშინვე ბუზღუნს დაიწყებდა.

გიორგი დალაგებულ ოთახს მაშინვე აურდაურევდა ხოლმე, თვითონვე დაალაგებდა და 10 წუთის შემდეგ კვლავ იგივე სურათის მოწმენი ვხდებოდით.

ვანო ისე ბრაზდებოდა, რომ გიორგიმ გამოგვიცხადა სხვა ბინაზე უნდა გადავიდეო. უნდა გენახათ როგორ აპილპილდა ვანო.

— რას ამბობ კაცო! შენ რომ სხვაგან გადახვიდე, ხომ თავი მოგვეპრება მთელ სათვისტომოში. გვეტყვიან, გიორგისთანა კაცს ადამიანი რომ ვერ შეეგუოს, ის რა სახსენებელი იქნებაო.

გიორგი მეორე კურსის სტუდენტია. ამაყი ნიკო გახარებულია. შვილი მოთვინიერდა და ნამდვილ საქმეს მოკიდა ხელი. გიორგი არდადეგების შემდეგ კვლავ უნდა გაემგზავროს გემით ოდესაში.

ბათუმის ნავსადგურში აუარებელ სტუდენტობას მოუყრია თავი და გემ „პუშკინს" ელოდებიან. ნავსადგურში „ნებაყოფლობითი საზოგადოების" დიდი სატვირთო გემია. სტუდენტებს გამოუცახდეს ოდესამდე უფასოდ წაგიყვანთო და სხვებთან ერთად გიორგი იშხნელიც მოხვდა ამ გემზე. ქართველებმა მაშინვე გაიცნეს ერთმანეთი: მგზავრ სტუდენტებს შორის არის ფხვენისელი ალიოშა ზედგინიძე, რომელიც ოდესაში მიემგზავრებოდა სასწავლებლად. „გემზე კონცერტი მოეწყო და იქ გავიცანი პირველად ამ კონცერტის ყველაზე საინტერესო მონაწილეო", — იგონებს ა. ზედგინიძე.

გოგოლის „შეშლილის წერილები" ისეთი განწყობილებით წაიკითხა გიორგიმ, რომ ახლაც კი თვალწინ მეხატება საცოდავი პოპრიშჩინი.

ამ დღიდან ახალგაზრდა სტუდენტი ა. ზედგენიძე იშხნელის ნიჭის თაყვანისმცემელი და მისი გულითადი მეგობარი გახდა.

ცნობილმა დრამატულმა არტისტმა ანატოლი დოლინოვმა, რომელიც 1894 წლიდან ალექსანდრეს თეატრში მუშაობდა როგორც აქტიორი და რეჟისორი, 1904 წელს ოდესაში გახსნა დრამატული კურსები. დოლინოვი ითვლებოდა კარგ მსახიობად ფატების და jeune comique-ს (ახალგაზრდა კომიკების) როლებში.

მეგობრები ურჩევენ გიორგის შევიდეს ამ კურსებზე მსმენელად და გამოთქვამენ თანხმობას სათვისტომოში შეკრიბონ ფული სწავლის ქირის შესატანად. გიორგის, რასაკვირველია, რომის სამართლის თუთიყუშივით გაზეპირებას დოლინოვის კურსებზე ყოფნა ურჩევნია, მაგრამ მამისა ეხათრება. ბოლოს მიდრეკილებამ მაინც დასძლია და დოლინოვის კურსების გამოსაცდელ კომისიაში გამოცხადდა.

გ. დაფქვიაშვილის გადმოცემით, გიორგიმ ორი ლექსი წაიკითხა. კომისიის წევრები თავს არ ანებებენ და თხოვენ რაც იცის წაიკითხოს. შექსპირის „იულიოს კეისრიდან" ანტონიუსის მონოლოგმა ისე მოხიბლა დოლინოვი, რომ იქვე განუცხადა, არავითარი სწავლის ფული არ მინდა, მიღებული ხართ, მიღებული! და გამარჯვებული გიორგი სიხარულით დაბრუნდა შინ.

გიორგის არაფრის დამალვა არ შეეძლო ან როგორ დაიფარებოდა ეს ამბავი. მალე დიდი საყვედურის წერილი მიიღო მამისაგან.

ისედაც გულჩათხრობილს, ეწყინა მამის წერილი, მაგრამ საყვარელ საქმეს თავი ვერ დაანება და განაგრძო მეცადინეობა როგორც დოლინოვთან, ისე უნივერსიტეტში. რომ გეკითხათ, ძირითადად სად ითვლებოდა, ის ერთ წამსაც არ დაფიქრდებოდა და იტყოდა — დოლინოვთან.

ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები პროფესორ კოსინსკის და შპაკოვის ლექციებით „არიან გატაცებული. გიორგი კი ერთხელ თუ ორჯერ დაესწრო მათ ლექციებს. ან სად ეცალა, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო დოლინოვის კურსებზე მეცადინეობა. ამ პერიოდში გიორგი და შალვა მესხიშვილი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ ხერსონის ქუჩაზე.

ჩემს თხოვნაზე ამხანაგებს მოეწოდებინათ ცნობები გიორგი იშხნელზე, მივიღე შალვა მესხიშვილისაგან ვრცელი წერილი, რომელიც სხვათა შორის მწერდა: „გიორგი ძალიან სერიოზულად მუშაობდა მსახიობის ტექნიკის დაუფლებაზე და ცდი-

ლობდა ელაპარაკნა რუსულად უაქცენტოდ. მაგალითად, დაიწყებდა „ხლებ“, მერე უფრო რბილად „ხლლებ“ და ბოლოს იქამდის მიდიოდა, რომ სულ რბილად ამბობდა „ხლიებ“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგიმ რუსული კარგად იცოდა და მახვილის ხმარებაში თითქმის არასოდეს არა სცდებოდა... გიორგი ისე იყო გატაცებული თავისი მუშაობით, რომ ისეთ მოვლენასაც—კი, როგორიც იყო რუსეთ-იაპონიის ომი, შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ჩვენ, სტუდენტები, გაფაციცებით ვადევნებდით თვალყურს ფრონტის ამბებს, ვკითხულობდით კორესპონდენციებს და სტუდენტთა სასადილოში ცხარე სჯა-ბაასი და კამათი გვქონდა. გიორგი მონაწილეობას არ იღებდა ერთხელ, აღარ მახსოვს ვიღაც შეეკითხა გიორგის, რატომ არ აინტერესებს მას ომის ამბები. გიორგიმ უპასუხა „ომი რომ გათავდება, მერე ერთბაშად წავიკითხავ ყველა ცნობებსაო“. ჩვენ გაგვაოცა ამ პასუხმა, გვეგონა ხუმრობსო, მაგრამ ხუმრობისა ვერაფერი შევამჩნიეთ“.

ამ პერიოდში თეატრალური ხელოვნებით გატაცებას გიორგი იშხნელის ცხოვრებაში სხვა გრძნობაც დაემატა — არა ნაკლებ ძლიერი. მუსიკის დიდ მოყვარულ გიორგის თავისი დიასახლისის ბინიდან ხშირად მოესმის ბეთჰოვენის და შოპენის მუსიკის საუცხოო ჰანგები. გიორგის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობდა და მთლად სმენად გადაიქცეოდა, როცა ისმენდა ბეთჰოვენის მე-5 საფორტეპიანო კონცერტს. დიასახლისი ქალი ალექსანდრა ლოგინოვაც დაინტერესდა ახალგაზრდა სიმპათიური სტუდენტით და როცა კი გიორგი შინაა, გაისმის ბეთჰოვენის წარმტაცი მუსიკა. ასე ჩაისახა ამ ორ ფაქიზ ადამიანს შორის სიყვარულის გრძნობა. ფრანგულ ენაზე შემონახული დღიურიდან ვიგებთ, თუ როგორ სწვავს სიყვარულის ალი ალექსანდრას, დღიურში ალაგალაგ მაშინდელი ახალგაზრდობის საყვარელი პოეტის ნადსონის ლექსებსაც ვხვდებით. მალე ახალგაზრდათა სიყვარული შეუღლებით დაგვირგვინდა. კარგი წყვილი იყვნენ მეუღლენი, წლოვანებით

ტოლნი, ფაქიზნი, უეშმაკონი. ალექსანდრა სრულიად უფასოდ საკვირაო სკოლაში მუშის ქალებს მუსიკას ასწავლიდა და ამ სასწავლებლის საქმიანობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. სხვათა შორის ნინო ლოლაძე გადმოგვცემდა, რომ იშხნელის მეუღლესთან სწავლობდა პიანინოზე დაკვრას და რაიმე გასამრჯელო რომ გამეღო, ამას დიდ შეურაცხყოფად მიიჩნევდაო[1].

დოლინოვის კურსების პირველი გამოშვებაა. მასწავლებელი ამაყობს თავისი უნიჭიერესი მოწაფით. ყველა გამოჩენილი მსახიობი, რომელიც—კი საგასტროლოდ ჩამოდის ოდესაში და დოლინოვის კურსებს ეწვევა, აღტაცებულია გიორგი იშხნელით.

1906 წლის 6 ნოემბერს, ორშაბათს, სიბირიაკოვის თეატრს აუარებელი ხალხი მოაწყდა. აქ არიან მსახიობები, ხელოვნების მოყვარულნი, მოსწავლე ახალგაზრდობა და მათ რიცხვში ოდესაში მცხოვრები თითქმის ყველა ქართველი. ან რომელი ქართველი სტუდენტი დააკლდებოდა იმ სპექტაკლს, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა მათი საყვარელი ამხანაგი გიორგი იშხნელი. დგამენ ჟულავსკის პიესას „ეროსი და ფსიქეა". მთავარი როლი დაკისრებული აქვს გიორგის. გამოჩნდა თუ არა სცენაზე გიორგი და წარმოთქვა პირველი ფრაზა, მთელი დარბაზი გაინაბა, მოიხიბლა. არაჩვეულებრივი, გულის სიღრმეში ჩამწვდომი ხმა ვის არ დაატკბობდა. რამდენი სილამაზე იყო მის ძლიერსა და ხავერდოვან ხმაში. რა მდიდარი იყო ის ნიუანსებით, ყველა ბგერა, ყველა ფრაზა საუცხოო დიქციის წყალობით გარკვევით აღწევდა მაყურებლამდე. აი რასა გვწერს ამ სპექტაკლის დამსწრე შალვა მესხიშვილი:

„მე დავესწარი სიბირიაკოვის თეატრში დოლინოვის კურსების მსმენელთა მიერ შესრულებულ წარმოდგენას „ეროსი და ფსიქეა". სრულებით მიუდგომლად უნდა აღვნიშნო, და ეს

---

[1] ლოგინოვას მახლობლების გადმოცემით ალექსანდრას მიწერ-მოწერა ჰქონდა ლევ ტოლსტოისთან.

იყო საერთო აზრი, რომ გიორგიმ ბრწყინვალედ შეასრულა თავისი როლი, ეს რეცენზიაშიც იყო აღნიშნული".

მეორე დამსწრე, დამსახურებული ექიმი კიაზო ბარნაბიშვილი გადმოგვცემს: „ამ წარმოდგენაზე მყოფმა ცნობილმა მსახიობმა ხარლამოვმა საჯაროდ განაცხადა — სცენას ემატება დიდი ტალანტი, მარტო მისი ხმა საკმარისია იმისათვის, რომ ტრაგედიულ როლებში ხელოვნების მწვერვალები დაიპყროსო".

გიორგის მეგობრების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ოდესის ყველა გაზეთმა ერთხმად პირველობა გიორგის მიაკუთვნა.

ქართულმა გაზეთმა „მეგობარმა" თავის 1906 წლის 19 ნოემბრის № 47-ში შემდეგი აღნიშნა:

„6 ნოემბერს არტისტმა დოლინოვმა სიბირიაკოვის თეატრში გამართა წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მისი მოსწავლეები. ამ დოლინოვმა სამი წელიწადია რაც დააარსა დრამატული კურსები. წელს მოსწავლეები კურს ამთავრებენ და გამოსაცდელად დადგეს „Эрос и Психея". ამ კურსდამთავრებულ მოწაფეთა შორის ერია ქართველი სტუდენტი. ეს უკანასკნელი მიღებულ იქნა კურსებზე უფასოდ, როგორც ნიჭიერი ყმაწვილი. იშხნელმა პასუხსაგები როლები შეასრულა (ეს პიესა 6 სხვადასხვა დროის სურათისაგან შედგება და ყველაში იღებდა მონაწილეობას), მაგრამ მაინც არც მასწავლებელს და არც საზოგადოებას იმედი არ გაუცრუა. ხელოვნების მცოდნეთა სიტყვით, იშხნელი საუკეთესო იყო თავის როლებში — დრამატულში. სხვათა შორის ახალგაზრდა მსახიობს მდიდარი სასცენო ხმა აქვს. ვუსურვებთ იშხნელს გამარჯვებას და ქართულ სცენას ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობით დამშვენებას.

მროველი".

— ეს სპექტაკლი კარგა ხანს მსჯელობის საგნად იყო ჩვენს სათვისტომოში, — იგონებს კიაზო ბარნაბიშვილი. — ჩვენ,

ა. ლოგინოვა (გ. იშხნელის მეუღლე)

ქართველი სტუდენტები, ხანდახან ვეწვეოდით ხოლმე ნიკო აბდუშელიშვილს, რომელსაც ღვინის სარდაფი ჰქონდა ოდესაში, როგორც „კახეთის“ და „საეროს“ საზოგადოების წარმომადგენელს. ერთ საღამოს, თვე და რიცხვი არ მახსოვს, ოთხი სტუდენტი ვეწვიეთ აბდუშელიშვილს. გულღიად დაგვხვდა ნიკო და საუბრისას გაგვიცხადა, ოღონდ ის იშხნელი მომიყვანეთ, მისი ხმა მომასმენინეთ და კარგი სადილით გაგიმას-

პინძლდებითო. ჩვენც შევუსრულეთ აბდუშელიშვილს ეს თხოვნა. უნდა გენახათ რა აღფრთოვანებით შეყურებდა მას-პინძელი დინჯად მოსაუბრე გიორგის.

გიორგის წარმატება ქალაქ ოდესის ფარგლებსაც გასცდა. ანტრეპრენიორები წინადადებას აძლევენ მას მოაწეროს ხელი კონტრაქტს და იმუშაოს მათთან სეზონში მსახიობად. გიორგის მამის ხათრი აქვს და გადაწყვეტს დაამთავროს უნივერსიტეტი და სასცენო კარიერაზე მერე იფიქროს.

გიორგი ბუნებით მეტად თავმდაბალი ადამიანი იყო. მას თავისთავზე ლაპარაკი არ უყვარდა, ერიდებოდა რეკლამას. ისე დაამთავრა თავისი ცხოვრება, რომ არც ერთ როლში სურათიც კი არ გადაუღია. ამიტომ ყოველ მკვლევარს გაუჭირდება თანმიმდევრულად აღნუსხოს ამ მეტად საინტერესო ადამიანის განვლილი გზა დოლინოვის კურსების დამთავრებიდან საქართველოში დაბრუნებამდე. ამ პერიოდის დოკუმენტური მასალები, რაც მოგვეპოვება, შეიძლება დეტალებში არ იყოს ზუსტი. ჩვენ მაინც მოგვყავს ეს დოკუმენტები, რომ შემდეგში მკვლევარმა ისარგებლოს ამით და დააზუსტოს ქართული თეატრის ამ უნიჭიერესი მსახიობის ცხოვრების მატიანე.

1937 წლის „საბჭოთა ხელოვნების“ № 2-ში გამოქვეყნდა შ. იმედაშვილის წერილი „ქართული სცენის დიდი მსახიობი“. მოგვყავს ის ადგილები, რომელიც ეხება იმ პერიოდს, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი:

„...ეს კურსები დიდის წარმატებით დაამთავრა 1906 წელს. იგი უნივერსიტეტში მაინც ირიცხება, წარმატებით სწავლობს, გადადის შემდეგ კურსზე და ზაფხულის დამდეგისთანავე მიემგზავრება ქ. მოსკოვს ალ. სუმბათაშვილ-იუჟინთან.

პირველ შეხვედრისთანავე გ. არადელი-იშხნელი ალ. სუმბათაშვილის დიდ ყურადღებას იპყრობს და მისი შემწეობით ახალგაზრდა გიორგი გამოდის უკვე მოსკოვის სცენაზე — „Лес“-ში. დიდი წარმატება, დასახული მიზნის მიღწევა, თითქოს დიდი პერსპექტივები გაიშალა, მაგრამ ეს ამბავი აღწევს

ანატოლ დოლინოვი (მსახიობი და რეჟისორი)

მის მშობლებამდე, მამამისი ველარ ისვენებს: „რა ვქნა, საკუთარი ხელით შვილი დავღუპე, მე უნივერსიტეტში გავგზავნე, ის კი ქვეყნის სამსხვერპლო გზაზე შედგაო“ და აღარ ასვენებს შვილს: „ცოცხალს ნუ გვმარხავ, სირცხვილს ნუ გვაყრი, გაათავე უნივერსიტეტიო“. ასეთი ხვეწნა-მუქარით ნიკოლოზი ისევ აბრუნებს გიორგის უნივერსიტეტში სწავლის დასამთავრებლად. აქ რჩება 1908 წლამდე, იგი მე-4 კურსის სტუდენტია, მაგრამ სცენას მაინც არ შორდება და ადგილობრივ (ოდესის) რუსულ დრამაში მუშაობს“.

სამწუხაროდ წერილში არ არის აღნიშნული, თუ მოსკოვში როდის და რომელ თეატრში ითამაშა. ერთი კი დადგენილია და უდავო — გიორგი თუ ქართულ სცენას შერჩა, ეს ალექსანდრე სუმბათაშვილის მეოხებით.

ყველასათვის ცნობილია, რომ ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი დიდად დაახლოებული იყო მშობლიურ სცენასთან და ქართული ხელოვნების აყვავებას შესტრფოდა. სწორედ სუმბათაშვილმა მოსწერა წერილი ქართულ დრამატულ საზოგადოებას და ურჩევდა ხელი შეეწყოთ დიდად ნიჭიერი ახალგაზრდისათვის.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნინო დავითაშვილი არადელი-იშხნელის ხსოვნის საღამოზე აღნიშნავდა: „გიორგი იშხნელი გავიცანი 1908 წელს. მანამდე გიორგიზე დიდი ქება მსმენია ოდესის სტუდენტებისაგან, რომლებიც მოწმენი იყვნენ მისი გამოსვლებისა დოლინოვის კურსების დამთავრებისას. ამავე გამოსვლებს ესწრებოდა ა. სუმბათაშვილი-იუჟინი. გიორგის ნიჭს აღტაცებაში მოუყვანია იგი. „აი ქართველი, რომელსაც სიამაყით მივიწვევ მცირე თეატრშიო“ (მართლაც მალე მოსვლია გიორგის მცირე თეატრიდან მოწვევის ბარათი)“.

ამასვე ადასტურებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნიკო გვარაძე, რომელიც მონაწილე იყო იშხნელის სადებიუტო წარმოდგენისა 1908 წლის 14 დეკემბერს. ნ. გვარაძეს ოვით გი-

ორგისაგან აქვს გაგონილი — დიდი მსახიობი სუმბათაშვილი ოდესაში გავიცანი პირველად გამოსაცდელი წარმოდგენის ღამესო.

მამის ხათრით იშხნელმა დასთმო მოსკოვი, სახელოვანი მცირე თეატრი და ოდესაში დაბრუნდა უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. საყვარელ სცენას რომ არ ჩამოშორდა, ამაზე ზემოთ გვქონდა მოხსენებული; ამავე გარემოებას ადასტურებენ მისი ამხანაგები. სხვათა შორის, პარკაძის მეუღლემ ნინო ლოლაძემ შემდეგი გადმოგვცა: „1908 წელს ოდესის დრამატულ თეატრს მოევლინა რეჟისორად კოტე მარჯანიშვილი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა აფიშებში ვლადიმერ მესხიშვილის გვარიც ამოვიკითხეთ. მესხიშვილის პირველსავე გამოსვლას მტრულად შეხვდნენ შავრაზმელები და მათი გაზეთის რეცენზენტი ეპითეტებს არ იშურებდა დაემცირებინა სცენის ტიტანი, ჩვენი საამაყო მსახიობი.[1] ამ წელიწადს სეზონის დაწყების წინ „ოდესკიე ნოვოსტში“ გამოქვეყნდა კოტე მარჯანიშვილის ინტერვიუ (საუბარი) კორესპონდენტთან მომავალი მუშაობის შესახებ. სხვათა შორის, ამ საუბარში აღნიშნული იყო, რომ დასში იმუშავებს ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი გ. იშხნელიო“.

ისმება საკითხი, მანამდე იცნობდა თუ არა კოტე მარჯანიშვილი სტუდენტ გ. იშხნელს. ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე ბაგროვის ანტრეპრიზის სეზონის დაწყებამდე, სახელდობრ 1907 წლის თებერვლის მეორე ნახევარში, კოტე მარჯანიშვილი ოდესაში იყო ლეონიდ ანდრეევის „ჟიზნ ჩელოვეკას“ სპექტაკლით (ი. დუვან-ტორცოვის ანტრეპრიზა) და, უეჭველია, აქ გაიცნო სტუდენტი მსახიობი გიორგი იშხნელი. გიორგის მიწ-

---

1 ამ პერიოდში ოდესის ქალაქის უფროსად იყო ცნობილი შავრაზმული გენერალი ტოლმაჩოვი. უეჭველია, ამ გენერლისათვის ცნობილი იყო დიდი მსახიობის ლადო მესხიშვილის როლი ქუთაისში რევოლუციური მოძრაობის დროს. ცხადია, ტოლმაჩოვმა პირდაპირ გაძევება ვერ მოუხერხა მესხიშვილს და ამიტომ თავის აგენტები დარაზმა მის წინააღმდეგ. ავტ.

ვევა რომ კოტე მარჯანიშვილს განზრახული ჰქონდა, ამას გვიდასტურებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნიკო გვარაძე, რომელიც 1912 წელს ქუთაისის დასში ყოფნისას გიორგისთან ერთ ბინაში ცხოვრობდა.

ქართული თეატრის შენობის რეკონსტრუქცია დამთავრდა. დრამატული საზოგადოების გამგეობა შეუდგა დასის შედგენას. ალექსანდრე სუმბათაშვილის წერილი გაახსენდათ და მოლაპარაკება დაიწყეს გ. იშხნელთან. როცა არჩევანი დადგა სად დაეწყო მუშაობა — ანტრეპრენიორ ბაგროვთან; თუ ქართულ სცენაზე; უპირატესობა ამ უკანასკნელს მიეცა და 1908 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში გიორგი თბილისში ჩამოვიდა. როგორ მიიღო სცენამ თავისი შვილი, ამაზე მესამე თავი მოგვითხრობს.

თავი III
პირველი ნაბიჯები

აკაკი წერეთლის იუბილე 1908 წლის 7 დეკემბერს შედგა. მთელმა საქართველომ მიიღო მონაწილეობა ამ სახალხო ზეიმში. თბილისის გაზეთები მთელი კვირის განმავლობაში აქვეყნებდნენ იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვებს, მილოცვებს. აურაცხელ დეპეშებიდან ყურადღებას იპყრობდა გამოჩენილ ხელოვანთა — კონსტანტინე სტანისლავსკის და ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს გულწრფელი მისალმება. სიამაყის გრძნობით იღჭურვებოდით, როცა ხედავდით რომ დიდი ერის საუკეთესო შვილნი პატარა ერის სიხარულის მონაწილენი ხდებოდნენ. ეს საზეიმო განწყობილება მით უფრო ორკეცდებოდა, როცა იგივე გაზეთი „დროება“ № 23 გვამცნობდა: „კვირას, 14 დეკემბერს, 1908 წელს, დილით დანიშნულია ქართული თეატრის აღდგენილი შენობის საზეიმო გახსნა“.

სამ წელზე მეტ ხანს ქართული დასი საკუთარ შენობას იყო მოკლებული და სამადლოდ აქ-იქ თავშესაფარს ეძებდა. არტისტული საზოგადოების თეატრის კარი ქართული დასისათვის მაგრად იყო გამოკეტილი ისაი ფითოევის მიერ; ხოლო სახაზინო თეატრის მმართველნი თუ მოწყალებას გაიღებდნენ და ორშაბათობით „დაუპატიჟებელ სტუმრებს“ უთმობდნენ სცენას, მასპინძლების ამ მოწყალებას ზედ ერთოდა ისეთი ქირა, რომ შემოსავალი გასავალს ძლივს ფარავდა.

ამიტომაც ყველას ახარებდა საკუთარი თავშესაფრის, კოხტა პატარა თეატრის აღდგენა. არც თუ ისე პატარა იყო ეს თეატრი, 900 კაცს იტევდა და მაშინ მეტი არც იყო საჭირო. სა-

ზეიმო დილა არც კი იყო დამთავრებული, რომ თეატრის სალაროსთან მოსწავლე ახალგაზრდობამ მოიყარა თავი. ახალგაზრდობის მხიარულმა ჟივილ-ხივილმა აახმაურა სასახლის ქუჩის ერთ-ერთი საუკეთესო შენობის ეზო.

დავით ერისთავის ტრადიციული „სამშობლოთი“ იხსნება სეზონი. მაგრამ ამ ტრადიციაში ახალიც არის შეტანილი. პირველი ის, რომ სპექტაკლს რეჟისორობს არაპროფესიონალი — ნაფიცი ვექილი სანდრო ყანჩელი. რატომ გადადგა დრამატულმა საზოგადოებამ ასეთი ნაბიჯი და ნაფიცი ვექილი მოიწვია რეჟისორად? ეს აიხსნება პროფესიონალ რეჟისორების ნაკლებობით. ვლადიმერ მესხიშვილი ამ დროს ოდესაში მუშაობდა ბაგროვის ანტეპრიზაში, როგორც რეჟისორ-მსახიობი, მიხეილ ქორელს მასწავლებლობისათვის თავი ჯერ არ დაენებებინა, ვალერიან შალიკაშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, დიდი მსახიობი ვასო აბაშიძე რეჟისორობას გაურბოდა, შალვა დადიანი პერიფერიებში იწყებდა მოღვაწეობას. რეჟისორი კი სჭირდებოდა თეატრს და არჩევანი სანდრო ყანჩელზე შეჩერდა. ნაფიცი ვექილი სანდრო ყანჩელი, მართალია, არასოდეს მსახიობი არ ყოფილა, მაგრამ მისი დიდი კულტურა, დაუშრეტელი ფანტაზია და მჩქეფარე ნიჭი ყველასათვის ცნობილი იყო. ნიჭიერი ფელეტონისტი, ლექსების საუცხოო მთარგმნელი, იშვიათი სმენის პატრონი, თეატრის დიდი მცოდნე და მოყვარული სანდრო ყანჩელი დათანხმდა და სეზონის სამზადისს შეუდგა. მტერ-მოყვარე ხომ კაცს არ დაელევა და სანდრო ყანჩელს სარკაზმით, თუ ხუმრობით ტელეფონის რეჟისორს უწოდებდნენ. როცა რეჟისორს არ სცალია და ოლქის სასამართლოში, ან პალატაში საქმეზე გამოდის, სასამართლოდან თეატრში თანაშემწეს ტელეფონით უგეგმავს მიზანსცენებსო — ოხუნჯობდნენ სანდროს მეგობრები.

რეჟისორმა დეკორაციების დახატვა მიანდო მხატვრებს მოსე თოიძეს, ლოპატინსკის და დეკორატორ ნოვაკს. ამით სპექტაკლისადმი ინტერესი გაძლიერდა და ამას ზედ დაერთო

საზოგადოებისათვის სრულიად ახალი მსახიობი გიორგი იშხ-ნელი ლევან ხიმშიაშვილის როლში... შეიძლება ის უცნობი იყო პარტერში მჯდომთათვის, მაგრამ თეატრით გატაცებულ ახალგაზრდობისათვის კი ნაცნობი... მათ იციან, რომ ახლად მოწვეული მსახიობი უმაღლესი განათლებით არის აღჭურვი-ლი. მსახიობთა ბიოგრაფია ახალგაზრდობამ უკეთ იცის. მათი საყვარელი მსახიობები ზოგი ყოფილი ბუკინისტია (სოსო ივანიძე), ზოგი რკინიგზის ყოფილი კონდუქტორი (ვალერიან შალიკაშვილი), სახელოსნო სასწავლებლის მოწაფე, ქართული გიმნაზიიდან გამორიცხული, ფარმაცევტის შეგირდი და სხვა და სხვა. ისიც იციან, რომ არიან მათ რიცხვში დიდი კულტუ-რის მქონე ადამიანებიც — ყოფილი პედაგოგი დიდი მსახი-ობი ვასო აბაშიძე, უმაღლესი განათლებით აღჭურვილი კოტე შათირიშვილი და სწორედ ამ უკანასკნელთა რიცხვს ემატება ახალი ძალა.

დაიწყო სპექტაკლი და თითქოს მდუღარეზე ცივი წყალი გა-დაასხეს ხალხს. რა უბრალოდ ლაპარაკობს ლევანი, გეგონებ ით შინ არისო თავის მახლობლებს შორის და არა უცხო ხალხით გაჭედილ დარბაზშიო. ფარდა დაეშვა და აქ-იქ ტაშის ხმა მალე შეწყდა. ანტრაქტებში გაცხარებული კამათია. აუგის მთქმელნი სჭარბობენ.

ყურმოკრულ საუბარს გადმოგცემთ:

— ახ სად არის ლადო? — ოხვრით იძახის ფერმკრთალი. წელში ოდნავ მოხრილი, ხანდაზმული, ჩხირად ქცეული ინტე-ლიგენტი.

— Дутая знаменитость — აპლომბით აცხადებს სისხლსავ-სე, ცხოვრების ნებიერი შვილი და ამაყად გადახედავს მოსა-უბრეთ.

— ხმაზე, ხმაზე რალას იტყვი — გაისმის მოსწავლეთა ჯგუფში.

არცერთ ანტრაქტზე კამათი არ შეწყვეტილა და თითქმის ერთხმად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს დებიუტანტს. მესამე დღეს გაზეთი „დროება“ აღნიშნავდა:

„14 დეკემბერს გაიხსნა ახლად გადაკეთებული ქართველ თავადაზნაურთა თეატრი... საღამოს დაიწყო ქართული სათეატრო სეზონიც. წარმოდგენილი იქნა „სამშობლო“. წარმოდგენის ინტერესს შეადგენდა ახალი არტისტის პირველი გამოსვლა ბ-ნი იშხნელის — ხიმშიაშვილის როლში. ბ-ნი იშხნელს კარგი გარეგანი თვისებები აქვს არტისტისა: მშვენიერი ხმა, მოხდენილი გარეგნობა, ლამაზი მიხრა-მოხრა, შესაფერი თავის დაჭერა სცენაზე. რაც შეეხება მის თამაშს, იგი ამ საღამოს მეტად ცივი იყო, მაგრამ მაინც გადაჭრით ჯერ არას ვიტყვით. არტისტი სხვა როლებშიც უნდა ვნახოთ და დრო მივცეთ შეეჩვიოს საზოგადოებას (გაზ. „დროება“ № 25, 1908 წ. 17 დეკემბერი).

რეცენზია დაბეჭდილია ხელმოუწერლად. ავტორი არ იჩქარის მსახიობის ერთის ნახვით საბოლოო დასკვნა გამოიტანოს. ავტორი თვალს არ ხუჭავს და ნაკლთან ერთად დადებით თვისებებსაც აღნიშნავს. ასე როდი მოიქცა მეორე რეცენზენტი, იგი კალმის ერთი მოსმით შეეცადა დაესამარებინა მსახიობი და ვერაფერი კარგი ვერ დაინახა დებიუტანტის თამაშში. მაგრამ ძაგება ხომ იოლი საქმეა. მოვუსმინოთ ავტორს: „...ჩვენ პირველად დავინახეთ სცენაზე ბ. იშხნელი (როგორც გავიგეთ, ის საიდღანაც გამოუწერიათ), მისი უსიცოცხლო თამაში, მისი ერთგვარი კილო და მიხრა-მოხრა უკანასკნელ სულს აცლიდა პიესას. არის პიესაში ისეთი ადგილები, რომლებიც თითქმის მთელ პიესად ღირს. მაგ., როცა ლეონიძე გაიგებს, რომ ლევანი მისი ცოლის საყვარელია, როცა ლევანს ეძახიან მოღალატეს, როცა ის გაიგებს, რომ ქეთევანმა გასცა შეთქმულები. ლევანი ამ დროს საშინელ სულიერ ბრძოლას განიცდის, გიჟდება, გონება ებნევა. ბ-ნი იშხნელი ამ დროს საცოდავად

განახლებული ქართული თეატრის შენობა

მოკუნტული, გაბუტული, პატარა ბავშვს უფრო გავდა, ვიდრე აღგზნებულ ჭაბუკს. ძალიან დაკვირვება იყო საჭირო, რომ შეგემჩნია რამე ცვლილება მის სახეზე. ლაპარაკში და მიხრა-მოხრაში თავიდან ბოლომდე ის თითქოს გაბუტული იყო და ვიღაცას უჯავრდებოდა... („ალი", 1908 წ. 17 დეკემბერი. № 37).

დებიუტანტს რუსული გაზეთი „ზაკავკაზსკოე ობოზრენიეც" გამოეხმაურა და თავის 1908 წლის 16 დეკემბრის № 77-ში სხვათაშორის წერდა:

„...ამ საღამოს მთავარი ყურადღება მიქცეული იყო დებიუტანტ იშხნელზე. არტისტი გამოვიდა ქეთევანის საყვარელის და მისი მეუღლის მეგობრის ლევან ხიმშიაშვილის როლში. აღნიშნული როლი მეტად პასუხსაგებია და ძლიერ დრამატიული. ახალგაზრდა მსახიობს თავი უჭირავს სცენაზე თავისუფლად. დიქცია და ხმა კარგი აქვს. ემჩნევა ქართული ენის კარ-

გი ცოდნა. ჩვენის აზრით დიდი ნაკლია მსახიობისა როლის ცივად, უსულგულოდ და ერთფეროვნად შესრულება, რამაც დაღუპა მთელი საქმე. ამ არტისტის შესახებ ჩვენ შემდეგ გვექნება ლაპარაკი.“

თუ „დროებამ“ და „ზაკავკაზსკოე ობოზრენიემ“ მსახიობის ბევრი დადებითი თვისება აღნიშნეს და საბოლოო დასკვნისაგან თავი შეიკავეს, „ალის“ რეცენზენტმა თითქმის ჯვარი დაუსვა დებიუტანტს.

ნუთუ შეცდნენ პედ-გოგები, როცა დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ მოსწავლეს? ვთქვათ. არასპეციალისტები მოტყუვდნენ! მაგრამ გამოცდილი რეჟისორი ა. დოლინოვი? იგი ხომ თავისი კურსების ყველაზე ნიჭიერ მსახიობად იშხნელს მიიჩნევდა... ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი? გამოსაცდელ წარმოდგენაში ამ ყრმის თამაშით მოხიბლული მცირე თეატრში ეპატიჟებოდა გიორგის! არა, ისინი არ შეცდარან!

იშხნელს კერ გაუგეს დებიუტის დამსწრეებმა, რეცენზენტებმა. აი საკითხი, რომელიც ძალაუნებურად წამოიჭრება და განმარტებას საჭიროებს.

უწინარეს ყოვლისა, თანამედროვე თეატრის მიერ მართებულად დაგმობილ და დრომოჭმულ ამპლუის საკითხს უნდა შევეხოთ.

რევოლუციამდელ თეატრში მსახიობები ამპლუების მიხედვით იყვნენ დაყოფილნი. დიდ მკრეხელობად ჩაითვლებოდა რეზონიერს ფატის როლი შეესრულებინა, კომიკს ტრაგიკოსის და ა. შ. ასეთ დაყოფას ამპლუების მიხედვით თავისი დადებითი და დიდი უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. დადებითი იყო — განსაზღვრულ ხასიათის როლებში დახელოვნება, უარყოფითი — ერთგვარად ვიწრო ჩარჩოებში მოქცევა, წინასწარ გამომუშავება თამაშის ხერხებისა, მზამზარეული სახეების გამეორება — რაც თეატრალურ წრეებში შტამპად იწოდება. ამპლუების მიხედვით იწერებოდა პიესებიც და დრამა-



თეატრის დარბაზი

ტურგები ბევრჯერ მოქმედ პირთ თვითონვე მიაწერდნენ ხოლმე — გმირი, რეზონიერი, ფატი, კომიკი და სხვა. განსაკუთრებული ნიჭის მსახიობნი ამ ვიწრო ჩარჩოში ვერ თავსდებოდნენ და ბევრი მათგანი ერთნაირის სიძლიერით ასახიერებდა როგორც კომიკურ, ასევე ტრაგიკულ როლებს. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ლადო მესხიშვილის ფრანცი შილერის „ყაჩაღებში“ და სუხოვო-კობბლინის „კრეჩინსკის ქორწინებაში“ რასპლუევის კომიკური სახე, ან ივანე მოსკვინის ტრაგიკული მეფე თედორე ალექსი ტოლსტოის ამავე სახელწოდების პიესაში და ეპიხოდოვის კომიკური სახე ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღში“, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის ტრაგიზმით აღსავსე შეილოკი შექსპირის „ვენეციელ ვაჭარში“ და სკრიბის „ჭიქა წყალში“ ბელენბროკი, ან ჩვენი თანამედროვე მსახიობის უშანგი ჩხეიძის ჩენჩი შელის „ბეატ-

რიჩეში“ და ყვარყვარე პოლიკარპე კაკაბაძის ამავე სახელწოდების პიესაში. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგალითისათვის ესეც კმარა.

ამ მოყვანილ მაგალითებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნამდვილი ხელოვანი ერთგვარად გრძნობს ცხოვრების ყოველგვარ მაჯისცემას და თავის არტისტულ შემოქმედებაში თანაბარი სიძლიერით მოახდენს მის გამოსახვას.

ამ დებულებას ბევრი „მაგრამ“ ახლავს; განა დიდად ნიჭიერ მსახიობს ლადო მესხიშვილს — დრამატული როლების იშვიათ შემსრულებელს და კომიკურ რასპლუევის გენიალურად წარმომსახველს, ყველა კომიკური როლი შეეძლო შეესრულებინა?.. არა და არა! გაგვიგონია, ახალგაზრდობისას ლადოს ქ. ორჯონიკიძეში „ხანუმაში“ აკოფას როლი შეუსრულებია. „ჩემზე საცოდავი არავინ იყო იმ საღამოს“— უთქვამს ლადოს და დარწმუნებული ვართ ასეც იქნებოდა. განა დიდი მსახიობი ნატო გაბუნია, რომელიც საუცხოოდ ასახიერებდა „სამშობლოში“ მოხუცი დედაკაცის როლს, საცოდავი არ იყო ამავე პიესაში ქეთევანის სახის განსახიერებისას? ხომ მოხუცი დედაკაციც და ქეთევანიც დრამატული როლებია? მაშ რით აიხსნება ერთის შემოქმედების მწვერვალამდე აყვანა და მეორესი კი წახდენა? აიხსნება იმით, რომ პირველისათვის ხმა, ფიზიკური აღნაგობა შესაფერისი იყო. მეორისათვის კი არც ხმა და არც გარეგნობა ხელს არ უწყობდა მსახიობს. ან შევეხოთ ტემპერამენტს, რაც ნიჭიერების პირველი საზომთაგანი არის. ოტელოს განმსახიერებელ მსახიობისათვის საჭიროა ვულკანისებური ტემპერამენტი, კასიოსათვის კი საკმარისია პატარა შინაგანი სითბო. ან თუ ოტელოსათვის აუცილებელია ძლიერი ხმა, კასიოს როლის შემსრულებელი იოლად წავა კარგად დაყენებული პატარა ხმით. არის კატეგორია მსახიობებისა, რომელნიც უხვად არიან ბუნებისაგან დაჯილდოებულნი ჩვილი გრძნობით და ამიტომაც ძლიერნი არიან ისეთ პიესებში, სადაც ლირიზმი მეტია.

ორი დიდი მსახიობი მინდა დავუპირისპირო ერთმანეთს — ლადო მესხიშვილი და მამონტი დალსკი. იქ სადაც ლირიზმი იყო საჭირო, მესხიშვილი იმონებდა მთელ დარბაზს, ხოლო იქ, სადაც მრისხანება — მამონტი დალსკი გატყვევებდათ.

სწორედ ეს ლირიზმი, ნაზი გრძნობები, რომანტიკული პათოსი და ვულკანისებური ტემპერამენტი აძლევდა ლადო მესხიშვილს საშუალებას ლევან ხიმშიაშვილის როლი სრულყოფილად წარმოესახა.

დიდი ტემპერამენტის მქონე გიორგი იშხნელი, ძველის გაგებით, წმინდა წყლის რეზონიერი იყო, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, გმირი-რეზონიერი და ამიტომაც რომანტიკული ლევან ხიმშიაშვილი მის არტისტულ ბუნებას ვერ მიუდგა. აი წარუმატებლობის ერთი მიზეზთაგანი. მარცხი კიდევ იმით იყო გამოწვეული, რომ იშხნელმა მეტად გააუბრალოვა ლევან ხიმშიაშვილის როლი. ეს უბრალოება ექსპანსიურ ჩვენს მაყურებელს არ მოეწონა. რომანტიკულ პათოსის მოყვარულთ გიორგი იშხნელი ვერ დააკმაყოფილებდა. იმ პერიოდში, როცა იშხნელი მოევლინა ჩვენ სცენას, მოსკოვის სამხატვრო თეატრი ხელოვნების მწვერვალებს იპყრობდა და მისი გავლენა რუსეთის ყველა თეატრზე მეტისმეტად დიდი იყო. თეატრს ბევრი მიმბაძველი და მიმდევარი გამოუჩნდა. სიმართლით ასახო ცხოვრება, იყო ბუნებრივი და დამაჯერებელი სცენაზე, — აი ამ თეატრის ლოზუნგი. ამ გავლენას ვერც ოდესის თეატრის რეჟისორი დოლინოვი ასცდა და ეს შეხედულებანი თავის მოწაფეებს შთაუნერგა. გიორგი იშხნელის სწორედ ამ ბუნებრიობით იყვნენ მოხიბლულნი დოლინოვი და ა. სუმბათიშვილი-იუჟინი.

დიდი მსახიობის ლადო მესხიშვილის მიერ სრულყოფილად განსახიერებულმა ლევან ხიმშიაშვილის გახსენებამ, გ. იშხნელის მიერ როლის მეტისმეტად გაუბრალოებამ, მსახიობის ბუნებისათვის შეუფერებელი როლის დაკისრებამ გამოიწვია მარცხი.

სამუდამოდ თითქოს ჯვარი დაესვა ახალგაზრდის არტისტულ კარიერასო, ფიქრობდა ქართული თეატრის ბევრი გულშემატკივარი, მაგრამ ასე როდი მსჯელობდა ყველა. თეატრალების პატარა ჯგუფს, სწამდა რომ მსახიობი იტყვის თავის სიტყვას. ეს იმედი გამართლდა, მაგრამ არა ისე სწრაფად, როგორც მსახიობის კეთილის მოსურნენი მოელოდნენ.

1909 წლის 2 იანვარს ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის დღეს საზეიმო წარმოდგენა მოეწყო. წარმოდგენილი იქნა გ. ერისთავის „გაყრის“ პირველი მოქმედება, ა. ცაგარელის „მათიკოს“ მესამე მოქმედება, ილია ჭავჭავაძის „სცენები მომრიგებელ შუამავალთან“ და ა. წერეთლის „ბუტიაობა.“

გაზეთ „დროების“ უსახელო რეცენზენტი წერდა „...ამ საღამოს კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი იშხნელი. საყურადღებოა იმის წმინდა ქართული კილო, ტკბილი ხმა, დინჯი მიხრა-მოხრა და თავისუფალი თავის დაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ ლევან ხიმშიაშვილის როლში ბ-ნი იშხნელი სუსტი იყო, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ის მალე საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს სცენაზე“ („დროება“, 1909 წელი № 3, 4 იანვარი, გვ. 3).

ამ პატარა წარმატებამ და გულთბილმა რეცენზიამ პირველი მარცხით მიყენებული ჭრილობა თითქოს მოუშუშა ახალგაზრდა მსახიობს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. გავიდა ერთი კვირა და იშხნელი გვევლინება ალ. სუმბათაშვილის „ღალატში“ ოთარბეგის როლში. სამი-ოთხი რეპეტიციით ოთარბეგის როლის დაძლევა წარმოუდგენელი იყო, მაგრამ რას იზამდა. ჯამაგირს ღებულობ და კეთილი ინებე კვირაში ორ ახალ პიესაში ითამაშე! წინა პიესის განმეორება იშვიათი მოვლენა იყო. სეზონში მესამედ და მეოთხედ პიესა რომ გაემეორებინათ, ისტორიულ მოვლენად იქნებოდა მიჩნეული. ყოველ წარმოდგენაზე ახალი პიესა რომ არ ეჩვენებინათ მაყურებლისათვის, სალაროს არავინ მიეკარებოდა და დარბაზი ცარიელი დარჩებოდა. ძველი მსახიობებისათვის იოლი იყო

წარსულ სეზონებში ნათამაშევი პიესის განმეორება, მაგრამ რა უნდა ექნა იმას, რომელიც პირველად მიიღებდა ამა თუ იმ როლს? ორი რეპეტიციით კმაყოფილდებოდნენ და მოკარნახის იმედით ხსნიდნენ ფარდას.

„ღალატი“ ხალხის საყვარელი პიესა იყო და დღესაც არის. იგი ყოველთვის დიდძალ მაყურებელს იზიდავდა და როლებიც ისე მოერგოთ ჩვენ მსახიობებს, ისეთი სახეები შექმნეს, რომ ძალიან ძნელი იყო ახალი მსახიობისთვის შედარებისათვის გაეძლო. ვალერიან გუნიას ოთარბეგი ხომ კლასიკური შედევრი იყო! განა ტყუილად უთხრა ამ პიესის ავტორმა „შენს ოთარბეგს მე როგორ შევედრებიო“.

მართლაც, ვალერიან გუნიას ოთარბეგი დაუვიწყარი სახეა. მსახიობს არც ერთი როლი ისე არ „მოუხდა“, როგორც ოთარბეგი. რაინდული იერი, მშვენიერი ხმა, დიდი გრძნობები, როლის ყოველივე დეტალის დამუშავება, სრული გარდაქმნა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. თუ ვ. გუნია ჩვენს ბუმბერაზ მსახიობთ ღირსეულად ამოუდგა გვერდში, ეს ოთარბეგის წყალობით. და აი, ამ საღამოს, როცა დებიუტანტს ოთარბეგის როლი დააკისრეს, ვალერიან გუნია სოლეიმან ხანს თამაშობს. მეტად მძიმე ტვირთის ზიდვა მოუხდა გ. იშხნელს. მაყურებელი უყურებს ახალ ოთარბეგს და ვალერიან გუნია აგონდება და სასწორი ამ უკანასკნელისაკენ იხრება. დებიუტანტი ღელავს, ენა ებმება, იბნევა... ისე დამთავრდა სპექტაკლი, რომ ერთი ტაშიც არ ღირსებია. კულისები ისე დაცარიელდა, რომ არავის მსახიობისათვის გამამხნევებელი სიტყვა არ უთქვამს. აფორიაქებული გრძნობებით დაბრუნდა შინ გიორგი. სინანულს ეძლევა. რატომ იკისრა ასე მოუმზადებლად ამ როლში გამოსვლა? რისთვის გაიხადა თავი სასაცილო? არა, თავს უნდა უშველოს, უნივერსიტეტი უნდა დაამთავროს, სახელმწიფო გამოცდები ჩააბაროს და სულ სხვა ცხოვრება დაიწყოს. რამდენიმე დღეს თეატრს აღარ გაკარებია. გაზეთი „დროება“ იყიდა და რეცენზიის წაკითხვით ცეცხლზე ცეცხლი

მოეკიდა. მოვიყვანოთ ამ რეცენზიიდან ის ადგილები, რომ-ლებიც იშხნელს ეხება:

„— ბ-ნმა იშხნელმა ამ საღამოს ყველას ცივი წყალი გადაასხა. აიხადა ფარდა, გამოჩნდა მშვენიერი დეკორაციები, მდიდ-რულად მორთული ოთახი, ძვირფასი და მოხდენილი ტანისამოსი. სოლეიმან ხანი (გუნია), ოთარბეგი (იშხნელი), ყარაუსუფ (შალიკაშვილი), ალრაზაკ (საფაროვი), ერთის სიტყვით ყველაფერი თვალს იტაცებდა, მაგრამ თავშივე აშკარა გახდა, რომ წარმოდგენა ცივად და უგულოდ ჩაივლიდა. ამის მიზეზი უმ-თავრესად იგივე იშხნელი იყო. იმისმა უგულო თამაშმა სხვებ-საც გუნება წაუხდინა და წარმოდგენას აღფრთოვანება დაუ-კარგა. იშხნელი პირველად შეეცადა ეთამაშნა, რამდენიმე წუთით ცდილობდა ოთარბეგის როლი გაეცოცხლებინა, მაგრამ წაუბორძიკდა თუ არა ენა, იჩინა თუ არა თავი როლის უცო-დინარობამ, მაშინვე თითქოს ცივი წყალი გადაასხეს, გაშეშდა და ამის შემდეგ თითქმის წარმოდგენის გათავებამდე იგი აღარ თამაშობდა, სტატისტივით მიდი-მოდიოდა და მხოლოდ სიტყ-ვებს ისროდა ცივად, უგულოდ. არც მიმიკა, არც გრძნობის გამოხატვა, პირისახეც და თვალებიც უცვლელი ჰქონდა. ასე-თივე იყო შემდეგ მოქმედებებშიც. მშვენიერი ადგილი ალრაზა-კის მოკვლისა სულ წაახდინა. ამ სცენაში იშხნელი ხესავით იდგა, როდესაც დედოფალი შემოვიდა ოთარბეგმა ცივად უთხ-რა: „დედოფალო, ალრაზაკი მოჰკლესო“, თითქოს ასე უნდა მომხდარიყო. არის კიდევ მეორე ადგილი სუმბათაშვლის პიე-საში, ოთარბეგის შემსრულებელს ფართო ასპარეზი აქვს და თუ მსახიობი ნიჭიერია და რაიმე უნარი აქვს — თავს გამოი-ჩენს. ასეთია მაგალითად, თუნდაც ის ადგილი, სადაც დედო-ფალი დიდ საიდუმლოებას უზიარებს ოთარბეგს — ჩემი შვი-ლი ცოცხალიაო და სხვა. ბ-ნი იშხნელი აქაც ჩვეულებრივად შვილიო“. ეს ისე სთქვა, თითქოს „იმ შვილის“ პატრონს ორ-ცივად შეხვდა ამ სიტყვებს: „დედოფალო აკი მოჰკლეს შენი მოცდაათი კიდევ სხვა შვილი ჰყოლოდეს და ერთი მათგანი

ცოცხალი იქნება თუ მკვდარი, სულ ერთია, ქვეყანა არც აშენდება, არც დაიქცევაო. ბ-ნმა იშხნელმა უკვე რამდენიმე პასუხსაგები როლი შეასრულა და ვრწმუნდებით, რომ დრამატიულ როლებში სრულიად უვარგისია. იშხნელი ვნახეთ თომას როლში და მშვენიერი იყო, უმჯობესი იქნება ასეთ როლებში გამოვიდეს ხოლმე, თავისთავსაც არ ავნებს და წარმოდგენასაც ხელს აღარ შეუშლის...“ („დროება“, № 9, 1909 წ. 13 იანვარი, გვ. 4).

ასევე მიწასთან გაასწორა გ. იშხნელის თამაში ოთარბეგის როლში „ზაკავკაზსკოე ობოზრენიეს“ რეცენზენტმა. იშხნელი მოკლებულია ყოველივე ტემპერამენტს და ამიტომ თავი უნდა დაანებოს ოთარბეგის ხასიათის როლების შესრულებასო — ავტორიტეტულად აცხადებდა ორ ასო „ის“,—ამოფარებული რეცენზენტი. ასე დასრულდა გიორგი იშხნელის სადებიუტო წარმოდგენები.

პირველ როლებისათვის მოწვეული მსახიობი, უმაღლესი განაკვეთის მქონე, კრიტიკოსებმა დაასამარეს. და კატეგორიულად მოითხოვეს ეპიზოდურ, პატარა, უმნიშვნელო როლებში გამოიყენონ. ვაი, რა სასტიკად დამარცხდა გიორგი! ზოგიერთ კეთილისმდომთა ორაზროვანი ლაპარაკი წონასწორობას აკარგვინებს გიორგის და სულს უფორიაქებს. გულჩათხრობილს და მიუკარებელს მეგობარიც არა ჰყავს, რომ თავისი ბოლმა გაუზიაროს.

ჩვეულებრივად მსახიობები დღისით თეატრის ეზოში იყრიდნენ თავს და მხიარულ სჯა-ბაასში ატარებდნენ დროს. ამავე თეატრის ეზოში მოთავსებული იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მისი წიგნის მაღაზია და სხვა დაწესებულებები. ქართველი მწერლების ნახვა თუ უნდოდა ვისმეს— აქ შეხვდებოდა. განა ვაჟა-ფშაველა ჩარგლიდან ჩამოსვლისთანავე არ მოაკითხავდა ხოლმე თავის მეგობარს, ბავშვების პოეტს შიო მღვიმელს, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში მსახურობდა? განა აქ არ ხვდებოდნენ დიდ აკაკის?

ვასო აბაშიძე — ქართული თეატრის ულამაზესი ლეგენდა, ყოველდღე, რეპეტიცია ჰქონდა თუ არა, აქ იყო. ვის არ შეხვდებოდი აქ? პოეტს, პროზაიკოსს, რეცენზენტს, მსახიობებს, მათ თაყვანისმცემლებს და სხვ.

ვინ არ იხიბლებოდა აქ აკაკის იუმორით, ვასო აბაშიძის მოსწრებული თქმებით, სოსო ივანიძის მიერ მოყოლილი ამბებით, შიოს მოღიმარი სახით და მაშინ ახალგაზრდა მსახიობის საშა იმედაშვილის გულიანი ხარხარით.

ყველა მსახიობი, დიდი თუ პატარა როლების შემსრულებელი, აქ იყო. არ ჩანდა მხოლოდ გიორგი. დიდის ამბით მოწვეულმა საშინელი დამარცხება იგემა... ხელშეკრულების თანახმად ბენეფესიც უნდა მიეღო. მაგრამ რომ მისცენ კიდეც ბენეფისი, თვითონ აღარ ინდომებს.

... რატომ არ წავიდა მცირე თეატრში? იქ ასეთი დღე არ დაემართებოდა! ორ-ორი რეპეტიციით იქ არ დააკისრებდნენ ასეთ მძიმე ტვირთს. უეჭველია ამას ფიქრობდა გიორგი და სეზონის დამთავრებას ნატრულობდა. კიდევ კარგი, რომ ქართული დრამატული დასის სეზონი 4-5 თვეს გრძელდებოდა და არა მთელს წელიწადს. მაგრამ ეს მძიმე ტვირთი სეზონის დამთავრებამდე უნდა ზიდოს და შეიძლება სულ სხვაგვარად წარიმართოს საქმე. დოლინოვის კურსებზე ყოფნისას ხომ გაუგონია მსახიობ იაკობ შუშერინის თავგადასავალი. „მე ჩემის ყურით მესმოდაო — ამბობდა მსახიობი შუშერინი, რომ პარტერში გაიძახოდნენ—გააგდეთ სცენიდან ეს უნიჭო მსახიობი". შუშერინმა ყოველივე ეს აიტანა და ორი წლის შემდეგ იგივე ხალხი მხურვალე ოვაციებს უმართავდა სოფოკლეს იშვიათ ოიდიპოს—შუშერინს. ვინ იცის როგორ წარიმართოს საქმე! მეორე კვირისათვის დანიშნული ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღში" (გადმოკეთებული ქართულად „სალხინოს" სახელწოდებით) გ. იშხნელს დაკისრებული აქვს ლოპახინის როლი. თუ აქაც დამარცხდა, სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს სცენას.

მის არტისტულ ბუნებას სავსებით შეეფერება ეს როლი და რეჟისურაც არ მოტყუებულა, როცა რეცენზენტების მიერ დასამარებულ გ. იშხნელს დააკისრეს მთავარი როლის განსახიერება. წარმოდგენა დამთავრდა გ. იშხნელის სრული გამარჯვებით, მისი ტრიუმფით. მაყურებელმა იგრძნო, რომ ქართულ თეატრს ახალი ტიპის აქტიორი მოევლინა — შემკული შესანიშნავი ხმით, დიდის ტემპერამენტით. გ. იშხნელის ლოპახინი აქტიორული შემოქმედების ნიმუში იყო თავისი უბრალოებით, სიმართლით და ბუნებრიობით. პირველი შთაბეჭდილება ისეთი ძლიერი იყო, რომ შემდგომში ვერც სამხატვრო თეატრის გამოჩენილი მსახიობის ლეონიდოვის ლოპახინმა შეანელა. აი სად გაშალა. მსახიობმა ძლიერად ფრთები, სად გამოააშკარავა თავისი ნიჭი, სად გამართლდა ა. სუმბათაშვილის წინაგრძნობა. სად ასახელა გ. იშხნელმა ქართველი აქტიორი...

ამ სპექტაკლის მონაწილე რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნიკო გვარაძე წერს: „...ლოპახინის როლს თამაშობდა გ. იშხნელი. სწორედ ამ როლში გამოჩნდა იშხნელის არტისტული ნიჭი. იმ ღამეს ყველამ აღიარა, იწამა გ. იშხნელი, რორგორც იშვიათი მსახიობი“ (ნ. გვარაძე, „თეატრალური მემუარები“, გვ. 108, სახელგამი, 1946).

სამწუხაროდ რეცენზენტებმა ნაადრევად ათვალწუნებულ მსახიობის თამაშს თითქმის დუმილით აუარეს გვერდი და ორი ფრაზით დაკმაყოფილდნენ „ბ-ნი იშხნელი ამ დღეს უკეთესი იყო ვიდრე წინათ...“ („დროება“, 23 იანვარი № 17, გვ. 3), რაში გამოიხატებოდა ეს უკეთესობა, ამაზე რეცენზენტი არაფერს გვეუბნება. ამ დღიდან მაყურებელმა იწამა მსახიობი.

14 დეკემბერს დაწყებული სეზონი 1909 წლის მარტის ბოლო რიცხვებში დასრულდა. ამ ხნის განმავლობაში გ. იშხნელმა ითამაშა გარდა დასახელებულ როლებისა შილერის „ყაჩაღებში“, იუშკევიჩის „მეფეში“, ვ. გუნიას „აღლუმში“, შექსპირის „ოტელოში“. ამ პიესებში მას იმდენად უმნიშვნელო როლები ჰქონდა, რომ რეცენზენტები არც კი იხსენიებდნენ,

მხოლოდ „ოტელოს“ შეფასებისას რეცენზენტმა აღნიშნა „ბ-ნ იშხნელს ამ ხელად შედარებით მარტივი როლი ჰქონდა და ეს არის მიზეზი, რომ იგი ამ საღამოს პირნათლად დარჩა საზოგადოების წინაშე“ („დროება“, 17 მარტი, 1909 წ. № 60, გვ. 4).

ჩვეულებისამებრ ხანმოკლე გამოდგა დრამატული საზოგადოების 1908—1909 წლის ზამთრის სეზონიც. დეფიციტმა 2500 მანეთს მიაღწია. დასი დაიშალა. ყველას ანგარიში გაუსწორეს. რეჟისორი სანდრო ყანჩელი თეატრს გამოემშვიდობა და ვექილობა განაგრძო. მორიგი რეჟისორი ვალერიან შალიკაშვილი მოსკოვს გაემგზავრა თეატრალური ხელოვნების შესასწავლად. მსახიობების ბენეფისები დაიწყო. გ. იშხნელს შეპირებული ბენეფისი არ მოუთხოვია და თავის საყვარელ სოფელს მიაშურა. მალე მსახიობთა ამხანაგობა შედგა და დაიწყო დროგამოშვებით წარმოდგენების მართვა.

1909-10 წლის სეზონი 27 სექტემბერს ტრადიციულად დავით ერისთავის „სამშობლოთი“ დაიწყო. დასს ახალი ლევან ხიმშიაშვილი მოევლინა—შალვა შარაშიძე (იუმორისტი თაგუნა). დებიუტანტებისათვის რატომღაც ერთი არასწორი ჩვეულება იყო დაწესებული, მიუხედავად არტისტული მონაცემებისა—ლევან ხიმშიაშვილის როლის დაკისრება!

გ. იშხნელი დასში არ ირიცხება და არც იციან სად არის. მარტის შემდეგ ის თბილისში არ გამოჩენილა. ახალმა დებიუტანტმა გასული წლის ლევან ხიმშიაშვილი დაავიწყა მაყურებელს. მხოლოდ მცირეოდენი ჯგუფი იგონებს იშვიათ ლოპახინს და გული სწყდება, რომ მას სცენაზე ვეღარ ხედავს.

თბილისის დრამატულ დასს რეჟისორობს კოტე მესხი, ქუთაისის სეზონს ვალერიან გუნია უძღვება. მსახიობთა შემადგენლობით ქუთაისის დასი უფრო ძლიერია და რეპერტუარიც მას უკეთესი აქვს. ნუცა ჩხეიძის, ვალერიან გუნიას, ალექსანდრე იმედაშვილის, სანდრო ყალაბეგაშვილის და სხვათა თამაში დიდძალ ხალხს იზიდავს და სეზონს კარგი პირი უჩანს. დეკემბრის მეორე ნახევარში გიორგი მოულოდნელად ქუთა-

ისში გაჩნდა. ოდესისაკენ მიემგზავრება და გზად სადგურ რიონიდან ქუთაისში შეუხვია მეგობრების სანახავად. ვალერიან გუნია სარგებლობს შემთხვევით და თხოვს გ. იშხნელს მონაწილეობა მიიღოს გოგოლის „რევიზორში“. გ. იშხნელს ოსიპის როლი რუსულ ენაზე გიმნაზიაში ჰქონდა ნათამაშევი და მისთვის ძნელი არ იყო ორი რეპეტიციით ქართულ ენაზე განესახიერებია თავისი საყვარელი ოსიპი. ქუთაისის საზოგადოება მოიხიბლა მისთვის უცნობი მსახიობის თამაშით. „დროების“ რეცენზენტი უწონებს მსახიობს ტკბილს-საამურ ხმას, მაგრამ როლის გააზრებაში არ ეთანხმება და დაასკვნის: „ჩვენ გვესმის რომ მშიერ ოსიპს დარდიმანდობისა არა სცხელა, მაგრამ გადაჭარბებული დავარდნილობაც არ არის საჭიროვო“ („დროება“, 1909 წელი 23 დეკემბერი, № 206), დასი კი აღტაცებულია გ. იშხნელის თამაშით და თხოვენ განაგრძოს მათთან მუშაობა. რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნინო დავითაშვილი წერს „...გზად გამოიარა ქუთაისში, სადაც იმ სეზონში ვალერიან გუნია იყო მიწვეული რეჟისორად. გუნიამ დააკავა ერთი კვირა. ითამაშა გოგოლის „რევიზორში“ ოსიპის როლი. იშხნელმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზედაც და მსახიობზედაც (ნ. დავითაშვილი, „მოგონებიდან“ გიორგი იშხნელის ხსოვნის საღამოზე 1952 წლის 15 სექტემბერს).

დასის თხოვნაზე—დარჩენილიყო ქუთაისში სამუშაოდ, გ. იშხნელი არ თანხმდება და გულთბილად ეთხოვება გულწრფელ, კეთილმოსურნე ამხანაგებს. თქმა იმისა, რომ უმართებულო რეცენზიები არ მოქმედებდა გ. იშხნელზე — არ შეიძლება. არა გვგონია საზოგადოდ მოიძებნებოდეს ისეთი მსახიობი, რომელიც კრიტიკას გულგრილად უყურებდეს, მით უმეტეს, თუ ეს კრიტიკა უმართებულოდ მიაჩნია. ბევრჯერ წაგვიკითხავს და მოგვისმენია ესა თუ ის გამოჩენილი მსახიობი ყურადღებას არ აქცევდაო კრიტიკულ გამოსვლებს; გამონაკლისი შეიძლება იყოს! ცნობილია, თუ მსახიობებს როგორ გულთან

ახლოს მიაქვთ მათზე თქმული ყოველი სიტყვა. მრავალი შრომა მიეძღვნა ჩვენი ძველი, რევოლუციამდელი თეატრის ისტორიას, ბევრი მონოგრაფია ქვეყნდება ამა თუ იმ მსახიობზე, ბევრი მოგონება იბეჭდება, მაგრამ დღევანდლამდე არც ერთი ნარკვევი არ მოგვეპოვება ძველი თეატრალური კრიტიკის შესახებ. ამაზე კი ღირს ლაპარაკი! დიდ ღირსებასთან ერთად, მრავალი ისეთი ხარვეზი ახლდა ამ კრიტიკას, რომ მას თეატრის განვითარებისათვის ზოგჯერ ხელიც კი შეუშლია. რევოლუციამდელი თეატრალური კრიტიკის დადებით მხარეებს არ შევეხებით — ეს ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება, გაკვრით მივაქცევთ ყურადღებას ერთ გარემოებას: ვისაც კი გადაუფურცლავს ჩვენი ძველი ჟურნალ-გაზეთები, ზოგჯერ ისეთ რეცენზიებს წააწყდება, რომ პირდაპირ გიკვირს, როგორ ეყოთ ძალა და ენერგია ჩვენს ბუმბერაზ მსახიობებს, გადაეტანათ ასეთი მწვავე და ხშირად უმართებულო შეფასებანი. რამდენიმე მაგალითი ამის ნათელ სურათს მოგვცემს.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა სათუთი მეტყველების მსახიობი იყო ალექსანდრე იმედაშვილი. მისი გამოთქმა, მისი ქართული ხიბლავდა ყველას. გადავიკითხოთ „ცნობის ფურცლის“ 1910 წლის № 1805-ის მესამე გვერდზე მოთავსებული ერთი რეცენზია: „მეტად ცუდად თამაშობდა გორჯასპ არაბულის როლს ა. იმედაშვილი. მას უჭირდა ორიოდე ქართული სიტყვის სწორედ, დაუმახინჯებლად წარმოთქმაც. სამწუხაროა საქმის ასე გააბუჩავება...“ ნეტავ რას იტყოდა რეცენზენტი ალექსანდრე იმედაშვილის ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), დე-სანტი (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), ოტელო (ი. შექსპირის „ოტელო“), დათო (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“) ენახა, ან მოესმინა კითხვის იშვიათი ოსტატის მიერ შესრულებული აკაკის „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“? ნუთუ იტყოდა ქართული სიტყვების წარმოთქმა უჭირსო?

რომელი ქართველის გული სიამაყით არ აღვსილა, როცა უხილავს სცენაზე მელოდრამაში „შეშლილია“ ლადო მეს-

სანდრო ყაჩელი

ხიშვილი ჰარლეიგის როლში. ამ მსახიობს მხოლოდ ეს ერთი როლიც რომ ეთამაშა, ბუმბერაზი მსახიობის სახელს მაინც დაიმკვიდრებდა. 44 წლის წინათ ნახული ახლაც თვალწინ მიდგას ლადო თავისი განსაცვიფრებელი მიმიკით, პლასტიკური ჟესტებით და ვულკანისებური ტემპერამენტით. მაგრამ აბა გადავფურცლოთ გაზეთ „თეატრის“ 1889 წლის 26 მარტის № 12: „წარსულ კვირას ქართველ არტისტების ამხანაგობამ წარმოადგინა სცენები „მასკარადიდან“ და „შეშლილია“. პირველმა ძალიან ზანტად ჩაიარა. დაიწყო „შეშლილია“, რომელშიც შეშლილის როლს არტისტი კ. მესხი თამაშობდა. ამავე როლში გვინახავს ალექსი-მესხიშვილი და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მესხიშვილსა და მესხს შორის დიდი მანძილი დევს (რა თქმა უნდა დიდი მანძილია, მაგრამ არა იმ გაგებით, როგორც ეს რეცენზენტს ჰგონია. ავტ.). მესხიშვილი ხან აჭარბებს, ხან უგვანოდ იგრიხება. მესხმა კი იჭვისაგან ჭკუაზე შეშლილის როლი ნამდვილად წარმოგვიდგინა“. ამ კურიოზულ რეცენზენტს როგორც ვიცით თვით კოტე მესხი დასცინოდა და აცხადებდა — არა მგონია დედამიწის ზურგზე მოიძებნებოდეს სხვა მსახიობი, რომელიც ამ როლში ლადოს გაუტოლდესო. ლადო მესხიშვილის მიერ ამ როლის შესრულებაზე ჩვენს ლიტერატურაში ბევრი თქმულა. გავიხსენოთ, ილია ზურაბიშვილის „ოთხი პორტრეტი“, ნინო ჩხეიძის „მოგონებანი“ და სხვა. განა საკმარისი არ არის ილია ჭავჭავაძის რეცენზია? მიუხედავად, იმისა, რომ რეცენზია ხელმოუწერელია, მისი ანალიზი, სტილი, საგნის ღრმა ცოდნა უდავოს ხდის, რომ მისი ავტორი ილიაა. რეცენზენტი აღტაცებულია ამ როლის შესრულებით. ილია აქ მარტო ეპითეტებს კი არ ხმარობს — „კარგი“, „მშვენიერი“ და სხვ, არამედ დეტალურად არჩევს მსახიობის თამაშს და დასკვნა ისე გამოჰყავს. სამწუხაროდ დიდ ილიას ათას საქმეებით დატვირთულს არ ეცალა რეცენზიები ეწერა. სულ რამდენიმე სანიმუშო შეფასება აქვს დაწერილი.

თუ ერთი ჯგუფი ვაი რეცენზენტებისა ლანძღვით იქცევდნენ ყურადღებას, იყვნენ მეხოტბენიც.

ამ უკანასკნელთ არ რჩებოდათ არც ერთი ეპითეტი რომ არ დაეხარჯათ. კარგი იყო, მშვენიერი, საუცხოვო, მაგრამ რაში გამოიხატა ეს სიკარგე, რა ხერხებს მიმართა მსახიობმა როლის განსახიერებისას, ამას ძველ რეცენზიებში, ვერ ნახავთ.

კრიტიკა უნდა იყოს სასტიკი, ულმობელი, მაგრამ ობიექტური და სიმართლის გამომხატველი.

ავიღოთ ილია ჭავჭავაძის რეცენზია პიესა „გეო, მინას და კამპანიის“ შესახებ. ავტორმა რამდენიმე ლაკონიური ფრაზით დაასამარა ეს უნიათო პიესა. „ამ თხზულებას სამი ნაკლოვანება აქვს, თორემ სხვაფრივ არა უჭირს რა. ერთი ისა, რომ დამწერმა რად დასწერა? მეორე ისა, რომ თუ დამწერმა დასწერა, გადამკეთებელმა რად გადააკეთა? და მესამე ისა, რომ თუ ორივენი შესცდნენ, თეატრში მაინც რად წარმოადგინეს?“

მაგრამ ეს დასამარება იყო მართებული და საჭირო. როგორც ლადო მესხიშვილის შექება ჰარლეიგის როლის შესრულების გამო, ასევე „გეო, მინას და კომპანიის“ დადგმის გაკიცხვა, ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს რეცენზია.

იქნებ არაობიექტურნი იყვნენ გიორგი იშხნელის რეცენზენტები? არა, ამას ვერ ვიტყვით. საბუთი არა გვაქვს. ერთი კი უდაოა, თეატრალურ ხელოვნებაში ისინი ვერ ერკვეოდნენ, ამ საქმის დილეტანტები იყვნენ. „პური მეპურეს გამოაცხობინე, ერთი მეტი მიეციო“—უთქვამს ჩვენს ხალხს, მაგრამ მარტო რეცენზენტებმა ხომ არ დაიწუნეს მსახიობი დებიუტისას? იტყვის მკითხველი— საზოგადოების დიდი უმრავლესობა? კრიტიკოსი მაყურებელს კი არ უნდა მისჩანჩალებდეს კუდში, არამედ მას უნდა მიუძღოდეს წინ და გზას უკაფავდეს. ამ მხრივ რა გზის მაჩვენებელი იქნება ის რეცენზენტი, რომელიც მოზღვავებულ ტემპერამენტის მსახიობზე აცხადებს „ტემპერამენტი სულ არ აქვსო“. იქნებ იმიტომ, რომ სცენაზე

რამდენიმე კაცი არ დაასახიჩრა, არც ერთი სკამი არ დაამტვრია და ყვირილით არ داყრუა ხალხი!

ვაი-რეცენზენტებმა წონასწორობა داკარგვინეს მსახიობს და ცეცხლს ალი შეუკიდეს. ყველა ხომ ერთნაირად არ იტანს სუსხიან ზამთარს და ზაფხულის სიცხე — პაპანაქებას? ყველას ხომ არ შესწევს უნარი ერთნაირი ენერგიით გაუძკლავდეს თავზედატეხილ უბედურებას, უმართებულო კილვას? „ტაშტი გატყდა — ხმა გავარდა“ და داირხა ხალხში ხმა — ნაქები გიორგი იშხნელი უნიჭო მსახიობი ყოფილაო.

გულჩათხრობილი, უთქმელი ადამიანი, გულმართალი ჭაბუკი მწვავედ განიცდის კალმოსნების, წუნიათა და შურიანთა სისინს და ბოღმას გულში იკლავს. ზოგჯერ კი داრდის გასაქარვებლად მიმართავს ისეთ საშუალებას, რასაც არა ერთი და ორი ადამიანი უმსხვერპლია — ალკოჰოლს.

ბევრმა გიორგი არადელი-იშხნელი სცენისათვის სამუდამოდ داკარგულად ჩათვალა, მხოლოდ თეატრის ნამდვილ მცოდნეებს, გულის შემატკივართ სწამდათ — მოვა დრო, ძლიერად, არწივივით გაშლის ფრთებს მსახიობი და „სიტყვა ითყვის — ცამ ქუხილი داიწყოს“.

თავი IV
გამარჯვების დასაწყისი

ფიქრობდნენ, რომ გიორგი იშხნელი სცენას არ დაუბრუნდებოდა.

მაგრამ ვინც ერთხელ შედგამს ფეხს სცენაზე, განა მას ძალუძს ადვილად დასთმოს თეატრი? გავიხსენოთ რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნუცა ჩხეიძის „მოგონებიდან“ ერთი პატარა ეპიზოდი „...არ შემიძლია არ მოვიხსენიო ივანე ნაჭყეპია. ეს იყო სცენის დარაჯი, სრულებით გაუგებარი, ყრუ ადამიანი... დაბერდა იმდენად, რომ უკვე ღონე აღარ ჰქონდა სისუფთავე დაეცვა... თეატრს კი ვერ მოაშორეს. როდესაც გამგეობის ხაზინადარმა ალ. დარახველიძემ უთხრა სხვა დარაჯი უნდა მოვიყვანოთო, ივანემ ცოცხს წაავლო ხელი და დარტყმა მოუნდომა,— როგორ, ჩემსავით ვის უყვარს თეატრიო. დავრდომილი მოხუცი მახლობლებმა წაიყვანეს,...—არ გასულა თვე, რომ ივანე ისევ თეატრში გაჩნდა. რა ამბავია ივანე? რად ჩამოხვედი? არ მოგიარეს?— არა, ბრ შემიძლია! რა არ შეგიძლია?— უთეატროდ ცხოვრება, აქ უნდა მოვკვდეო და მართლაც თეატრში მოკვდა ჩვენი ივანე“ (გვ. 49).

აი როგორ უყვარდა დარაჯს თეატრი და წარმოგიდგენიათ რა სიყვარულს უნდა გრძნობდეს ადამიანი, რომელიც ბავშვობიდანვე გატაცებულია თეატრით და შესწევს კიდეც ძალა მისი ღირსეული მსახური გახდეს.

გიორგი კვლავ ქართულ თეატრს დაუბრუნდა. მეგობრებმა გულღიად მიიღეს რამდენიმე თვით მათი ბუდიდან გაფრენილი შვილი და თავიანთ ფერხულში ჩააბეს.

1910 წლის 24 იანვარს ქართულმა დრამატულმა დასმა წარმოადგინა ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“ ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით. „დროების“ ამავე წლის 27 იანვრის ნომერში აღფრთოვანებული რეცენზია ეძღვნა მარგარიტას როლის იშვიათ განმასახიერებელს ნუცა ჩხეიძეს; იქვე შემდეგს ვკითხულობთ:

„ამავე საღამოს ვნახეთ ჩვენი ძველი ნაცნობი იშხნელი. დიუვალის მამის როლი ეკისრა. როგორღაც არ გვჯერა, რომ იშხნელი სასცენოდ არ გამოდგება.! მარტო ხმა რადა ღირს! ჩვენის აზრით, კარგი რეჟისორი და ხშირი თამაშობაა საჭირო იშხნელისათვის... ვფიქრობთ, რომ დიდ როლებშიაც კარგი იქნება“.

მალე იუზა ზარდალიშვილის ბენეფისშიაც მიიღო მონაწილეობა გიორგი იშხნელმა. თ. დოსტოევსკის რომანიდან „დანაშაული და სასჯელის“ ინსცენირებაში შეასრულა რაზუმიხინის როლი და რეცენზენტების მოწონებაც დაიმსახურა („დროება“, 1910 წ. 20 თებერვალი, 40).

თუ მივყვებით რეცენზიებს, დავინახავთ, რომ მათ დიამეტრალურად გეზი იცვალეს და უფრო ხშირად ქება გაისმის მსახიობის მიმართ.

ერთი კვირის შემდეგ პოპულარულ მსახიობ კოტე მესხის ბენეფისია: კოტე თამაშობს თავის საყვარელ ნაპოლეონის როლს. ქართულ სცენას არ ახსოვს მასზე უკეთესი პეტრუჩიო (შექსპირის „ჭირვეულის მორჯულებაში“), ნერონი (ჰენრიკ სენკევიჩის „ვიდრე ხვალ უფალოში“ სობოლშჩიკოვ-სამარინის ინსცენირებით) და ნაპოლეონი (ვ. სარდუს „მადამ სანჟენი“ და „ნაპოლეონის სიკვდილში“). ეს სამი სახე ისე ოსტატურად ჰქონდა გამოძერწილი მსახიობს, რომ თუ მას ჩვენი სცენის ბუმბერაზთ უტოლებდნენ, სწორედ ამ როლების შესრულებით. „ნაპოლეონის სიკვდილში“ ხომ პირდაპირ შეუდარებელი იყო კოტე მესხი. გრიმს, ჟესტებს, მოძრაობას პირდაპირ აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი და ვერ წარ-

მოედგინათ, რომ სხვანაირად ყოფილიყო შესაძლებელი ამ პერსონაჟის წარმოსახვა. და აი, კოტეს ბენეფისში გ. იშხნელს პატარა როლი აქვს დაკისრებული—ჯარისკაცის. კალამი უძლურია გადაიტანოს ქაღალდზე ის შთაბეჭდილება, რაც იმ საღამოს იგრძნეს სპექტაკლის დამსწრეებმა. ამ წარმოდგენაზე კვლავ დამტკიცდა ის დებულება, რომ არ არის დიდი და პატარა როლი,—არის დიდი და პატარა მსახიობი. მას შემდეგ განვლო 44 წელმა და ახლაც კი თვალწინ ნათლად წარმოგიდგებათ მოხუცი ჯარისკაცი, მრავალი ჭირის მნახველი ადამიანი, რომელთანაც ყოფნა წმინდა ელენეს კუნძულზე კი არა, რობინზონის სამფლობელოშიაც არ მოგწყინდებათ; აი ადამიანი, რომელთანაც სიკვდილიც კი იოლია. მერე ეს მოსალბუნე, ხავერდოვანი ხმა! ბევრი კარგი ხმის მქონე მსახიობი მინახავს, მაგრამ იშხნელისთანა ხმა არ მომისმენია. ამას ხომ ყველა აღიარებდა... რაც გინდ ბუნებრივი იყოს მსახიობი, სცენაზე ის სულ სხვა ხმით ლაპარაკობს, ვიდრე ცხოვრებაში. სცენიური ბუნებრივობა სულ სხვა არის, სცენასა და ცხოვრებას შორის დიდი ზღვარია. იშხნელის ხმა ცხოვრებაშიაც ისე ლამაზად ეღერდა, როგორც სცენაზე. იგი ხმას ძალას არ ატანდა. ყველა რეგისტრში სასიამოვნო იყო მისი ეღერადობა. მაგრამ მარტო ხმით არ მოიხიბლნენ ამ საღამოს დამსწრენი. აღტაცებული იყავით იმ სითბოთი, რაც იგრძნობოდა მსახიობში. ვერავითარი გამოცდილი თვალი ვერ შეატყობდა, რომ მსახიობი თამაშობდა. არავითარი თეატრალობა არ ჩანდა მის თამაშში. გავიხსენოთ ალექსანდრე. გერცენის შესანიშნავი წერილი მიხეილ შჩეპკინზე. რატომ მიაჩნდა გერცენს ყველაზე დიდ მსახიობად მიხეილ შჩეპკინი? იმიტომ, რომ „შჩეპკინი ყველაზე ნაკლებად იყო თეატრალური სცენაზეო“. და სწორედ გ. იშხნელიც ყველაზე ნაკლებად იყო თეატრალური ამ სპექტაკლში. წარმტაცი იყო ბენეფიციანტი კოტე მესხი ნაპოლეონის როლში, მაგრამ ეს სიდიადე თამაშობაში გამოიხატებოდა—მსახიობის ოსტატობაში. ხოლო მისი პარტნიორი

გ. იშხნელი (ჯარისკაცი) კი მოქმედ პირის ისეთ ორეულად იყო გადაქცეული, რომ ერთს წუთსაც ეჭვი არ გეპარებოდათ იმაში, რომ სცენაზე ნაპოლეონის ჯარისკაცია და არა მსახიობი. აქ უკვე მთელ საზოგადოებასთან ერთად პრესაც ერთსულოვნად გამოეხმაურა ამ სპექტაკლს.

ყინული გალხვა! კალმოსნებმა ჩარხი იშხნელის სასარგებლოდ შეატრიალეს.

გაზეთი „დროება 1910 წლის 2 მარტის № 47-ში აღნიშნავდა:

„..კარგი იყო აგრეთვე ჯარისკაცის როლში იშხნელი: ნამდვილი ფრანგი, ნაპოლეონის მოტრფიალე, მისი გულისთვის სიცოცხლის არ დამზოგავი, გულითადი ჯარისკაცი წარმოგვიდგინა მსახიობმა. მოხდენილმა მოქცევამ, ლამაზმა, გულის სიღრმიდან ამოსულმა ხმამ და განსაკუთრებით იმ ზომიერებამ, რომელიც გამოიჩინა იშხნელმა ამ როლში, სადაც ადვილია გადაჭარბება, ეს პატარა როლი ერთი უპირველეს როლად გახადა პიესაში“.

მარცხით დაიწყო გ. იშხნელის პირველი ნაბიჯები, მაგრამ მალე ეს გამარჯვებით შეიცვალა.

1909 წლის 13 იანვარს გაზეთ „ჩვენ ხმაში“ ვრცელი რეცენზია იყო მოთავსებული სათაურით „მთამ შობა თაგვი“. რეცენზიის ავტორი დიდის რიხით აცხადებდა: „რა უნდა ვთქვათ გ. იშხნელის შესახებ? ჩვენ არ ვკისრულობთ წინასწარმეტყველებას და არას ვიტყვით იმაზე, თუ რა იქნება ის ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ, როგორც იოხუნჯა ერთმა დამსწრეთაგანმა, მაგრამ დღესდღეობით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასში არ არის ღვთიური ცეცხლი არტისტისა. ის სრულიად მოკლებულია ტემპერამენტს და სახის მოძრაობას. დიახ, ის არ არის არტისტი“.

რას იტყოდა ამ წერილის ავტორი კოტე მესხის ბენეფისს რომ დასწრებოდა და მის მიერ ათვალწუნებული გ. იშხნელი ენახა?

ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი

გამართლდა დიდი ხელოვანის ალექსანდრე სუბბათაშვილი-იუჟინის წინასწარმეტყველება—ქართულ თეატრს გ. იშხნელის სახით საიმედო ძალა შეემატა. თუ 1909 წელს ზამთრის სეზონის დამთავრებისას ომში დამარცხებულ მეომარივით ჩუმად გაიპარა გ. იშხნელი, და თავის საყვარელ არადეთს მიაშურა, ცელსა და ნამგალს მოჰკიდა ხელი და მშრომელ გლეხების ფერხულში ჩაება, ახლა უკვე წელში გამართული მიეშურება ოჯახში ლოგინად ჩავარდნილ მამის სანუგეშოდ, გაღატაკებული ოჯახის ფეხზე წამოსაყენებლად.

დიდხანს არ დასცალდა არადეთში ყოფნა. მაისის ბოლო რიცხვებში მსახიობებმა ნიკოლოზ ციციშვილმა და სოსო ჟივიძემ უხმეს და ქართლის დაბა-სოფლებში დაიწყეს წარმოდგენების მართვა.

4 ივნისს მაშინდელ გორის მაზრის ახალქალაქში დაიდგა აკაკი წერეთლის „პატარა კახი“ და მოხუცი გელას როლის იშვიათი განსახიერებით გ. იშხნელმა მოხიბლა ხალხი.

აღტაცებითვე შეხვდა გიორგი იშხნელს გორის საზოგადოება და მის მიერ შესრულებული გელა სანიმუშო ქმნილებად ჩათვალა.

„სახალხო გაზეთის“ კორესპონდენტი აღნიშნავდა რა ქართველ მსახიობების მიერ დადგმულ „პატარა კახს“, დასძენდა—„მოხუცი გელას როლში იშხნელმა ხალხი აღტაცებაში მოიყვანაო („სახალხო გაზეთი“, 1910 წელი 19 ივნისი, № 36).

ასეთივე აღფრთოვანებული რეცენზია დაიბეჭდა იმავე წლის 22 ივნისს ცხინვალში (სტალინირი) გამართულ წარმოდგენის შესახებ „სახალხო გაზეთის“ 29 ივნისის ნომერში. ამ გასტროლებიდან მორალურად გამხნევებული მსახიობი არადეთს მიაშურებს. პური შემოსულია და მომკელს მოელის. ახალი სეზონის დაწყებამდე გიორგი სოფელს არ მოშორებია. ჭირნახული დააბინავა, ზამთრის სარჩოთი ოჯახი მოამარაგა და დედაქალაქს დაუბრუნდა.

1910 წლის 26 სექტემბერს, ჩვეულებრივ „სამშობლოთი“ დაიწყო ქართული დრამის სეზონი. მაგრამ მას სიახლეც ჰქონდა. ეს ახალი სიო ჩრდილოეთიდან მოჰქროდა და ყველა თეატრში იჭრებოდა[1]. ეს იყო რეჟისორის როლის წინა პლანზე წამოწევა და ნაწილობრივ მისი ჰეგემონიის დამკვიდრებაც. თუ ძველ თეატრში მაყურებელი მოდიოდა თავისი საყვარელი მსახიობების სანახავად, თუ სცენაზე სასწაულთმოქმედებდნენ ნატო გაბუნიები, მაკო საფაროვები, ვასო აბაშიძეები, ლადო მესხიშვილები და სხვა ოსტატები,—მაყურებლისათვის ეს საკმარისი იყო. ყურადღებას არ აქცევდნენ იმას, რომ ფ. შილერის „ყაჩაღებში“ ფრანც მოორის სასახლე და ა. ცაგარელის „ხანუმას“ პერსონაჟის მიკიჩ ტყუილკოტრიანცის სასტუმროს დარბაზი ერთი და იგივე დეკორაციებისაგან შედგებოდა; იმ განსხვავებით, რომ ფრანცის სავარძელი სცენის მარჯვენა კუთხეში იდგა, მიკიჩასი კი შუა სცენაზე. მაყურებელს არც ის აინტერესებდა რომ კარლ მოორის ადგილსამყოფელი ბოჰემიის ტყე და კომედია „საძაგელში“ ანასტასია რიყაბის ბაღი ერთი და იგივე იყო. მაყურებელი არც იმას აქცევდა ყურადღებას, რომ კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტას“ სინაღოლის მლოცველნი ძლიერ ემსგავსებოდნენ ალექსანდრე ყაზბეგის „კონსტანტინე ბატონიშვილის“ პირველ მოქმედების ხალხს (თუშებს, ხევსურებს, ფშავლებს). თეატრის მუდმივი მაყურებელნი არც იმით იყვნენ აღშფოთებული, რომ სცენაზე შემთხვევით მოყვანილი სტატისტები სიტყვა „ურიელის“ მაგივრად „ურელას“ ამბობდნენ, „უფალოს“ მაგივრად „ფუფალოს“. ძველ თეატრში დიდ ბუმბერაზ მსახიობთ ანსამბლი ხელს არ უწყობდა და შემთხვევით გამოყვანილი პირნი მასობრივ სცენებში პირდაპირ სასაცილო მდგომარეობას ქმნიდნენ. ძველი თეატრის დამსწრეთ კარგად ახსოვთ თეატრის შესავალთან წარმოდგენის დაწყების წინ ყველასათვის საყვარელი ადამი-

---

[1] ამაზე დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი მეექვსე თავში.

ანი სცენარიუსი ვიგო იორდანიშვილი მუქთა, ან ათშაურიანი სტატისტების ძებნისას.

გიგო აათვალ-ჩაათვალიერებდა ხოლმე ბიჭებს, ტანადებს ამოარჩევდა და სცენისაკენ მიუძღვებოდა. ტანსაცმელს გადაცმევდა, გრიმიორი მოუთხუპნიდა სახეებს, გამოსვლის წინ გიგო დაარიგებდა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ვის რა სიტყვა უნდა წამოეძახა და მესამე ზარს მისცემდა. იყო შემთხვევები, როცა რომელიმე სტატისტი გაჯიუტდებოდა და გრიმით სახის დაუშნოებაზე უარს აცხადებდა,— ვაი თუ ქანდარაზე მყოფმა მეგობრებმა ველარ მიცნონო. ან პირიქით, სტატისტს უნდა განესახიერებინა პირტიტველა 18—19 წლის ბიჭი და მოითხოვდა დიდი ულვაშები დაეკრათ, რომ თეატრში მყოფ სატრფოს არ ეცნო და სხვა. რამდენი კურიოზები ახსოვს ჩვენს თეატრს ასეთი სტატისტებისაგან. მრავალჯერ გადაღეჭილი ამბების მოყოლით მკითხველს თავს არ შევაწყენთ. მაგრამ კურიოზები განა მარტო ჩვენს თეატრში ხდებოდა? როცა გიორგი იშხნელის შესახებ მასალებს ვათვალიერებდი, ერთ კურიოზულ ამბავს წავაწყდი, რაც გადმობეჭდილი იყო „ტიფლისკი ლისტოკის“ 1911 წლის 12 ოქტომბრის ნომერში გაზეთ „ოდესკიე ნოვოსტებიდან“. მომყავს ეს ცნობა შემოკლებით. ვარშავის საოპერო თეატრში ბიზეს „კარმენის“ პირველი მოქმედებაა. ყარაული უნდა შესცვალოს დონ ხოზემ და მიუძღვის ესპანელ ჯარისკაცებს. ჯარისკაცები (ვარშავის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილიდან იყვნენ) ავანსცენისაკენ შეიოტრიალდნენ და პარტერს გადახედეს. ელდა ეცათ. პირველ რიგში იჯდა მათი გარნიზონის გენერალი. ხოზეს უკან მომდევნო სტატისტი, სინამდვილეში სამხედრო ნაწილის უნტეროფიცერი, გაიჭიმა და იქიდან შესძახა ჯარისკაცებს: „Смирно!“ შეშფოთებულმა გენერალმა პარტერიდან უპასუხა: Хорошо хорошо ребята! ისევ გაისმა ჯარისკაცთა შეძახილი —„Рады стараться, Ваше Превос-

ходительство!“ და ბიზეს ოპერის მელოდიები დარბაზის სიცილ-ხარხარმა დაფარა.

ახალი სიო როგორც თავში აღვნიშნეთ, ჩრდილოეთიდან მოჰქროდა, სახელდობრ მოსკოვის სამხატვრო თეატრიდან. ეს გავლენა ისეთი ძლიერი იყო, რომ ბევრ თეატრს ახალი ენერგია შთაბერა და სხვა მიმართულება მისცა.

ქართულ სცენაზედაც გაჩნდნენ სამხატვრო თეატრის მიმდევარნი და ერთი მათგანი იყო ნიჭიერი მსახიობი ვალერიან შალიკაშვილი. რამდენიმე თვეს დაჰყო შალიკაშვილმა მოსკოვს, გაეცნო იქაურ თეატრებს, ნახა სამხატვრო თეატრის ყველა სპექტაკლი და თავისი შთაბეჭდილებანი გაუზიარა მკითხველს „დროების“ ფურცლებზე. შალიკაშვილი მოხიბლული იყო სამხატვრო თეატრის დადგმებით — მისი მტკიცე ანსამბლით და განსახიერების რეალისტური სტილით. და, აი პირველივე მის დადგმას „სამშობლოს“. ეტყობოდა დიდი რეჟისორის კ. სტანისლავსკის გავლენა.

სამხატვრო თეატრის მიერ მასობრივი სცენების მხატვრულმა წარმოსახვამ ისეთი ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ვალერიან შალიკაშვილზე, რომ იორდანიშვილის ათშაურიანი და მოხალისე სტატისტები უარჰყო და მასა ისე აამეტყველა, როგორც ამას პიესა მოითხოვდა.

ვ. შალიკაშვილმა, როგორც გონიერმა რეჟისორმა, ყურადღება მიაქცია იმ უდავო დებულებას, რომ არ არის პატარა და დიდი როლი,—არის პატარა და დიდი მსახიობი და ამიტომაც უსიტყვო როლები „სამშობლოში“ პირველხარისხოვან მსახიობებს დააკისრა.

მე მაგონდება კოტე მარჯანიშვილის ერთ-ერთი დადგმა სამხატვრო თეატრში, როცა ერთი თვალსაჩინო მსახიობი უსიტყვო როლში გამოიყვანა: იგი მხოლოდ ჭადრაკის მოთამაშეებს დაჰყურებდა, მთელი მისი როლი ამით ამოიწურებოდა და დასამახსოვრებელი სახე კი წარმოსახა, და აი ვალერიან შალიკაშვილი სეზონის გახსნისას გ. არადელ-იშხნელს აკისრებს

შაჰის უსიტყვო მხლებელის როლს. უსიტყვო როლში მსახიობმა კოლორიტული სახე შექმნა.

გ. იშხნელს თეატრი გატაცებით უყვარდა, მისთვის სულერთი იყო პატარა როლს ითამაშებდა, თუ დიდს, ოღონდ ეგრძნო შესაქმნელი სახე და მერე ერთნაირის გატაცებით მუშაობდა. ბევრი პრემიერი ასე როდი ფიქრობდა... მხოლოდ ვალერიან გუნია იყო ამ მხრივ მაგალითის მიმცემი.

ვ. გუნია თუ დღეს ასახიერებდა ოტელოს ან ოთარბეგს, ხვალ უსიტყვო როლში გამოდიოდა და საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა („მარიამ სტიუარტში" ჯალათი და სხვ.).

მთელი სეზონის განმავლობაში გ. არადელ-იშხნელმა სულ სამიოდე როლი ითამაშა ისეთი, რომ საზოგადოების ყურადღება დაემსახურებინა. აქედან ორი ისეთი როლი განასახიერა, რომლითაც სამუდამოდ დაიმკვიდრა დიდი ოსტატის სახელი და ძველი ქართული თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული და მეტად საპატიო ადგილი დაიკავა.

ერთ დროს დიდი მოწონება ჰქონდა ადოლფ შვაიერის პიესას „ნიშანი ყოფაქცევაში". აღნიშნული დრამა ქართულმა დასმა პირველად წარმოადგინა 1910 წლის 21 ოქტომბერს. გ. არადელ-იშხნელს დაეკისრა გულზვიად არისტოკრატ ულერის როლი. ეს საღამო გ. არადელ-იშხნელის ზეიმად გადაიქცა. მთელი თბილისი ლაპარაკობდა ამ როლის შესრულებაზე, ყველას გ. არადელი-იშხნელი ეკერა პირზე, როლის განსახიერებით მას ლადო მესხიშვილს უტოლებდნენ.

„სახალხო გაზეთი" 23 ოქტომბრის № 139-ში წერდა: „არ შეგვიძლია მხოლოდ არ აღვნიშნოთ მშვენიერი, მოხდენილი თამაშობა ბ-ნ არადელის, მეტის-მეტი მშვენიერი ხმა, რომელიც გასაოცრად უხალისებს მაყურებელს სმენას, ნამდვილი ქართული დიქცია, დაკვირვებული, გაზომილი თამაში ბ-ნ არადელისა ფრიად კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. ლეონარდ ულერის სიმკაცრე, გულზვიადობა ისეთი ბუნებრიობით და

ამასთანავე ისეთი სიძლიერით გადმოგვცა ბ-ნმა არადელმა, რომ უკეთეს შესრულებას ვერც კი მოსთხოვთ.

ბ-ნი არადელის თამაშობამ მართლაც დაგვავიწყა რომ მას სცენაზე ვხედავდით: მის თამაშობას სინამდვილეში გადაყავდა მაყურებელი. ასეთ ბენებრივსა და სადა თამაშობას ჩვენი სცენა ჩვეული არაა".

სწორედ ეს ბუნებრივი, ყოველგვარ თეატრალობას მოკლებული თამაში ვერ გაუგეს თავიდან მსახიობს და უმართებულოდ ბევრი შხამი ასვეს.

ამ პერიოდში გამოქვეყნდა მაშინ სრულიად უცნობი დრამატურგის იოსებ გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი". იოსებ გედევანიშვილი, რომელმაც სამხედრო აკადემია დაამთავრა, როგორც პოლიტიკური პატიმარი მეტეხის ციხეში იყო მოთავსებული, პატიმრობისას მან დასწერა ხსენებული პიესა. პიესამ თავიდანვე მთელი ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. მართლაც არც ერთ ქართველ დრამატურგს არ აუსახავს პირველი რევოლუციის დამარცხების პერიოდი ისე ძლიერ როგორც ეს იოსებ გედევანიშვილმა მოგვცა. დაძაბული კონფლიქტი, პერსონაჟთა რეალური სახეები, ცხოვრების სინამდვილით ასახვა, საუცხოო დიალოგები ხიბლავდა მკითხველს. რაც მთავარია, ქართულ ენაზე ეს პირველი პიესა იყო, რომელშიაც ხალხი მოქმედებდა. ამიტომაც იყო, რომ „მსხვერპლი" მალე სახალხო დრამად გადაიქცა და რეჟისორსაც დიდ მასალას აძლევდა თავისი ნიჭის გამოსავლინებლად.

ამ ახალმა ორიგინალურმა პიესამ დააინტერესა ქართული დრამატული საზოგადოება და გადაწყდა მისი დადგმა. პიესის დადგმა დაევალა ახალგაზრდა რეჟისორს ვალერიან შალიკაშვილს. დიდის გატაცებით და გულმოდგინებით შეუდგა ვ. შალიკაშვილი სამზადისს. ტრადიციული სამი-ოთხი რეპეტიციით დადგმა უარყოფილ იქნა და მოსამზადებელი მუშაობა კარგა ხანს გაგრძელდა. სამხატვრო თეატრის გავლენა აქ უკვე აშკარად ჩანდა; ცნობილია — როცა სამხატვრო თეა-

ტრი შექსპირის „იულიოს კეისრის“ დადგმას შეუდგა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო და მხატვარი სიმოვი რომს გაემგზავრნენ, რათა გაცნობოდნენ იმ ადგილებს, სადაც ამ პიესის მოქმედება ხდებოდა. ანდა როცა განიზრახეს მაქსიმ გორკის „ნაძირალების“ დადგმა, თეატრის მთელი კოლექტივი ხიტროვის თავშესაფარს ეწვია და იქაურ ბოგანოთა ტიპაჟების შესწავლას შეუდგა.

იოსებ გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლის“ მოქმედება ქართლში ხდება, რეჟისორი კი გურიიდან იყო და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებს ნაკლებად იცნობდა. და აი ვ. შალიკაშვილი გაემგზავრა ქართლში.

რეჟისორს პიესა მოფიქრებული აქვს, გეგმა შედგენილი. საჭიროა როლების განაწილება. განზრახულია გიგო ტეტიაშვილის როლი გამოცდილ და ნიჭიერ მსახიობს ვიქტორ გამყრელიძეს დაეკისროს. ლადო მესხიშვილს არ მოეწონა როლების განაწილება და ვ. შალიკაშვილს ურჩია გიგო ტეტიაშვილის როლი ახალგაზრდა მსახიობს გიორგი არადელ-იშხნელს განახორციელებინოს.

ვ. შალიკაშვილს ლადოს რჩევა ჭკუაში დაუჯდა და ტეტიაშვილის ურთულესი როლი გ. იშხნელს დააკისრა. პიესის გაფორმებამ, მასობრივმა სცენებმა, როლების ოსტატურად შესრულებამ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. ვასო აბაშიძის საქმე კლასიკური ქმნილება იყო, მეტად მიმზიდველი იყო ნინო დავითაშვილის ნატო, ვიქტორ გამყრელიძის მოხუცი გაბო ხომ დაუვიწყარია. მაგრამ ამ მშვენიერ თაიგულის გვირგვინი გიორგი იშხნელის გიგო ტეტიაშვილი იყო. ქართული თეატრის ისტორიას ახსოვს ბევრი უკვდავი სახეები ჩვენი ბუმბერაზ მსახიობების მიერ შექმნილი — ლადო მესხიშვილის ჰარლეიგი („შეშლილია“), ფრანცი („ყაჩაღები“), ნატო გაბუნიას ხანუმა, მადამ ფროშარი („ორი ობოლი“), მაკო საფაროვის ლუიზა („ორი ობოლი“), ჟოზეფი („პარიზელი ბიჭი“), ვასო აბაშიძის აკოფა („ხანუმა“), ზიმზიმოვი („პეპო“), შმაგა

(„უდანაშაულო დამნაშავენი“), ნუცა ჩხეიძის ზეინაბი, და სხვა.

გიორგი არადელი-იშხნელის გიგო ტეტიაშვილი თამამად ამოუდგება გვერდში ამ ბუმბერაზ მსახიობების მიერ შექმნილ სახეებს.

მსახიობი უბრალო და წარმტაცი იყო და მაყურებელს ავიწყდებოდა, რომ ის თეატრში იმყოფებოდა. თქვენ წინ მსახიობი კი არ იდგა გიგო ტეტიაშვილის როლში, არამედ ქართლის მიყრუებული სოფლის ბრეთის, ან არადეთის გლეხი— პირველი რევოლუციის შემდეგ გზააბნეული, თავისი ვნების მონა, თავზე ხელაღებული ადამიანი, რომელიც თავისი კეთილდღეობის გულისათვის არ ერიდება არავითარ ბოროტებას: და აი, მისი წყალობით სოფელს თავს დაატყდა უბედურება, უმანკო მსხვერპლი შეეწირა სოფელს, სტრაჟნიკის მკვლელი გიგო გადარჩა, უდანაშაულო ვანო კი ჩამოახრჩეს. მაგრამ გულის სიღრმეში სინდისმა გაიღვიძა, საშინელი მსხვერპლი აღარ აძლევს მოსვენებას. როცა ცოლი ფულს უკან მიაყრიდა და ეტყოდა — „არ აიღო ვანოს დედამ, სისხლის სუნი უდისო“, მაშინ უნდა გენახათ მსახიობის სახეზე აღბეჭდილი ტანჯვა და მწუხარება. აქ არ იყო თეატრალობა, არა, ეს უფრო მეტი იყო — თვით მაშინდელი უკუღმართი ცხოვრება თავისი დაუსრულებელი ტანჯვით. რაოდენ უბრალო იყო მსახიობი და თანაც დამაჯერებელი. უკანასკნელ მოქმედებაში ისე ძლიერი იყო იშხნელი, რომ გედევანიშვილის დრამა ნიჭიერ მსახიობის მეოხებით ნამდვილ ტრაგედიის სახეს იღებდა. ამას აღწევდა მსახიობი არა მარტო აქტიორული ხერხებით, არამედ თავისი საკუთარი დიდი განცდით და ვნებით, დიდის ტემპერამენტით და ძლიერი მელოდიური ხმით. კარგ მასალას იშვიათი ხორცშემსხმელი გამოუჩნდა გიორგი არადელ-იშხნელის სახით. იოსებ გედევანიშვილის ამ პიესას გიორგი იშხნელმა სახელი გაუთქვა.

ერთხელ ჰაინემ გარიკის თამაშით აღტაცებულმა თქვა: „ჰამლეტის განსახიერებით გარიკმა ავტორს გაუსწროო“. როცა

გიორგი იშხნელის გიგო ტეტიაშვილს წარმოიდგენთ, გახსენდებათ ეს თქმა და ამბობთ — მსახიობმა ტეტიაშვილის დრამატული მდგომარეობა ტრაგიულ მწვერვალებამდე აიყვანა და ამით იოსებ გედევანიშვილს გაუსწროო. ბევრ მსახიობს განუსახიერებია ეს როლი, მაგრამ გიორგი არადელ-იშხნელს ვერავინ გაუტოლდა, თვით ისეთი ნიჭიერი და დიდი ტემპერამენტის მსახიობიც კი, როგორც ალექსანდრე იმედაშვილი იყო.

გავიხსენოთ ერთი ფაქტი.

1914 წლის სეზონი ქართულ დრამატიულ დასს „მსხვერპლით" უნდოდა გაეხსნა. გიგოს როლი გიორგი არადელ-იშხნელს უნდა ეთამაშნა, მაგრამ ეს უკანასკნელი ქუთაისის დრამატულ დასში იქნა მიწვეული.

ალექსანდრე წუწუნავა „მსხვერპლის" დადგმას მაინც აპირებს, გიგო ტეტიაშვილის როლის შემსრულებელი კი არა ჰყავს. ბევრი ბჭობის შემდეგ მიმართეს ალექსანდრე იმედაშვილს. ა. იმედაშვილი თანხმდება ერთის პირობით, — თუ გამოტოვებენ მესამე მოქმედების მონოლოგს. რეჟისორი ა. წუწუნავაც იზიარებს ამ აზრს და გადაწყდა გიგო ტეტიაშვილის მონოლოგის გამოტოვება. გიგოს როლი კი უმთავრესად ამ მონოლოგისაგან შედგება. პრესაში ამ მონოლოგმა კამათი გამოიწვია. ზოგს ის სანიმუშოდ მიაჩნდა, უმეტესობა კი ყალბად თვლიდა.

„მსხვერპლის" პირველად დადგმისას „სახალხო გაზეთის" რეცენზენტი 1910 წლის 22 დეკემბრის № 191-ში აღნიშნავდა, რომ „...გიგოს უკანასკნელი მონოლოგი თანამედროვე ინტელიგენტის სულიერ ტანჯვას უფრო წააგავდა, ვიდრე სოფლის ტეტიის გოდებას".

ამ აზრს იზიარებდა ალექსანდრე იმედაშვილიც. იმედაშვილი რომ კითხვის დიდი ოსტატი იყო, ეს მაშინაც ყველამ კარგად იცოდა. და თუ ა. იმედაშვილი ამას აცხადებდა, უე-

ვალერიან შალიკაშვილი (რეჟისორი)

ჰველია, დარწმუნებული იყო, რომ გიგოს მონოლოგი ყალბი იყო, ამასთანავე ა. იმედაშვილი გულწრფელად აღიარებდა:

„— მე ვერ შევძლებ ისე კარგად წავიკითხო ეს მონოლოგი, როგორც გიორგი კითხულობსო. როცა უსმენ გ. იშხნელს ის ყალბად არ გეჩვენება. პირიქით, სიამის ჟრუანტელი გივლისო“.

მართლაც, საკვირველი იყო. როგორ შესძლო გიორგიმ ამ მონოლოგის ისეთი სიძლიერით, ისეთი განწყობილებით წარმოთქმა, რომ სიყალბე ქრებოდა და ნეტარებას აგრძნობინებდა მსმენელთ? ამაში იყო სიძლიერე გიორგი არადელი-იშხნელის. ის იმდენად ბუნებრივი იყო, რომ მის ხელში ყოველივე ხელოვნური ბუნებრივ სახეს იღებდა დიდი შემოქმედებითი ნიჭის მეოხებით. გიგო ტეტიაშვილის როლმა გ. არადელ-იშხნელს სახელი გაუთქვა. ფართო მასებმა იგი გაიცნეს, ირწმუნეს და ლადო მესხიშვილის ღირსეულ მემკვიდრედ აღიარეს. გ. არადელ-იშხნელის გამარჯვებას ყველაზე მეტად ლადო მესხიშვილი ზეიმობდა.

ბუმბერაზთ მეტოქეობისა არ ეშინოდათ და დიდ ნიჭს ყოველთვის უხარია საიმედო ცვლისა.

ლადო რუსეთიდან სწორედ ამ პერიოდში დაბრუნდა (1910 წლის იანვარს) და ყველა პიესაში, რომელიც კი ლადომ დადგა იმ სეზონში, გ. არადელ-იშხნელს საპასუხისმგებლო როლები დააკისრა.

1910 წლის 21 თებერვალს ლადო მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინეს პიესად გადაკეთებული ა. ჩეხოვის მოთხრობა „შავი ბერი“. ლადო მესხიშვილის ყოველი ბენეფისი ქართული ხელოვნების სახალხო ზეიმად გადაიქცეოდა ხოლმე. ამ საღამოსაც ასე იყო. ხალხით გაჭედილი დარბაზი მხურვალედ ესალმებოდა სამშობლოში დაბრუნებულ შვილს. დამსწრენი მოხიბლული იყვნენ ლადო მესხიშვილის (ფილოსოფიის დოქტორის ანდრია კოვრინის) დიდი ოსტატობით

და დაუვიწყარი განცდებით და გ. არადელ-იშხნელის (შავი ბერის) მელოდიური, მოალერსე ხმით.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ის სცენები, სადაც სულიერად დაავადებული ანდრეი კოვრინი შავ ბერს ესაუბრებოდა.

დიდი წარმატება ჰქონდა გ. არადელ-იშხნელს ლ. ნ. ტოლსტოის ხსოვნის აღსანიშნავად 1910 წლის 27 ნოემბერს გამართულ წარმოდგენაში. მსახიობმა მოხუცი მიტრიჩის როლი „წყვდიადის მეუფეებში“ ბუნებრივი განსახიერებით ცენტრალურ ფიგურად გახადა და საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. ასევე წარმტაცი იყო გ. არადელ-იშხნელი ი. გორდონის „სატანაში“.

ალ. სუმბათაშვილის „ღალატში“ გ. არადელ-იშხნელმა დათო განასახიერა და მაყურებელთა მხურვალე ოვაციები გამოიწვია.

გ. არადელ-იშხნელის პოპულარობა დღითიდღე იზრდება და საქართველოს მეორე თეატრალური ქალაქი ქუთაისი იწვევს მსახიობს 1912—1913 წლის სეზონში. დასს რეჟისორობდა მიხეილ ქორელი.

პირველი დებიუტი ქუთაისის სცენაზე (აქ მხედველობაში არ ვიღებთ 1909 წელს „რევიზორში“ ოსიპის როლის შესრულებას) 1912 წლის 29 სექტემბერს ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატში“ მაინცდამაინც ბრწყინვალედ არ ჩაითვლება. ერთხელ რომ ვერ დასძლია ოთარბეგის როლი, ბოლომდე ასევე დარჩა.

მეორე დღეს დასმა წარმოადგინა ნათარგმნი პიესები „სოფლის აქიმი“, „ვისი შვილია“, და „ორში რომელი?“.

ბარდას „სოფლის აქიმში“ ბრუნეს როლში ქუთაისის საზოგადოება მოაჯადოვა თავისი ბუნებრივი თამაშით გ. არადელ-იშხნელმა. „სახალხო გაზეთის“ ქუთაისელი კორესპონდენტი 1912 წლის 8 ოქტომბრის ნომერში აღფრთოვანებით აღნიშნავდა რა გ. არადელ-იშხნელის მიერ როლის საუცხოოდ

შესრულებას, დაასკვნიდა, რომ ამ ახალი მსახიობის ქუთაისის სცენაზე მოწვევა დიდი შენაძენიაო.

შემდგომი გამოსვლები ასევე აღფრთოვანებას იწვევს ქუთათურებში და რეცენზენტები აღნიშნავენ: „გ. არადელ-იშხნელი (გიგო) ჩვეულებრივ ხიბლავდა საზოგადოებას თავისი ბუნებრივი თამაშით“ („სახალხო გაზეთი“, 1912 წ. 19 ნოემბერი).

ერთი კვირის შემდეგ დასმა წარმოადგინა ლეონიდ ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ („სტუდენტის სიყვარული“); გ. არადელ-იშხნელს დაეკისრა სტუდენტ ონუფრის როლი. მსახიობს ისეთი წარმატება ჰქონდა ამ როლში, ისე მოხიბლა ქუთათურები, რომ იგი ერთხმად გვერდში ამოუყენეს დიდ ოსტატებს. რეცენზენტი „ისარი“ — „სახალხო გაზეთის“ 1912 წლის 1 დეკემბრის ნომერში წერდა: „...ბ-ნ იშხნელის თამაშმა მოხიბლა საზოგადოება. მან გააცოცხლა სცენაზე „მყუდრო ოჯახის“ მოტრფიალე. ყველასთვის ცნობილი ონოფრი ნიკოლაევიჩი; გვინახავს ამ როლის კარგად შემსრულებელნი, როგორც ქართულად, ისე რუსულად, მაგრამ ასე მოხდენილად, ასე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად რომ ვისმე ეთამაშოს, ეს კი არ გვინახავს“.

ჩვენ შემთხვევა მოგვეცა გვენახა ქართულ თეატრში ონუფრის როლში ს. ივანიძე, სანდრო ყალაბეგაშვილი, ლ. იავორსკაიას ანტრეპრიზაში აქსაგარსკი, გვინახავს ეს სპექტაკლი კორშის თეატრში, მაგრამ არც ერთ ონუფრის როლის შემსრულებელს ისეთი დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორც გიორგი არადელ-იშხნელს.

ლ. იავორსკაიას ანტრეპრიზაში ონუფრი რომ გვარიანი იყო, ამას რეცენზენტები აღნიშნავდნენ, მაგრამ ეტყობა გვარიანი იყო და არა ძლიერ კარგი. მაშ რით აიხსნება, რომ დღესაც მათი გლუხოვცევი (ნ. პევცოვი) და ოლ-ოლ (ლ. იავორსკაია) გახსოვთ, ონუფრი კი დავიწყებას მიეცა? ან კორშის თეატრში მსახიობი ჩარინი გახსოვს (გლუხოვცევი),

გაგონდება ბარისოვი (ედუარდ ფონ-რანკენი), ხოლო ონუ-ფრი ვინ იყო, გინდა მეხსიერებაში აღიდგინო, მაგრამ ამა-ოდ! გახსენებისას მაშინვე თვალწინ წარმოგიდგება საყვარე-ლი სტუდენტი, ბუუდრო ბინის მაძიებელი, ცოტა ალკოჰო-ლის მოყვარული, იუმორით აღსავსე ონუფრი, გ. არადელი-იშხნელის ონუფრი თავისი აქტიორული მიღწევებით გაუტოლ-და ვლადიმერ მესხიშვილის ჰარლეიგის („შეშლილია"). ეს იყო ხელოვნების ზეიმი, დიდი ოსტატობის მაჩვენებელი მოვლე-ნა. რა ხერხებს მიმართავდა მსახიობი, ასეთი სრულყოფით რომ წარმოგვისახავდა გმირს? არავითარ განსაკუთრებულს ხერხებს. ის მოქმედი პირის სრულ გარდასახვას ახდენდა. ონუფრის განცდა მისი პირადი განცდა იყო, სცენაზე ნამდვი-ლი ონუფრი იდგა და არა მსახიობი სტუდენტის როლში. ცხოვრებაში ჰგავდა კიდეც ონუფრის დარდიმანდობით, უან-გარობით, იუმორით, ბახუსისადმი გუნდრუკის კმევით, რა-ზედაც შემდეგ თავებში გვექნება ლაპარაკი.

ამავე სეზონში თავი ისახელა გ. არადელ-იშხნელმა იოსებ გედევანიშვილის პიესა „გამცემში" შაქრო ჩვილიშვილის რო-ლის შესრულებით.

რეჟისორი მიხეილ ქორელი შეუდგა სოფოკლეს ტრაგედიის „ოიდიპოს მეფის" დადგმას. მოვუსმინოთ ამ სპექტაკლის მონა-წილე სახალხო არტისტს ნ. ჩხეიძეს: „ყველანი ვგრძნობდით, რომ დიდი პასუხისმგებლობა ვიკისრეთ, რეჟისორით დაწყე-ბული მემანქანემდე. ყველას ნერვები გვქონდა დაჭიმული. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ისინიც ღელავდნენ, უჩვეუ-ლო ამბავს ხედავდნენ. ფარდა ასწიეს... გამოვიდა ალ. იმედა-შვილი ოიდიპოსი... იგი არც წინათ და არც შემდეგ მე ისეთი კარგი არ მინახავს. სად გაჰქრა მისი ტლანქი მიხრა-მოხრა, ულამაზო სახე და გრძელი ცხვირი. სცენაზე იდგა როგორც ქანდაკება, აგერ ტირეზიც — გ. იშხნელი თავისი ძლიერი ხა-ვერდოვანი ხმით. ნამდვილი შეჯიბრება იყო ამ ორ ნიჭიერ

მსახიობს შორის და ჩვენ გავიმარჯვეთ“ (ნუცა ჩხეიძე, „მოგონებანი“, გვ. 111).

ამ სპექტაკლის რეჟისორი მიხეილ ქორელი წერს: „...პირველი რეპეტიცია მძიმედ მიმდინარეობდა, მოიკოჭლებდა. გიორგი თვითეულ ფრაზას ებღაუჭებოდა, მძიმედ სუნთქავდა, ნერვიულობდა, მაგრამ ამაოდ. ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა. და ერთხელ, როდესაც ოიდიპოსი-იმედაშვილი ტირეზის-იშხნელის დუნე და ცივი რეპლიკით ნაწყენი გამწარდა და ტექსტის გარეშე მიაძახა — ჰოი ვაებავ, დამარტყი რაღა შე ცრუ ქადაგო! — გიორგი შეკრთა, შეჩერდა, თითქოს პირადი შეურაცხყოფა მიაყენესო და საპასუხო რეპლიკა ისეთი წრფელი სიძლიერით, ისეთი დამაჯერებელი კილოთი მისცა, რომ მაშინვე ვიგრძენი: ნამდვილი ტირეზი ახლა იბადება-მეთქი. ამ მომენტის შემდეგ გიორგის უკან დახევა არ შეეძლო, არც უნდოდა. მან იპოვა ჭეშმარიტი სახე, რამდენიმე რეპეტიციაც და იგი სპექტაკლში ტრაგედიის მწვერვალზე ავიდა, იმედაშვილის დიდ ნიჭს გაუტოლდა (მიხეილ ქორელი „გიორგი არადელი-იშხნელი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 წ., 28 დეკემბერი).

გიორგი არადელი-იშხნელი ხალხის საყვარელი მსახიობი შეიქმნა. ნიჭმა თავისი გაიტანა, იგი ყველამ აღიარა, გარდა ზოგიერთი რეცენზენტისა. ქართული თეატრის ოსტატთა რიგებს ახალი საიმედო ძალა შეემატა. რამ შეუწყო ხელი ამ გამარჯვებას ამაზე დაწვრილებით შემდეგ თავში.

თავი V

სცენიური მონაცემები

რუსეთის გამოჩენილმა მსახიობმა მამონტ დალსკიმ, რომლის დაუდგრომელი ცხოვრებაც ძლიერ წააგავდა გ. არადელი-იშხნელისას, ერთ-ერთ საუბრისას მ. იურევთან (სსრ კავშირის სახალხო არტისტი) განაცხადა — სცენა რჩეულთა ხვედრია მხოლოდ, განსაკუთრებულ ნიჭის ადამიანს აქვს უფლება ფეხი შედგას თეატრშიო. როცა გიორგი არადელ-იშხნელს გავიხსენებთ, როცა ვიგონებთ მეტეორივით უცბად გამოჩენილ მსახიობს, მის ხანმოკლე არტისტულ გზას, გაგვახსენდება მამონტი დალსკის ეს სიტყვები და დავასკვნით — სცენა თუ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, სწორედ ასეთი რჩეულთაგანი იყო გიორგი არადელი-იშხნელი.

რა მონაცემებია საჭირო იმისათვის, რომ მსახიობი რჩეულთა რიცხვს მივაკუთვნოთ და იყო თუ არა ამით დაჯილდოებული გ. არადელი-იშხნელი?

უწინარეს ყოვლისა, მსახიობისათვის საჭიროა სათანადო სცენიური გარეგნობა, რომ ადვილად შესძლოს ამა თუ იმ გმირის წარმოსახვისას იყოს დამაჯერებელი. შეიძლება მსახიობი არ იყოს ისეთი წარმტაცი, ლამაზი, რომ მითიურ აპოლონს ემსგავსებოდეს (როგორც მაგალითად, ლადო მესხიშვილი ჩვენს სცენაზე), მაგრამ მისი სახის ყველა ნაკვთი უნდა იყოს ნორმალური, რათა გრიმის საშუალებით საჭიროებისამებრ წარმოგვიდგეს ლამაზად, მახინჯად და სხვა. მაგრამ მარტო სახის ნაკვთი არაა საკმარისი, საჭიროა ტანიც ხელს

უწყობდეს, თორემ აბა წარმოიდგინეთ ქონდრის კაცს დააკისრონ გიორგი საკაძის როლი...

მაშასადამე, ტანადაც წარმოსადეგი უნდა იყოს. მახსენდება ერთი გამოჩენილი იტალიელი მსახიობის ამბავი. იგი იშვიათი განსაცვიფრებელი ხმით იპყრობდა მსმენელთ და აღტაცებაში მოჰყავდა ყველა. ამ მომღერლის სახელი თავისი ქვეყნის საზღვრებს გასცდა. საგასტროლოდაა უცხო ქალაქში. დარბაზი გაჭედილია ხალხით. ყველას გაუგონია, რომ გამოჩენილი მსახიობია და ნახვით კი არავის უნახავს. მსახიობი კი კუზიანია და კორსეტი ამ ნაკლს ვერ ფარავდა. და აი, გამოჩნდა სცენაზე მსახიობი და დარბაზში ატყდა საშინელი ხარხარი.

— კვაზიმოდო, კვაზიმოდო,— გაისმის ქანდარიდან შეძახილები. მსახიობი წინ წამოდგა. ხელის აწევით გააჩუმა ხალხი და უთხრა:

— თქვენ აქ მოხვედით ჩემი ხმის მოსასმენად და არა კუზის სანახავად. თუ ხმაც ისეთივე მახინჯი მექნება, მაშინ დამცინეთ და სცენიდან გამაგდეთო — თქვა ეს და დაიწყო სიმღერა.

მშვენიერმა ხმამ დაავიწყა ხალხს მისი კუზი, უშნო ხელები და სიმღერისას მასზე ლამაზი არავინ ეგონათ. აბა წარმოიდგინეთ, გოჯა ტანის, დრამატული მსახიობი ასახიერებდეს ლევან ხიმშიაშვილს და ფარდის ახდისას ხალხი დააწყნაროს — ნუ დამცინებთ, ჯერ ჩემს დიალოგს მოუსმინეთო. ცხადია სცენიურ გარეგნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და დიდი ტალანტის მსახიობი უნდა იყო, რომ გარეგნული ნაკლი დაფარო.

ქართულ თეატრში, სადაც გიორგი არადელი-იშხნელის დებიუტი მოეწყო, ერთი კვირის შემდეგ ლ. იავორსკაიას დასმა დადგა „სტუდენტის სიყვარული“ („დღენი ჩვენი ცხოვრებისა“). ნიკოლოზ გლუხოვცევის როლის შემსრულებლის, ნ. პევცოვის სცენაზე გამოჩენისთანავე ახალგაზრდობას აფიქრებდა — ეს როგორ შეიყვარა ოლოლმაო. მაგრამ ნიჭიერი

მსახიობის პირველივე ფრაზა გავიწყებდა, რომ თქვენს წინ მოხდენილი სტუდენტი არ იდგა. მაგრამ იმას რა აჯობებდა, რომ სინამდვილეში მოხდენილი სტუდენტი მდგარიყო, მაშინ შთაბეჭდილება ერთი-ორად ძლიერი იქნებოდა.

გიორგი არადელი-იშხნელი ლადო მესხიშვილივით განსაცვიფრებელი ლამაზი არ ყოფილა, არც ვალერიან გუნიას რაინდული იერი ჰქონდა, მაგრამ მოხდენილი ვაჟკაცი იყო, სცენაზე შემოსვლისთანავე იპყრობდა ყურადღებას და ჰგავდა იმ გმირს, ვისაც წარმოგვისახავდა.

მაგრამ გარეგნობას თუ მომხიბვლელობა არ ახლავს, გარეგნობა მალე ეძლევა დავიწყებას და შთაბეჭდილება ქარწყლდება. რასაკვირველია, გიორგი არადელ-იშხნელში არ იყო ისეთი ჯადოსნური მომხიბვლელობა, როგორიც ლადო მესხიშვილში, მაგრამ ამ მხრივაც საკმაოდ იყო დაჯილდოებული და მაყურებლის სიმპათიას იმსახურებდა.

შეიძლება კარგი სცენიური გარეგნობა ჰქონდეს ადამიანს, მომხიბვლელობაც, მაგრამ თავისდაჭერა არ იცოდეს სათანადოდ სცენაზე, სიარული არ უვარგოდეს, უხეში ჟესტები ჰქონდეს, მოკლებული იყოს პლასტიკას...

გიორგის ბავშვობას არ მოვსწრებივართ, გვჯერა მისი სკოლის ამხანაგის ილია ყიფშიძის ნაამბობი, რომ ჩაჩულია იყო, მაგრამ სცენაზე ამას ვერ ვამჩნევდით. თვით მისი აუგის მთქმელი რეცენზენტებიც კი აღნიშნავდნენ:— პლასტიკური საუცხოო მიხრა-მოხრა აქვსო, კარგად უჭირავს თავი სცენაზეო და სხვა. უეჭველია გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებელს უნდა ვუმადლოდეთ, რომ კარგი სიარული ასწავლა თავის საყვარელ მოწაფეს, და რეჟისორ ა. დოლინოვს, რომელმაც ეს ბავშვობისას ჩაჩულია შავტუხა ბიჭუნა ისე აღზარდა და ისე გამოწვრთნა, რომ თავის მასწავლებელს არ შეარცხვენდა არც ერთ სალონურ პიესაში. ფრაკსა და სერთუკს ისე ატარებდა, თითქოს ბავშვობისას ნათხოვარის ტანსაცმელში კი არ გახვეულა, არამედ სერთუკში დაბადებულიყოს.

რამდენი მსახიობი გვინახავს იშვიათი სილამაზის, სცენიური მომხიბვლელობით აღჭურვილი, მაგრამ გააღებს პირს და ისეთი საშინელი ხმა ამოხდება, აღარ იცით — ყურები დაიცვათ, თუ თავი შეიკავოთ და როგორმე გაუძლოთ. თქმულება, რომ ოპერის მსახიობისათვის სამი რამ არის საჭირო — ხმა, ხმა და ხმა — ასევე ეხება დრამის მსახიობსაც. თუ მსახიობს ხმა არ უვარგა, ვერავითარი გარეგნობა, სცენიური მომხიბვლელობა მას ვერ იხსნის მარცხისაგან.

ამ მხრივ გ. არადელი-იშხნელის ხმა იშვიათი მოვლენა იყო, ბევრი კარგი ხმის მსახიობის მნახველს გეძნელება ვისმეს ხმას შეადარო. მომისმენია მამონტი დალსკის ხმა, ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის, სანდრო მოისის, ვ. გუნიასი და გ. არადელ-იშხნელისთანა ხმა მე არ მსმენია. მისი ხავერდოვანი, გულის საძირკველამდე გამტან ხმაში რა სიძლიერე იყო, რა სილამაზე, რამდენი მელოდიკა, საუცხოვო გამმები იგრძნობოდა ამ ხმაში. ყველა რეგისტრში ეს ხმა თავისუფლად ჟღერდა, არასოდეს, ყვირილში არ გადადიოდა. განა სიმპტომატური არ არის, რომ გიორგი არადელი-იშხნელის წინააღმდეგ დარაზმული რეცენზენტები ყველა ერთხმად აღიარებდა—საუცხოო ხმა აქვსო.

12 წელიწადს მუშაობდა სცენაზე გიორგი არადელ-იშხნელი, ბევრი როლი განუსახიერებია, ბევრი მწარე სიტყვა სმენია, ბევრი ქებაც მოუსმენია, მაგრამ ყველგან და ყოველთვის აღნიშნავდნენ „მისი ხმით იხიბლება ყველაო“.

მახსოვს — „მსხვერპლში“ ხალხი გიგოს წინააღმდეგ არის ამხედრებული, მასა ხმაურობს, ბობოქრობს. ერთს გასძახებდა — ხალხო! და მთელი ამ მასის ხმა ისე იფარებოდა, რომ რაოდენ აბსოლუტური სმენის პატრონიც არ უნდა ყოფილიყავით, ვერ იტყოდით, რომ ყვირილი მოგესმათო. აი სად მართლდება გამოჩენილ ტრაგიკოს ტომაზი სალვინის თქმა — ტრაგედიულ მსახიობისათვის საჭიროა „La voix, la voix, et encore la voix“ (ხმა, ხმა, და კიდევ ხმა). გ. არა-

დელი-იშხნელის ხმა მომხიბლავი და ძლიერი იყო, იგი რომ მსხვერპლი არ გამხდარიყო ძველი უკულმართი ცხოვრებისა და ვიწრო გალიაში არ ყოფილიყო გამომწყვდეული, თვითონაც არ შეეწყო ხელი თავის უდროოდ დასამარებისათვის, მისი სამოქმედო ასპარეზი საქართველოს საზღვრებს გასცდებოდა.

მაგრამ ხმას ხომ სათანადო მოხმარება უნდა. ამ მხრივაც იშვიათი მეტყველების მქონე იყო მსახიობი. არც ერთი ბგერა არ იკარგებოდა და სავსებით ავლენდა ჩვენს მუსიკალურ ენას, მეტყველების სილამაზეს. რუსულ სკოლაში აღზრდილი გიორგი არადელი-იშხნელი, რუსულ დრამატული კურსების მსმენელი, შეუმცდარად მეტყველებდა რუსულ ენაზე და როცა კი მას რუსულად უხდებოდა ამა თუ იმ როლის განსახიერება, (ნესჩასტლივცევი ა. ოსტროვსკის „ტყეში", სასამართლოს დარაჯი ვ. ერისთავის „დავაში"), გხიბლავდა თავისი წმინდა რუსულით, იშვიათი გამოთქმით.

გმირის სრულყოფით განსახიერებისათვის ყველა ამ თვისებასთან ერთად, საჭიროა მსახიობი აღჭურვილი იყოს დიდი კულტურით და ცოდნით. განა დასაშვებია მსახიობს წარმოდგენა არა ჰქონდეს იმ ეპოქაზე, რომელშიაც მოქმედება ხდება!

გ. არადელ-იშხნელის დროს ჩვენს თეატრში იყვნენ მსახიობები, რომელთაც „შალაში" როლი ეგონათ და სცენაზე „უფალოს" მაგივრად „ფუფალას" ამბობდნენ, მათ აქტიორობის მაჩვენებლად მიაჩნდათ გაპარსული ულვაშები, თავზე შლიაპა და აჭრელებული ჰალსტუხი. ასეთი მსახიობები იყვნენ ყველგან და ჩვენშიაც საკმაოდ მოიძებნებოდნენ. და აი ამ დროს სცენაზე მოდის. უმაღლესი განათლებით აღჭურვილი პირი და ეს კი ერთი იმ პირობათაგანია, რომელიც მსახიობს წარმატებას ანიჭებს. მაგრამ არც განათლება კმარა, თუ მსახიობი შრომისმოყვარე არ არის. საზოგადოებაში გავრცელებული ხმა თითქოს გ. არადელ-იშხნელს არ უყვარდა შრომაო — უსაფუძვლო ლეგენდაა.

1948 წლის 28 დეკემბერს რეჟისორმა მიხეილ ქორელმა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოაქვეყნა პატარა, მაგრამ მეტად საყურადღებო წერილი —„გიორგი არადელი-იშხნელი“. ამ წერილში ვკითხულობთ: „...ახალი როლის, თუნდაც მისგან დაწუნებული როლის, მიღებისას სამზადისს მაშინვე შეუდგებოდა, შესაფერ წიგნებს კითხულობდა, ხმას ივარჯიშებდა, პოზებს სარკის წინ ამუშავებდა, მაგრამ ასეთი მეთოდი არაფერს აძლევდა... ერთხელ მითხრა: — არაფერი არ გამოდის, განზრახული სახე უტყვი და მკვდარია, სარკე არაფერს არ მეუბნება. სცენაზე უნდა გავიდე, იქ როლის სიტყვები გზას თვითონვე გამიხსნიან, იქ როლის შექმნისათვის აღმაფრთოვანებელი ატმოსფეროა, იქ კულისების სუნნელება მათრობს, მოკარნახის ხმა გულისყურს ამიმეტყველებს, პარტნიორის რეპლიკებს ბანს მივცემ. იქ უცნაური, იდუმალი, ჩემთვის გაუგებარი ძალა მაცოცხლებს!.. შინ კი, ჩემი წინასწარი თეორიული გეგმები თავდაყირა დგება... სამზარეულოს ბოლი და ბავშვების ჟრიამული რა სამზადისია. მაგრამ ახალი როლის მიღებისას ისევ თეორიულ სამზადისს შეუდგებოდა...“ ეს საკმაოდ მოზრდილი ამონაწერი პროფესიონალი რეჟისორისა ადასტურებს თუ გიორგი იშხნელი როგორ გულმოდგინედ მუშაობდა როლებზე. სწორედ ამ პერიოდში, სამხატვრო თეატრის გავლენით (მიხეილ ქორელი კი ამ თეატრის უდრეკი მიმდევარი იყო) შემოღებული იქნა ჩვენს თეატრებშიაც როლების დამუშავება „მაგიდასთან“. საყურადღებოა ამის შესახებ გიორგი იშხნელის შეხედულება. იმავე წერილის ავტორის გადმოცემით, როცა გ. იშხნელს რეჟისორმა „ოიდიპოს მეფეში“ მოხუც ტირეზის როლი დააკისრა, გ. იშხნელმა უთხრა:

— მოხუცი ქადაგის როლს ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს, თავს შევაკლავ და არც პიესას, არც თეატრს არ ვუღალატებ. წავალ, პიესას და როლს გავეცნობი და წინასწარ სამზადისს შევუდგებიო.

— ისევ შინ გიორგი? ღიმილით შეეკითხე მე.

— ისევ, მიხეილ! რა ვქნა, ვიცი რომ თანამედროვე თეატრში წინასწარ, „მაგიდასთან“ მუშაობაა შემოღებული, მაგრამ ალბათ, ძველი ცომისაგან ვარ მოზელილი... აფუება და გამოცხობა ზედ შუაცეცხლზე მჭირდება, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ უნდა ვცადო, როდისმე ხომ უნდა დავძლიო ეს ახალი წესი. აი ნახეთ!“

ხელოვნების გამოჩენილი თეორეტიკოსის დენი დიდროს თქმას, რომ „მსახიობი უფრო ძლიერ მაშინ მოქმედებს, როცა დიდ ვნებათა ღელვის დროს თვითონ არ არის გატაცებულიო“,— საკმაო მიმდევრები ჰყავდა. ესენი ამტკიცებდნენ რომ მსახიობს კარგი ტექნიკის და ხერხების საშუალებით შეუძლია მაყურებელს ცრემლი აფრქვევინოს და თვითონ კი გულგრილი მოწმე იყოს ამისიო. გაათავოს ცრემლის მომგვრელი მონოლოგი და იქვე მიუტრიალდეს პარტნიორს და სასაცილო ამბავი წასჩურჩულოს. არიან ასეთი მსახიობები, მაგრამ ასეთი ცრემლი ხშირად მაყურებლის ნერვებს მიეწერება და მალე ქრება.

გავიხსენოთ რუსეთის ორი გამოჩენილი მსახიობი ვასილ კარატიგინი და პავლე მოჩალოვი. ვასილ კარატიგინი იშვიათი ტექნიკის მეოხებით ყოველთვის კარგად ასახიერებდა დაკისრებულ როლს. პავლე მოჩალოვს კი ბევრჯერ განუცდია მარცხი. ზოგჯერ — აი, როცა ის როლს განიცდიდა და საამისო გუნებაზე იყო, წარმოუდგენელ მწვერვალს აღწევდა. აი სწორედ დროდადრო ასეთი განწყობილებით როლის განსახიერებისათვის დიდმა კრიტიკოსმა ბ. ბელინსკიმ უკვდავჰყო თავის შესანიშნავ წერილში გენიალური მსახიობი პ. მოჩალოვი. განა განწყობილებით რომ არ ეთამაშა პ. მოჩალოვს, ასე აღაფრთოვანებდა დიდ მოაზროვნე ბ. ბელინსკის?

მინდა გავიხსენო გიორგი არადელი-იშხნელის დროის ორი მსახიობი ერთსა და იმავე როლში. მთელ რუსეთში მაშინ კარგად ცნობილი ტრაგიკოსი გასტროლიორი რობერტ ადელ-

გეიმი და მხოლოდ ვიწრო თეატრალურ წრეებისათვის ნაცნობი პროვინციის აქტიორი შორშტეინი. ეს უკანასკნელი მსახურობდა 1911 წელს თბილისის რუსულ დრამატულ დასში. ერთს წელიწადს საშუალება მოგვეცა სახალხო სახლის სცენაზე (ამჟამად მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) გვენახა რობერტ და რაფაელ ადელგეიმების მონაწილეობით „ჰამლეტი“ და იმავე სეზონში იგივე „ჰამლეტი“ რუსულ დრამაში. რობერტ ადელგეიმის იშვიათი ტექნიკა, ხმა, პლასტიკა, ჟესტები, მომხიბვლელობა ყველასათვის ცნობილი იყო და დიდი მოწონებაც ჰქონდა. შორშტეინი თითქმის ყველასათვის უცნობი იყო. მაგრამ თუ დღესაც გახსოვთ მისი ჰამლეტის ზოგიერთი სცენები, ხოლო რობერტ ადელგეიმისა არა, ეს იმიტომ, რომ ო. შორშტეინი განცდით ასახიერებდა როლს, რობერტ ადელგეიმი-კი როლს ძლიერად არ განიცდიდა და ტექნიკის საშუალებით მოაჩვენებდა მაყურებელს ამ განცდას. ჭეშმარიტი მსახიობი უნდა იყოს ბუნებრივი. ის უნდა განიცდიდეს გმირის ტანჯვას და სიხარულს. მხოლოდ მაშინ მოიპოვებს გამარჯვებას მსახიობი.

გიორგი არადელი-იშხნელი განცდის დიდი ოსტატი იყო, ეს ანიჭებდა მას გამარჯვებას, ამიტომ შეიყვარა იგი ხალხმა, ამიტომ აგონდება მაყურებელს მის მიერ მკვეთრად გამოძერწილი სახეები. განა შეიძლება გიგო ტეტიაშვილის სახე გაქრეს იმათ მეხსიერებიდან, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს გიორგი არადელი-იშხნელი ამ როლში? ან ვინ დაივიწყებს ჩვენს ონუფრის? („დღენი ჩვენი ცხოვრებისა“). დიდი განცდა გიორგი არადელ-იშხნელისა დასახულ გმირებს სულს შთაბერავდა ხოლმე და დაუვიწყარს ხდიდა.

ძველ თეატრში, როცა რეჟისორის ჰეგემონია ნაკლებად იგრძნობოდა, ყველა მსახიობი თვითონვე აწესებდა თავის მიზანსცენებს. ყველა ცდილობდა ისეთი მიზანსცენა გამოენახა, რომ ხალხისათვის ადვილი დასანახი ყოფილიყო. ამ შემთხვევაში არ ექცეოდა ყურადღება პარტნიორთან დამო-

კიდებულებას. პარტნიორს ელაპარაკებოდა ისე, რომ არც კი უყურებდა, რაც მთავარია — პარტნიორს იმისათვის უგდებდა ყურს, რომ მოესმინა უკანასკნელი რეპლიკა. პარტნიორისადმი დამოკიდებულება დიდ ოსტატობას მოითხოვს და ამ მხრივ გიორგი არადელი-იშხნელი პირდაპირ გხიბლავდათ.

ყოველივე ამას ზედ ერთოდა მისი დიდი ტემპერამენტი, ურომლისოდაც ყოველივე და ყველაფერი ამაოა მსახიობისათვის. გიორგი იშხნელმა თუ გამარჯვება მოიპოვა, სწორედ იმიტომ, რომ ის დიდი ტემპერამენტის მსახიობი იყო. გაზეთ „ჩვენს ხმაში“ 1909 წლის 13 იანვარს მოთავსებულია წერილი სათაურით „მთამ შობა თაგვი“. დიდის რიხით დაწერილ რეცენზიაში ავტორი ილაშქრებს რა გიორგი იშხნელის წინააღმდეგ, შეცდომად მიაჩნია მისი მოწვევა და დიდის აპლომბით დაასკვნის „...თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მასში არ არის ღვთიური ცეცხლი არტისტისა. ის სრულიად მოკლებულია ტემპერამენტს... დიახ, დიახ არ არის არტისტი“... არ გვგონია უტემპერამენტო მსახიობმა ხალხთა გული დაიპყროს, მსმენელნი გაიტაცოს, მოაჯადოვოს, მოხიბლოს.. ვისაც უნახავს გ. არადელის გიგო ტეტიაშვილი (ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“), ლოპახინი (ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ ქართულად „სალხინოდ“ წოდებული), ტირეზი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), ონუფრი (ლ. ანდრეევის „ღენი ჩვენი ცხოვრებისა“) და სხვა მრავალი სახეები, იგი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს გ. არადელი-იშხნელის ცეცხლოვან ტემპერამენტს.

რასაკვირველია, არიან მსახიობები, რომლებიც საუცხოო ხმით, გარეგნული, მოჩვენებითი ტემპერამენტით ახდენენ შთაბეჭდილებას, უცოდინართა ტაშსაც კი იმსახურებენ, მაგრამ მათ მიერ შექმნილი სახეები მალე ქრება მეხსიერებიდან, რადგანაც ის მაყურებლის გულს არ ხვდება. გ. არადელი-იშხნელის მიერ განსახიერებული სახეები მაყურებელს სწვდებოდა გულში და სამუდამოდ აღიბეჭდებოდა ხოლმე.

მის გონებაში. რეჟისორი მიხეილ ქორელი იმ წერილში, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ წერს: „ორმოცი წელი შესრულდა რაც ქართულ სცენას უნიჭიერესი არტისტი, გიორგი არადელი-იშხნელი მოევლინა. მისი სახელი სამუდამოდ შერჩა ქართული თეატრის ისტორიას.

ის იყო შუატანის, მაგრამ ჩასკვნილი, მოხდენილი გარეგნობის, დიდი ტემპერამენტის ადამიანი“... (მ. ქორელი „გიორგი არადელი-იშხნელი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1948 წ. 26 დეკემბერი № 51 (244). ამ ორში ვის დავუჯეროთ, ვის ვერწმუნოთ — რიხიან რეცენზენტს თუ თეატრის გამოჩენილ მოამაგეს და რეჟისორს? ამ სტრიქონების ავტორისათვის არჩევანი არც არსებობს. უვიცის აზრს ვინ გაიზიარებს. მით უმეტეს ხილი თვალით უხილავს, მისი სიტკბოება უგემნია, მისით მოხიბლულა?.

ყოველი ციტატა წიგნს ამძიმებს, ამიტომაც ვერიდებოდი გრძელ-გრძელ ამონაწერებით მკითხველის ყურადღების დაღლას, მაგრამ არ შემიძლია არ მოვიყვანო გამოჩენილი დრამატურგის, თეატრის დიდი მცოდნის, ფაქიზი გემოვნების ადამიანის ნიკო შიუკაშვილის წერილი — „ვიზედაც არ ლაპარაკობენ“.

„...მოგახსენებთ ჩვენს ახალგაზრდა მსახიობ ბ. იშხნელზე. ...ნიჭიერი არტისტები ჩვენ საკმარისად გვყანან ჩვენდა სასიხარულოდ და ჩვენც სიხარულით შევცქერით მათ ნიჭს, უნარს; წარმატებებს და საზოგადოების ყურადღება-თანაგრძნობას.

ასეთივე ბედი არ ხვდა ბ. იშხნელს. ის ჩრდილში გვყავს მიგდებული, როდესაც ბ. იშხნელი პირველად ვნახე სცენაზე ამ სამოიოდე წლის წინათ, გაოცებული დავრჩი: ასეთი თვალსაჩინო არტისტი და ასეთი უყურადღებობა მისადმი!..

ვეკითხებოდი რეჟისორებს, ვეკითხებოდი მსახიობებს, თეატრის მოყვარულთ, მაგრამ ვერავის განმარტებამ ვერ

დამაკმაყოფილა, თუმცა ყველანი მეთანხმებოდნენ, რომ ბ. იშხნელი ნიჭიერი არტისტია.

„იშხნელი თავის ალაგას იყო... იშხნელი ანსამბლს ხელს უწყობდა... იშხნელს არა უჭირდა რა“...

აი ზედმიწევნით დაფასება ბ. იშხნელისა პრესაში!

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენი პრესა ძალიან არ ცდილობს მსახიობის გალახვას, ყველა ეს „იშხნელს არა უჭირდა რა“, ეღრის იმ „სამს“, რომელსაც უსვამენ სუსტ შეგირდს, — ჰა, გახსოვდეს. ჩვენი სიკეთეო!..

რას ნიშნავს ასეთი, „მოწყალებითი ენა“ ბ. იშხნელზე? ალბათ, იმას რომ მეტის ღირსად არ მიაჩნიათ.

პირველად ბ. იშხნელი ვნახე გელას როლში და იშვიათი ესთეტიკური სიტკბოება განვიცადე... სცენაზე დიდი არტისტი იდგა,— უკეთესი გელა წარმოუდგენელია!

საზოგადოება?— ჩვეულებრივი „ვაშა“!

პრესა? — სიჩუმე.

რასაკვირველია, ყველას ხომ ერთნაირი შეხედულება არ აქვს ჯმა თუ იმ საგანზე, მაგრამ აქაც არის ერთგვარი საზღვარი...

არც ბ. იშხნელია ისეთი უფერული მოვლენა ჩვენს სცენაზე, რომ შეგვეძლოს მასზე ასე ნაყიშ-ნაყიშად ლაპარაკი.

რაშია მაშ საქმე?

დაკვირვება გვეუბნება: ბ. იშხნელმა გაუსწრო ჩვენ სცენას. ბ. იშხნელის ხელოვნება ჩვენს გემოვნებაზე მაღლა დგას. ბ. იშხნელი უკრავს სკრიპკაზე, ჩვენი ყური კი ჯერ ჭიანურს ვერ გასცილებია.

როგორც მახსოვს, ბ. იშხნელი პირველად გაეცნო ჩვენს საზოგადოებას ხიმშიაშვილის როლში. ამ წარმოდგენას მე არ დავსწრებივარ; პრესამ დაიწუნა და უმთავრეს ნაკლად ჩაუთვალა ტემპერამენტის უქონლობა.

ხიმშიაშვილის როლი შეუფერებელია ბ. იშხნელისათვის, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, თუნდ აუარებელ ნაკლუ-

ლოვანებათა შორის იმ წარმოდგენის დროს გამოსჭვიოდა კიდევ სხვა „რაღაც“, უფრო საინტერესო, ვიდრე „ხიმშიაშვილის ტემპერამენტი“.

როდესაც შორს მდგომმა პირველად წავიკითხე ეს შენიშვნა (ტემპერამენტის უქონლობაზე), ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ როდესაც ბ. იშხნელი პირველად ვნახე სცენაზე, მაშინვე მივხვდი, თუ რა „ტ ე მ პ ე რ ა მ ე ნ ტ ზ ე“ იყო ლაპარაკი.

ჩვენი გემოვნება აღზრდილია რახა-რუხიანი პიესების მყვირალა თამაშით. ცეცხლის ალი, თოფის გრიალი, „გაუმარჯოს საქართველოს“ და სხვა ამგვარი „სატემპერამენტო აღფრთოვანებამ“ ჩვენს არტისტებში შეიმუშავა თავისი შესაფერი „ტემპერამენტი“.— ყალბი, მყვირალა, ხრინწმორეული — და აი ეს ყალბი ხელოვნება დღესაც კლანჭებიდან არ უშვებს მომეტებულ ნაწილს ჩვენი საზოგადოებისას.

ბ. იშხნელის ტემპერამენტი სკამებს არ ამტვრევს, თვალებს არ აბრიალებს, გულს არ იხეთქავს ქშენით. ბ. იშხნელი ნამდვილი არტისტია, რომელმაც იცის, რომ ხელოვნებაში არის ზომიერება.

...დროა ჩვენც ავცდეთ ხელოვნების პირველ საფეხურებს და გადავიფხიკოთ მყვირალობის ყალბი ქერქი. ვთხოვთ რეჟისორებს მეტის ყურადღებით მოექცნენ ბ. იშხნელს, გვიჩვენონ ხშირად უფრო რთულ და შესაფერ როლებში.

მეტი დაკვირვება, მეტი ალერსი, თორემ ვინ იცის სადამდის დავცეთ (და ასეც მოხდა! შ ე ნ ი შ ვ ნ ა ა ვ ტ.) დინჯი არტისტი“ (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 29, გვ. 5, 1915 წ. 19 ივლისი).

ვგონებ მკითხველი არ მისაყვედურებს, რომ ასეთი გრძელი ამონაწერი მოვიყვანე. ნიკო შიუკაშვილი, როგორც გემოვნებაგანვითარებული მაყურებელი, მიხვდა თუ რამ წარმოშვა გიორგი არადელ-იშხნელზე პრესაში — ერთგვარი უარყოფითი შეხედულება.

ვისარგებლებთ იმ ვაი-რეცენზენტის წერილის სათაურით, „მთამ შობა თაგვი“ და მიუზღავთ იმას, რაც დაიმსახურა — უმეცრებამ შობა ასეთი რეცენზენტი.

თეატრის „მოყვარულებმა“ და ზოგიერთმა კალმოსანმა როგორ შეუწყვეს ხელი ამ მსახიობს, ამაზე შემდეგ თავში.

თავი VI
ზიგზაგები

ჩვენი თეატრი ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობაში იყო რუსულ თეატრთან და მის დიდ გავლენას განიცდიდა. ქართული თეატრის რეპერტუარში საპატიო ადგილი ეჭირათ რუს დრამატურგებს. ნიკოლოზ გოგოლის, ალექსანდრე გრიბოედოვის, ალექსანდრე ოსტროვსკის უკვდავი ქმნილებანი უყვარდა ქართველ მაყურებელს; მაგრამ გავლენა მარტო რეპერტუარით არ ამოიწურებოდა. რუსეთის სცენის დიდი ოსტატების მიერ მკვეთრად გამოძერწილი სახეები ქართველ მსახიობთა შემოქმედების განვითარებას ხელს უწყობდა. ქართული თეატრის დიდი რეალისტი მსახიობი ვასო აბაშიძე სიამაყით აცხადებდა ხოლმე „მე მცირე თეატრის მიმდევარი ვარო“.

მართლაც ვის შეეძლო ერთხელ მაინც ფეხი შეედგა მცირე თეატრში და არ მოხიბლულიყო იმ ტალანტთა თაიგულის ხილვით, რითაც მდიდარი იყო იგი. რუსეთის დიდი მოაზროვნის და თეატრის პირუთვნელი შემფასებლის ბესარიონ ბელინსკის აღფრთოვანებული თქმა: „განა შეიძლება სიტყვით გამოვხატოთ, თუ რა მომხიბვლელია თეატრი, რა ჯადოსნურად მოქმედებს იგი ადამიანის სულზე“... სწორედ ამ თეატრს ეკუთვნის.

მცირე თეატრი წარმოიშვა იმ პერიოდში, როცა სამართალს მათრახი სწყვეტდა და პოლიციური რეჟიმი ყოველივე თავისუფალ სიტყვას დევნიდა. მაგრამ გმირი რუსი ხალხი რეპრესიებმა ვერ შეაკრთო და თავისუფლებისათვის სამკვ-

დრო-სასიცოცხლო ბრძოლა გრძელდებოდა; მცირე თეა-
ტრის სცენაზე გენიალური პავლე მოჩალოვი თავისუფლები-
სათვის მებრძოლი გმირების მკვეთრ სახეებს ძერწავდა; მი-
ხეილ შჩეპკინი ა. გრიბოედოვის ფამუსოვის („ვაი ჭკუისა-
გან") და გოგოლის გოროდნიჩის რეალური წარმოსახვით
ბიუროკრატიულ რუსეთის საშინელ სურათს გვიხატავდა;
პროვ სადოვსკი ალექსანდრე ოსტროვსკის პიესებში მტაცებ-
ლურ ვაჭართა სახეებს ძერწავდა; მარიამ ერმოლოვა ლაუ-
რენსიას მონოლოგებით (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო")
საბრძოლველად მოუწოდებდა ხალხს; ალექსანდრე სუმბათა-
შვილი-იუჟინის მიერ წარმოთქმულ მარკიზ პოზას მონო-
ლოგებს (ფ. შილერის „დონ-კარლოსი") დარბაზი ყოველ-
თვის მხურვალედ ეხმაურებოდა და შურისძიებით იმსჭვალე-
ბოდა თავისუფლების მტრების წინააღმდეგ.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულია. მოსკოვის მცირე თეა-
ტრი ჩიხში მოემწყვდა. მართალია, მის სცენას ამშვენებენ
ბრწყინვალე ნიჭის მსახიობნი, მაგრამ რა უნდა შექმნან
ბუმბერაზებმა ისეთი უიდეო, მხატვრულ ღირებულებას მოკ-
ლებული პიესებით, რომელთაც თეატრის მმართველ მოხელე-
თა მეოხებით სცენაზე მტკიცედ მოიკიდეს ფეხი.

გაჩაღდა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის და წარმოიშვა
1898 წლის 27 ოქტომბერს ახალი თეატრი, შემდეგში სამხატ-
ვრო თეატრად წოდებული. მესამე თავში ჩვენ გაკვრით აღ-
ვნიშნეთ ამ თეატრის დიდი გავლენა საერთოდ და კერძოდ
ქართულ თეატრზედაც.

სამხატვრო თეატრის ძიებამ, მისმა ტრიუმფალურმა სვლამ
საქართველოშიც ჰპოვა ნიადაგი. თუ წინათ თერგდალეულნი-
რუსეთის პროგრესული ელემენტების ზეგავლენით ქვეყნის
გარდაქმნას ახლებურად ლამობდნენ, სამხატვრო თეატრის
დიდი კულტურით აღფრთოვანებული ჩვენი ახალგაზრდობა,
თავის საყვარელ ქართულ თეატრს განახლებისაკენ მოუწო-

დებდა. ქართული თეატრი გადახალისებას საჭიროებდა. თუ წინათ მაყურებელი სტკბებოდა მაკო საფაროვის, ნატო გაბუნიას, ვასო აბაშიძის, ლადო მესხიშვილის და სხვათა ოსტატობით, მეოცე საუკუნის დასაწყისში ამ ბუმბერაზთა რიგები შეთხელდა. ნატო გაბუნია გარდაიცვალა (1910 წ.), მაკო საფაროვი ავადმყოფობის გამო სცენას ჩამოშორდა, ლადო მესხიშვილი მეტეორივით დროდადრო ჩნდება, ვასო ხანდაზმულია. ახალგაზრდებიც რომ იყვნენ და საიმედო ცვლას არ საჭიროებდნენ, მაინც თეატრს ესაჭიროება განახლება, ახალი სულის შთაბერვა.

თქმა იმისა, რომ მცირე თეატრის მსახიობები ოსტატობით დაბლა იდგნენ სამხატვრო თეატრის არტისტებზე, არ შეიძლება. პირიქით, მარიამ ერმოლოვას, ოლგა სადოვსკაიას, ნ. ლენსკის, ა. სუმბუთაშვილ-იუჟინის მასშტაბის მსახიობები სამხატვრო თეატრს არ ჰყავდა. თვით სამხატვრო თეატრის მებაირახტრე დიდი რეჟისორი კონსტანტინე სტანისლავსკი აღტაცებული იყო ამ მსახიობებით, მაგრამ თუ სამხატვრო თეატრმა წინ გაუსწრო მცირე თეატრს, ეს ბუნების კანონია, ახალი ყოველთვის ამარცხებს ძველს.

სამხატვრო თეატრში რეჟისორმა თავისი ადგილი მოიპოვა. ჩვენშიაც დაისვა საკითხი რეჟისორისათვის სათანადო ადგილის მინიჭების შესახებ. ასეთი ცდები არ იყო ახალი. გავიხსენოთ ამავე წიგნის მესამე და მეოთხე თავებში აღნიშნული ვ. შალიკაშვილის დადგმები. თანდათანობით ეს ხმა უფრო ძლიერდება და ამ საკითხს არა ერთხელ გამოეხმაურა პრესაც.

1913 წლის მიწურულში შალვა დადიანი აქვეყნებს წერილს სცენის მოღვაწეთა ყრილობის მოწვევის შესახებ. შალვა დადიანის ინიციატივას მხურვალედ გამოეხმაურნენ თეატრის მოღვაწენი და 1914 წლის 8 ივნისს თბილისში გაიხსნა სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა. მთელი საქართველო გამოეხმაურა ამ ყრილობას. მას 223 წევრი დაესწრო.

ყრილობის მსჯელობის საგნად გახდა თეატრის რეპერტუარი, რეჟისორის როლი სპექტაკლში, დრამატული კურსების მოწყობა, ენის სიწმინდის დაცვა და სხვა მრავალი საჭირბოროტო საკითხი.

ყრილობის დირექტივების საფუძველზე თბილისის დრამატული საზოგადოება შეუდგა 1914-15 წლის სეზონისათვის მზადებას. დასში მოიწვიეს ახალი მიმართულების მიმდევარი ახალგაზრდა რეჟისორები — მიხეილ ქორელი და ალექსანდრე წეწუნავა. ახალგაზრდობისაგან შემდგარ დასშია გიორგი იშხნელიც.

თეატრის ახალ ხელმძღვანელობას განზრახვა აქვს უარყოს ძველი ტრადიცია — სეზონის გახსნა დავით ერისთავის „სამშობლოთი“, და აპირებს იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლის“ დადგმას.

ქუთაისის დრამატულმა დასმა კი სეზონის ხელმძღვანელობა დაავალა თეატრის ისეთ გამოცდილ ორგანიზატორს, როგორიც იყო ვალერიან გუნია. რეჟისორებად ვალერიან გუნიამ მიიწვია ლადო მესხიშვილი და ვალერიან შალიკაშვილი. ამ სამი ადამიანის სახელი საკმარისი იყო, რომ ქუთაისის დასისათვის უპირატესობა მიეცა ყველას. და აი ამ დროს ხდება გიორგი ჯარადელი-იშხნელის გადაბირება.

ინტერეს მოკლებული არ იქნება მოკლედ გავიხსენოთ, თუ წინათ როგორ ხდებოდა მსახიობების გადაბირება ერთი თეატრიდან მეორეში. ვისაც კი გადაუთვალიერებია ძველი რუსული ჟურნალ-გაზეთები, უეჭველია ხშირად წააწყდებოდა ასეთ ცნობას — ამა და ამ პრემიერმა ანტრეპრენიორთან დადებული ხელშეკრულება დაარღვია, პირგაუტეხლობის ჯარიმა გადაიხადა და სხვა ქალაქში დაიწყო მუშაობა. მაგალითად, ანტრეპრენიორი ვ. ნიკულინი რაზსოხინას კანტორის მეშვეობით შეუთანხმდებოდა პრემიერ ორლოვ-ჩუჟბინინს, რომ უკანასკნელს ერთი სეზონი ემუშავა სარატოვში და თვეში 1000 მანეთს მიიღებდა. ნიკოლოზ სოლოვცევს კი სურს ორ-

ლოვ-ჩუბინინი სარკოვის დასში წაიყვანოს. გამართავდა მოლაპარაკებას პრემიერთან, ხელფასს მოუმატებდა, ჯარიმას გადაიხდიდა და მსახიობს გადაიბირებდა. პრემიერებზე ასეთი აყიოტაჟი და გადაბირება ხშირი იყო, მხოლოდ პატარა აქტიორების „დატაცება“ არ ხდებოდა, პირიქით ისინი ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგნენ, უანგაჟემენტოდ არ დარჩენილიყვნენ და თეატრიდან არ დაეთხოვათ. ქართულ თეატრშიც ხდებოდა მსახიობთა გადაბირება, მაგრამ უფრო პატარა მასშტაბით.

1914 წლის სეზონში ერთი ასეთი გადაბირება მოხდა. გიორგი არადელი-იშხნელი ქუთაისში მიიწვიეს და თბილისის დრამატულ საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულება გააუქმებინეს. ამ ამბავმა თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ამიტომ გვინდა მას შევეხოთ. ამ ფაქტს ცოტა შორიდან უნდა შემოვუაროთ, რომ გავარკვიოთ კაცურიკაცის, უანგარო ადამიანის მიერ პირისგატეხა რამ გამოიწვია. გიორგის სიტყვა თამასუქზე ძლიერი იყო და ეს გულმართალი რაინდი მიცემულ სიტყვას ღალატობს და ხელშეკრულებას აუქმებს! მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში გიორგიმ სმას მიჰყო ხელი. ვინც კი იცნობდა გიორგის, ყველას უკვირდა: რა მოხდა? რამ გამოიწვია ეს? უკვირდათ იმიტომ, რომ არც მახლობლებს და არც ნაცნობებს გიორგი მთვრალი არასოდეს არ ენახათ. მისი სიყრმის მეგობარი სტუდენტობის დროის ამხანაგი შალვა მესხიშვილი მესამე თავში ციტირებულ წერილში გვწერდა „რომ გიორგი ლოთობას, ქალაღდის და ბილიარდის თამაშს არ მისდევდა“. ამასვე გვიდასტურებენ გიორგის გიმნაზიისა და უნივერსიტეტის ამხანაგები. მაშ რა მოხდა, რატომ დაიავადმყოფა თავი იმ სენით, რომელსაც იმ შავუკულმართ დროს ბევრი ნიჭიერი ადამიანი უმსხვერპლია? ამაზე ჩვენ გაკვრით წინა თავებში გვქონდა ლაპარაკი, ამ საკითხს შემდეგაც შევეხებით.

სამშობლოს სიყვარულმა გ. არადელ-იშხნელს დაათმობინა რუსული სცენა, სადაც მას მეტი გასაქანი ექნებოდა. როგორ შიიღო მშობლიურმა თეატრმა ეს დიდად ნიჭიერი მსახიობი, ამაზე ბევრი ითქვა. გ. არადელ-იშხნელს არ ეყო ენერგია შებრძოლებოდა ყველა დაბრკოლებას, გადაელახა ის და ხელოვნების მბრძანებელი მწვერვალები დაეპყრო, როგორც რჩეულთა შორის რჩეულს. ამისი უფლება კი მას ჰქონდა! ეს უანგარო, კულტურული, ფართო ბუნების ადამიანი მაშინდელი ცხოვრების წვრილმანებისაგან დამარცხებული, ალკოჰოლში ხედავდა შვებას. ყველა ხომ ერთნაირად ვერ იტანს სუსხიან ზამთარს, ყველას ხომ არ შესწევს უნარი გაუმკლავდეს თავზე დატეხილ უბედურებას. ყველას ხომ არ ძალუძს ეკლიანი გზის გაკაფვა. ერთ უხეშად დაწერილ რეცენზიას შეეძლო ძირფესვიანად შეერყია მგრძნობიარე მსახიობი, ერთ უბრალო მარცხს შეეძლო წონასწორობა დაეკარგვინებინა და ასეც მოხდა. რეცენზენტების გესლიანმა ხითხითმა მოშალა მსახიობი, აქვე გამოუჩნდნენ თანამესუფრეები და სუსტი ნებისყოფის ადამიანი ღვინის სმას შეაჩვიეს.

გ. არადელი-იშხნელის ქუთაისის დასში გადაბირება ასე მოხდა: როგორც რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნიკო გვარაძე წერს თავის „თეატრალურ მემუარებში", გ. იშხნელს ქუთაისის დასში ეპატიჟებოდნენ, მაგრამ, გ. იშხნელი უარზე იყო,— აცხადებდა — პირობაზე ხელი მოვაწერე და სიტყვა როგორ გავტეხოო. როგორც ნიკო გვარაძე გადმოგვცემს — გ. იშხნელი საადილად წაიყვანეს და კარგად „გადაჰკრეს". „მთვრალმა გ. იშხნელმა დრამატული საზოგადოების „კონტრაქტი" ღვინოში ამოავლო, კონვერტში ჩადო და გამგეობას გაუგზავნა, თან მიწერა, ამაღამ ქუთაისში მივდივარ და ჩემი იმედი ნულარ გექნებათო. (ნ. გვარაძე, „თეატრალური მემუარები", გვ. 223).

გ. არადელი-იშხნელის ამ „ღალატმა" მაშინ დიდი მითქმა-შოთქმა გამოიწვია. ბუნებით კეთილი ადამიანი იყო გ. იშხნე-

ლი. მან სამაგიეროს გადახდა არ იცოდა, თუმცა თბილისის დრამატული საზოგადოება ღირსი იყო ამისა. ამ დრამატულმა საზოგადოებამ დაარღვია პირობა და პირველ სეზონში ბენეფისი არ მისცა და 1909 წლის 13 თებერვალს გამოაქვეყნა გაზეთში ცნობა გ. არადელი-იშხნელის დასიდან დათხოვნის შესახებ. და ახლა როცა ამ მსახიობის დასში ყოფნა მეტად სასურვლად მიაჩნდათ, მთელი განგაში ატეხეს.

ქუთაისის საზოგადოებრივობამ გულღიად მიიღო თავისი ძველი ნაცნობი — გიორგი არადელი-იშხნელი. მან საზოგადოების იმედი გაამართლა და პირველ წარმოდგენიდანვე ხალხის საყვარელი მსახიობი გახდა. ამ დროს ქუთაისის სცენაზე ბრწყინავდა ლადო მესხიშვილი და მისი ღირსეული პარტნიორები იყვნენ ვალერიან გუნია, ვალიკო შალიკაშვილი და გიორგი არადელი-იშხნელი.

თუ დებიუტისას „სამშობლოში“ ლევან ხიმშიაშვილის როლით წარსდგა მსახიობი და მარცხი განიცადა, ქუთაისში 1914 წლის 9 ნოემბერს გაუტოლდა წარმტაც ლევან ხიმშიაშვილს — ლადო მესხიშვილს, და დიდის განწყობილებით შეასრულა სიმონ ლეონიძის როლი. ამ წარმოდგენის დამსწრეთ და მონაწილეთ ახლაც კი ახსოვთ ერუანტელის მომგვრელი ხმა:

— „მაშ წადი და მაგათი ჯავრი ამომყარე, რადგან ბედნიერება წამართვი — თავისუფლება მომანიჭე, ცოლი რომ მომტაცე — სამშობლო დამიბრუნე“.

ეს სცენა ლადო მესხიშვილის და ახალგაზრდა გიორგის შესრულებით იყო სიმფონია, სილამაზის ჰიმნი, გმირობის მღაღადებელი, ქართველი ხალხის ნიჭიერების გამომხატველიო, გადმოგვცემენ ამ სპექტაკლის დამსწრენი.

ხელოვნების მბრძანებელ მწვერვალებზე ასული მსახიობი ხშირად სწრაფად ეშვებოდა ძირს და როლის, უსულგულოდ შესრულებით მაყურებელს ცივ წყალს გადაასხამდა ხოლმე. ამ შემთხვევაში მსახიობი ემსგავსებოდა იმ ტიპის აქტიო-

რებს, რომელთაც, თუ განწყობილება არ ჰქონდათ, თუ აღმაფრენა არ ეწვეოდათ, ძალიან უფერულნი იყვნენ. აღმაფრენისას კი გავიწყებდნენ წარსულ მარცხს... ასეთი ზიგზაგები ხშირი იყო მის ცხოვრებაში.

ქუთაისის ქუჩებში გამოკრული აფიშები ამცნობენ საზოგადოებას, რომ წარმოდგენილი იქნება ლეონიდ ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა". ყველამ იცის რომ ონუფრის გიორგი არადელი-იშხნელი განასახიერებს. ბევრს ახსოვს 1912 წლის სეზონში მომხიბლავი ონუფრი· სალაროს ზღვა ხალხი მიაწყდა. თეატრში უკვე მაყურებლებს უშვებენ, მაგრამ ონუფრის როლის შემსრულებელი არ ჩანს. რომ არ გამოცხადდეს კიდეც, სპექტაკლი არ გადაიდება, რადგან იგივე ონუფრი უთამაშნია ვალერიან გუნიას და ადვილად შეცვლის გიორგი არადელ-იშხნელს. შუადღისას ამბავი მოუტანეს დირექციას, რომ გიორგი სადილად დაპატიჟესო. მსახიობი ნიკო გვარაძე გაგზავნეს მის მოსაყვანად. რვა საათზე შეზარხოშებული გიორგი უკვე კულისებშია და გრიმს იკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ ის საერთოდ ალკოჰოლს ეტანებოდა, ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ სპექტაკლზე ნასვამი გამოცხადდა. კულისებში ადმინისტრატორთან შელაპარაკება მოუჯდა, რასაც მოჰყვა ამ უკანასკნელის ფიზიკური შეურაცხყოფა. იმ ღამეს გიორგი იშხნელი აღარ ათამაშეს და მეორე დღეს ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობამ იგი დასიდან დაითხოვა.

რამდენიმე დღის შემდეგ რეპეტიციაზე გამოუცხადებლობისათვის ახალგაზრდა მსახიობი მიხეილ გელოვანიც დაითხოვეს თეატრიდან.

მთელი დასი ვლადიმერ შესხიშვილის მეთაურობით მოითხოვს მსახიობების უკან დაბრუნებას, მაგრამ დრამატული საზოგადოების გამგეობა უარზეა.

20 ნოემბერს ქუთაისის დასის მორიგი წარმოდგენაა· დგამენ ლადო მესხიშვილის მონაწილეობით უ. შექსპირის „ჰამ-

ლეტს“. საყვარელ მსახიობის სახელმა ჩვეულებრივად დიდ-ძალი საზოგადოება მიიზიდა თეატრში.

გაზეთი „ახალი ივერია“ თავის 1914 წლის 23 ნოემბრის ნომერში წერდა: „წარსულ წარმოდგენის დროს, როდესაც ქუთაისის დასი „ჰამლეტს“ თამაშობდა და თეატრი სავსე იყო საზოგადოებით, მრავალმა მაყურებელმა ლოჟაში გამომჯდარ მსახიობ გ. იშხნელს ოვაცია გაუმართა. როგორც თვით მსახიობისათვის, ისე ბევრ დამსწრეთათვის ისე ოვაცია მოულოდნელი იყო. გამოირკვა, რომ ამ ოვაციით საზოგადოებამ სალამი უძღვნა მსახიობს, რომელიც ერთი ხანია სცენაზე აღარ ჩანს და როგორც დაბეჯითებით ამბობენ, აღარც იმსახურებს ქუთაისის დასში ამ სეზონში. მსახიობმა თავი შეიკავა და საზოგადოებას არ ეჩვენა“.

ეს ამონაწერი მოწმობს საზოგადოების დიდ სიყვარულს მსახიობისადმი და ამასთან ააშკარავებს, რომ გიორგი გაურბოდა ოვაციებს და თავისი უბრალოებით დიდ მსახიობ ვასო აბაშიძეს ემსგავსებოდა.

თბილისის დასის „მოლალატე“ და ქუთაისს გადაბირებული მსახიობი უთეატროდ დარჩა. ქართველი გენადი ნესჩასტლივცევი (ა. ოსტროვსკის „ტყის“ პერსონაჟი) თეატრიდან განდევნეს — განა ასევე არ ემართებოდა ა. ოსტროვსკის გენადის? აბა გავიხსენოთ გენადი ნესჩასტლივცევის და არკაშკა სჩასტლივცევის საუბარი — აი რას ეუბნება იგი უკანასკნელს:

„ხასიათით ძმაო, შენ ხომ მიცნობ, ლომი ვარ, სისაძაგლეს ვერ ვიტან. აი ჩემი უბედურება. ყველა ანტრეპრენიორს წავეჩხუბე. უპატივცემულობა, ინტრიგები, ხელოვნებას არ აფასებენ, კაპეიკებს მისტირიან“. ასეთივე იყო გიორგი არადელი-იშხნელიც და, უეჭველია, ამიტომ უყვარდა ეს როლი და ყველგან და ყოველთვის სიამოვნებით ასახიერებდა.

ქუთაისის გაზეთი „ახალი ივერია“ თავის 1914 წლის 30 ნოემბრის ქრონიკაში წერდა:

„სამშაბათს, 2 დეკემბერს ქუთაისის ქალაქის თეატრში ცნობილი მსახიობი გ. არადელი-იშხნელი მართავს რუსულ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ა. ოსტროვსკის ცნობილი ხუთმოქმედებიანი პიესა „ტყე". მონაწილეობას მიიღებენ: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, არადელი-იშხნელი, ა. მგალობლიშვილი (ტობანელი), მ. გელოვანი, დ. ჩარკვიანი, ნ. ციციშვილი და რუსული სცენისმოყვარენი".

იგივე გაზეთი წარმოდგენის დღეს შემდეგსა წერდა:

„დღეს მსახიობი გ. იშხნელი ქალაქის თეატრში წარმოდგენას მართავს. ვინაიდან გ. იშხნელი ქუთაისის დასში აღარ იქნება, დღევანდელი თამაში მსახიობისა უკანასკნელად უნდა ჩაითვალოს. წარმოადგენენ რუსულად ა. ოსტროვსკის ცნობილ პიესას „ტყეს". იმედია ქუთაისის საზოგადოება მრავლად დაესწრება ამ წარმოდგენას და მით დაუმტკიცებს თავის სიმპათიებს მსახიობს, რომელიც თავისი ნიჭიერი თამაშით მუდამ იპყრობდა ყველას ყურადღებას. როგორც ჩვენ გადმოგვცეს, მსახიობი გ. იშხნელი ამ წარმოდგენის შემდეგ ქუთაისიდან მიდის".

4 დეკემბრის ახალი ამბების განყოფილებაში „ახალი ივერია" წერდა:

„2 დეკემბერს, ქალაქის თეატრში გ. არადელ-იშხნელმა გამართა წარმოდგენა. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. მოწაფე-ახალგაზრდობამ მას მიართვა ვერცხლის საწერელი და კალმისტარი. აგრეთვე მას მიართვეს ვერცხლის სათუთუნე და ევროპის ომის ესპარეზის დიდი რუკა. წარმოდგენის გათავების შემდეგ გ. იშხნელს დიდი ოვაციები გაუმართეს. მოწაფეებმა იგი გარეთ, თეატრის წინ, გრიმითა და ტანისამოსით გამოიყვანეს, რომელიც ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვეს".

საზოგადოების ერთსულოვანი პროტესტები და მოთხოვნა გ. არადელ-იშხნელის დასში ხელახლა დაბრუნების შესახებ,

ამხანაგების კატეგორიული სურვილი გიორგი დარჩენილიყო მათთან, იძულებულს ხდის დრამატულ საზოგადოების გამგეობას შესცვალოს თავისი გადაწყვეტილება. გიორგიც თანხმდება და სისტემატურად მონაწილეობს სპექტაკლებში. მაგრამ მისი თამაში ყოველთვის არ აკმაყოფილებს გემოვნებაგანვითარებულ მაყურებელს. გაზეთ „იმერეთის“ რეცენზენტი 1915 წლის 25 იანვრის ნომერში იხილავდა რა ერნასტის პიესა „პედაგოგებს“, გიორგი არადელ-იშხნელზე წერდა: „ეს მსახიობი ემსგავსება იმ ნაკვერცხალს, რომელიც ფერფლშია გახვეული, გაიელვებს ზოგჯერ და ისევ მიინაბება ხოლმეო“. როდესაც ამ რეცენზიას კითხულობთ, გაგახსენდებათ რუსეთის ბუმბერაზი მსახიობი პავლე მოჩალოვი. მოჩალოვი როცა გუნებაზე იყო, ელვარებდა ისე ძლიერ, რომ ხიბლავდა და იმონებდა ყველას. ტიტან პ. მოჩალოვს ჩვენ არ ვადარებთ გ. იშხნელს, მაგრამ ანალოგიას კი ვხედავთ. ამავე სეზონში, სახელდობრ 1914 წლის ნოემბერს გ. არადელი-იშხნელმა სოფოკლეს „ანტიგონეში“ კრეონის როლის განსახიერებით მოაჯადოვა მთელი ქუთაისი, ხოლო უ. შექსპირის „ვენეციელ ვაჭარში“ მაროკის პრინცის როლის შესრულებისას სრულიად უფერული იყო.

ასეთი ზიგზაგებით მიდიოდა მსახიობი. ხან მწვერვალზე მოექცეოდა ხოლმე და თავისი ნიჭით მაყურებელს იმონებდა, ხან ნაპრალის პირას ვხედავდით, მწუხარებას იწვევდა და გაფიქრებინებდა:

— ნუთუ გაქრნენ ადამიანები, რომლებიც მოუვლიან ამ შესანიშნავ მსახიობს და შეუქმნიან ყველა პირობას, რომ არწივივით ფრთა ფრთას შემოკრას და თავისუფლად გაინავარდოს. მწვერვალებიდან არასოდეს ძირს არ დაეშვას და ყოველთვის სცენიდან მის მიერ წარმოთქმული სიტყვა იყოს ძლიერი და მომჯადოებელი.

წინა თავში აღვნიშნეთ თუ რა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს საზოგადოებაში მცირე თეატრის გამოჩენი-

ლი მსახიობი და დრამატურგი ალექსანდრე სუმბათაშვილი. როცა კი სუმბათაშვილი მოსკოვიდან საგასტროლოდ გაემგზავრებოდა ხოლმე სადმე, თავის მშობლიურ ქალაქსაც არ ივიწყებდა და ეწვეოდა მას. ქართველი საზოგადოებაც აღტაცებით ხვდებოდა საყვარელ ადამიანს. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი. ახალგაზრდა მსახიობთა ამხანაგობა ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატს“ ამზადებს. „დილის რეპეტიცია გვაქვს არტისტულ თეატრში. შემოსავლის იმედი არა გვქონდა, რადგან უკვე გაზაფხული იყო და თბილისში სიცხეები დაიწყო. სცენაზე შემოვარდა აღელვებული კოტე მესხი. ლადო მესხიშვილმა, რომელიც ამ წარმოდგენას რეჟისორობდა, საყვედურით მიმართა, რატომ დაიგვიანე რეპეტიციაზეო? კოტემ უპასუხა: ალ. სუმბათაშვილი ჩამოვიდა და იმასთან ვიყავი სასტუმროში. ჩვენ რომ სუმბათაშვილის ჩამოსვლის ამბავი გავიგეთ, ყველას ძალიან გაგვეხარდა და შევეკითხეთ კოტეს — ამაღამ თეატრში თუ მოვაო. კოტემ დასტური მოგვცა. ჩვენც მეტი არაფერი გვინდოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თეატრი ხალხით იქნებოდა სავსე. ჯერ კოტეს დაერხია ხმა, იუჟინი დაესწრება წარმოდგენასო. ახლა ჩვენ გამოვედით რეპეტიციის შემდეგ და გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტს მოვდეთ ეს ამბავი.

დიდძალი საზოგადოება მოაწყდა არტისტულ თეატრს. ყველა გაფაციცებით ელოდა იუჟინის მოსვლას, მის ნახვას. მაგრამ იუჟინს მოსკოვიდან დაძვრაც არ უფიქრია! ასე რომ კოტე მესხის მოხერხებით დიდი შემოსავალი მივიღეთ. (ნიკო გვარაძე, „თეატრალური მემუარები“, გვ. 36—37, სახელგამი, 1946).

ეს ამონაწერი ნათლად გვიდასტურებს თუ რა დიდი პოპულარობით სარგებლობდა და როგორ უყვარდა ხალხს თავისი თანამემამულე ალ. სუმბათაშვილი. 1916 წელს მაისში ალ. სუმბათაშვილი გასტროლებზე მოიწვია თბილისში ანტრეპრენიორმა ა. პოლონსკიმ. თბილისში დარჩენილი ქართული

დასის წევრები და კერძოდ ალექსანდრე სუმბათაშვილის პირადი მეგობარი და სკოლის ამხანაგი ვასო აბაშიძე გადაწყვეტენ ღირსეული სტუმრის პატივსაცემად მისივე „ღალატი“ დადგან.

ზეინაბის როლისათვის იმ დროს თელავში მყოფი ნუცა ჩხეიძე გამოიწვიეს. ლადო მესხიშვილიც ის იყო რუსეთიდან ჩამოვიდა საგასტროლოდ. დასი შეიკრიბა და როლები გაანაწილეს. არავის არ ეპარება ეჭვი, რომ ძვირფას სტუმარს თვალსაჩინო ხელოვანებს უჩვენებენ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. სოლეიმან ხანის (ლადო მესხიშვილი), ზეინაბის (ნუცა ჩხეიძე) ოთარ-ბეგის (ვალერიან გუნია), ბესოს (ვასო აბაშიძე), დათოს (ალ. იმედაშვილი) როლების შემსრულებლებს დიდი ხანია სახელი მოხვეჭილი ჰქონდათ, როგორც ამ სახეების საუკეთესო შემქმნელებს და მათ მეტოქეობას ვერავინ გაუწევდა. მაგრამ რა უყონ ანანია გლახას? კოტე ყიფიანი დიდი ხანია სცენას ჩამოშორდა, ვიქტორ გამყრელიძე თბილისში არ იმყოფება, გიორგი იშხნელს ოთარბეგი განუსახიერებია და მარცხი განუცდია, მაგრმ გამოსავალი არ არის ისევ მას უნდა დააკისრონ ანანიას როლის შესრულება.

1916 წლის 30 მაისს სახაზინო თეატრს ზღვა ხალხი მოაწყდა. დიდის აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოება ალექსანდრე სუმბათაშვილს. სპექტაკლის დაწყებამდე საპატიო სტუმარმა იშვიათი ოსტატობით, განსაცვიფრებელი მეტყველებით წაიკითხა „ღალატის“ ცნობილი წინასიტყვაობა. დარბაზი სიბნელემ მოიცვა, განათდა რამპა და აიხადა ფარდა. სოლეიმან ხანის პირველმავე ფრაზამ, ლადო მესხიშვილის მიერ მკაფიოდ წარმოთქმულმა, დარბაზი დაიპყრო. სოლეიმან ხანის, ოთარბეგის, ზეინაბის დიალოგები მუსიკალურ ტრიოს მოგაგონებდათ, მათი ყოველივე სიტყვა სიამის ჟრუანტელს გვრიდა მსმენელთ. შთაბეჭდილებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, როცა ზეინაბის მიერ თარის აკომპანიმენტის ხმაზე გაისმა რუქაიას სიტყვები:

— და დაინახა ლამაზმა მეფე ქარმა. — მართლაც რომ წარმტაცი, ლამაზი იყო ეს აქტი. ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა. მაყურებელი წინასწარვე სიამეს გრძნობდა, რომ მალე იხილავდა მხიარულ, გონებამახვილ ბესოს ვასო აბაშიძეს, ტემპერამენტიან დათოს — ალექსანდრე იმედაშვილს, მოხდენილ ერეკლეს — იუზა ზარდალიშვილს. მაგრამ ანანია? სად არის ეხლა კოტე ყიფიანი, ან ვიქტორ გამყრელიძე? — ფიქრობენ ხანდაზმულნი. ხოლო ვისაც გიორგი არადელი-იშხნელის გიგო ტეტიაშვილი უნახავს, დაიმედებულია, რომ ამ საუცხოვო კონცერტს ის ღირსეულად დაამშვენებს.

ფარდა აიხადა, გამოჩნდა საყვარელი ვასო აბაშიძე (ბესო), ვალერიან გუნია (ოთარბეგი) და ხელოვნების ზეიმი კვლავ დაიწყო. სცენას სცენა მოსდევს და აი ანანია გლახა თავისი ორი მოხდენილი ვაჟკაცით. ანანიას უჭირს პირველი ფრაზების წარმოთქმა, მისი ხავერდოვანი ხმა თითქოს გაიბზარაო, ბგერები მკაფიოდ არ ისმის. მაგრამ მალე მღელვარება გაქრა, თანდათან მსახიობი თავს დაეუფლა და მთელი დარბაზის ყურადღება მიიპყრო. და როცა მსახიობმა წარმოთქვა, არა, კი არ წარმოთქვა — ღაღადით აღმოხდა გულიდან: „ნება მიბოძე გითხრა ყოველივე შენი ქვეყნისა, გითხრა რას ითმენს, რანაირ იტანჯება“, — აქ უკვე მთელი დარბაზი შეიძრა, ჟრუანტელმა დაუარა ყველას, ოცნებამ შეიპყრო ყველა. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია — ერთი ფრაზა ისე წარმოთქვან, რომ დროთა ვითარებამ არ დაგავიწყოს.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი შაქრო გომელაური, რომელიც იმ საღამოს ყარა-იუსუფის როლს ასახიერებდა, იგონებდა რა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1937 წლის ნომერში ამ სპექტაკლს, წერდა:

„ეს ფრაზა ისეთი ძლიერი ექსპრესიით იყო მსახიობის მიერ გულიდან ამოსული, რომ მთელი დარბაზი გაინაბა, ჟრუანტელმა დაუარა ყველას და კულისებში მყოფმა მსახიობებმაც ვიგრძენით დიდი ოსტატის შემოქმედების მწვერვალები“.

მსახიობის ასეთი წარმატება უეჭველია ყველაზე მეტად „ღალატის“ ავტორს ახარებდა. გიორგი არადელმა-იშხნელმა თუ ქართულ სცენაზე დაიწყო მუშაობა, სწორედ ალექსანდრე სუმბათაშვილის მეოხებით. გიორგიმ იმ საღამოს ანანიას ბრწყინვალე შესრულებით მადლობა გადაუხადა დიდ მსახიობს, საყვარელ თანამემამულეს ალექსანდრე სუმბათაშვილს. როგორ წარიმართება უნიჭიერეს მსახიობის, მაგრამ გზას აცდენილი ადამიანის ცხოვრება, ამას შევიტყობთ შემდეგი თავიდან.

თავი VII
ჩიხში

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. რეაქცია გაძლიერდა და თავისი საშინელი ბრჭყალები გაშალა. თავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლის მორევი დადგა.

თუ უშიშარნი იატაკქვეშ ჩავიდნენ და იქიდან ახალ-ახალი იერიშებისათვის ემზადებოდნენ, სუსტნი და ხერხემალრბილნი უიმედობამ მოიცვა. ლიტერატურაში და ხელოვნებაში ფეხი მოიკიდა მისტიციზმმა, პესიმისტურმა განწყობილებამ. საშოქმედო ასპარეზზე გამოვიდნენ, უშინაარსო „ლამაზი სიტყვის“ მოტრფიალენი — დეკადენტები, სიმბოლისტები და ათასგვარი მიმართულების მიმდევარნი. თეატრების დიდი უმრავლესობა ჯანსაღ რეალიზმს ასცდა და სიმბოლიზმის ბრჭყალებში მოექცა.

თეატრების კრიზისი დაიწყო.

თვით ისეთი დიდი მნიშვნელობის და ხელოვნების კანონმდებელი კერა, როგორიც არის სამხატვრო თეატრი, ვერ ასცდა კრიზისს. თუ პირველი რევოლუციის დროს სამხატვრო თეატრმა ფართოდ გაუღო კარი მაქსიმ გორკის დრამატურგიას („მდაბიონი“, „ფსკერზე“ „ზზის შვილები“, 1902—1905 წ.), რევოლუციის დამარცხებამ მის რეპერტუარზედაც იქონია გავლენა. აპოლიტიკურმა ლოზუნგმა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, სიმბოლიზმმა, ექსპრესიონიზმმა, მისტიციზმმა ნიადაგი ჰპოვა სამხატვრო თეატრში.

„ვეხმაურებოდით რა ყოველივე ახალს. ჩვენ ხარკი გადავუხადეთ იმ დროს ლიტერატურაში გამეფებულ სიმბოლიზმს

და იმპრესიონიზმს“— წერდა კ. სტანისლავსკი თავის შესანიშნავ წიგნში „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“ (გვ. 386, 1938 წ.).

1913 წელს სამხატვრო თეატრმა დადგა თ. დოსტოევსკის რომანის „ეშმაკების“ ინსცენირება „ნიკოლოზ სტავროგინის“ სახელწოდებით.

ამ რეაქციული სპექტაკლის დადგმამ მაქსიმ გორკის და რუსეთის პროგრესული ელემენტების დიდი პროტესტი გამოიწვია. სამხატვრო თეატრს აქტივში არ ჩაეთვლება ივანე სურგუჩევის სანტიმენტალური „გაზაფხულის ვიოლინები“ (1913 წ.) დ. მერეჟკოვის მისტიკური „იქნება სიხარულის“ დადგმა 1916 წელს.

სამხატვრო თეატრის ჩიხში მომწყვდევის შესახებ, მისი ერთერთი ფუძემდებელი ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ამ თეატრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1938 წელს ამბობდა:

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ ჩვენ ძლიერ დაბნეული ვიყავით... ჩვენი ხელოვნება იყინებოდა, ის აღარ იყო ისეთი მგზნებარე და მძაფრი, როგორც მაშინ, როცა პირველად ვიწყებდით მუშაობას ჩვენს თეატრში... ყველანი კარგად ვგრძნობთ, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუცია რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ხელოვნება გაქრებოდა და ჩაიხშობოდა“. თუ სამხატვრო თეატრი ასეთ კრიზისს განიცდიდა, ადვილი წარმოსადგენია რა მდგომარეობა იქნებოდა სხვა თეატრებში. ანტრეპრენიორები სალაროს დამპურებელ პიესებს დგამდნენ და არარად აგდებდნენ პიესების იდეურობასა და შინაარსს.

ქართულ საბჭოთა თეატრის ფუძემდებელი კოტე მარჯანიშვილი თავის „მემუარებში“, ეხება რა 1906-07 წლებში ხარკოვის ამხანაგობაში თავის მუშაობას, სხვათაშორის წერს: „ჩვენ თვითონ უნდა გვეზრუნა ჩვენი თავისათვის. მოვაწყეთ ამხანაგობა, რომლის სათავეშიაც მე მომიხდა ჩადგომა... მარ-

თალია, ძალიან დიდი მუშაობა გვიხდებოდა,— ხანდახან მხატვრულად ყოვლად მიუღებელი პიესის დადგმა, მაგალითად, „შერლოკ ხოლმისის“ მაგვარისა, მაგრამ რა გვექნა — საჭირო იყო დასის (60 კაცის) და აგრეთვე ტექნიკური პერსონალის გამოკვება“ (კ. მარჯანიშვილი, „მემუარები“, გვ. 16.).

განა იმავე შემოსავლის გულისათვის არ იდგმებოდა პროვინციების მაშინდელ თეატრებში პროტოპოპოვის „ჰეტერა ლაისა“? ამ პიესამ იხსნა ლიდია იავორსკაია თბილისში გაკოტრებისაგან. ლაისა თითქმის შიშვლდებოდა სცენაზე და ეს კი ვნებათა ღელვით აცუნცრუკებულ მოხუცთ იზიდავდა. მე მაგონდება მოსკოვის ერთი პატარა თეატრი. იგი მოთავსებული იყო ნიკიტის ბულვარზე. ამ თეატრმა სცენაზე გამოიყვანა შიშველი ქალი და სალარომ 40 ანშლაგი მისცა. თეატრის კრიზისი უფრო გაღრმავდა მსოფლიო პირველი იმპერიალისტური ომის (1914 წ.) დაწყებისას. აქ უკვე რეპერტუარის მხრივ ნამდვილი ქაოსი იყო. შოვინისტური, უიდეო, უშინაარსო პიესებით გაივსო თეატრალური ბაზარი. „ვოვა ომში მიდის“, „ვოვა შეეგუა“ და სხვა ამგვარი პიესებით მოფინეს მთელი რუსეთი „დრამის მკეთებლებმა“ და გაუმაძღარმა ანტრეპრენიორებმა.

ცხადია, ვერც ქართული თეატრი გადაურჩებოდა ამ კრიზისს. სიმბოლიზმს, მისტიციზმს და სხვა მრავალ „იზმს“ აქაც უხდიდნენ სათანადო ხარკს, აქაც დანაგვიანდა რეპერტუარი, აქაც ცდილობდნენ სალაროს დამპურებელ პიესების დადგმას:

„სახალხო გაზეთის“ 1911 წლის 19 მარტის ნომერში ერთი ასეთი განცხადებაა დაბეჭდილი. კვირას, 20 მარტს წარმოდგენილი იქნება ჩ. ლაზარიშვილის! „მტარვალიო“ და აქვე ჩამოთვლილია პიესის სცენები 1. დაფარული ბოროტება, 2. განთავისუფლება და საომრად წასვლა, 3. ასპინძის ომი, 4. სიკვდილი მტარვალს, 5. სახრჩობელა, 6. ბრძოლის ველზე დახოცილნი.

რა მიზანი აქვს ასეთ განცხადებას? მხოლოდ ერთი: როგორმე მიიზიდოს იაფფასიანი ეფექტების მოყვარული ხალხი. ჩვენ პირადად წაგვიკითხავს ავლაბრელი სცენისმოყვარის მელიმონე არტოს (ფსევდონიმად აღებული ჰქონდა მსახიობ სვიმონ სვიმონიძის გვარი, რაზედაც სვიმონიძეს არა ერთხელ განუცხადებია პროტესტი) მონაწილეობით გამოცხადებული წარმოდგენის აფიშა, სადაც ეწერა —„მეექვსე მოქმედებაში ხიდი ჩატყდება და ხალხი წყალში დაიხრჩვებაო“.

ასეთ რეკლამას ზოგიერთი პროფესიული მსახიობიც მიმართავდა თეატრში ხალხის მიზიდვის მიზნით. ახლაც მახსოვს — ავლაბარში, პეტრეპავლეს სასაფლაოს მახლობლად სტუდენტ სცენისმოყვარეებს ა. ალექსიძეს, დ. გედევანიშვილს, ი. მაჩაბელს და სხვებს უნდა დაედგათ ტრიფონ რამიშვილის „მეზობლები“.

სპექტაკლის დაწყების წინ სალაროსთან ასეთ „გასაუბრებას“ მოვკარი ყური:

— „დეიდა! ეუბნება ახალგაზრდა ყმაწვილი მოლარეს, პიესაში სროლა არის?“

დადებითი პასუხის შემდეგ განუცხადა.

— მაშ მომეცი სამი ბილეთი.

რეაქციის გაძლიერებით და იმპერიალისტური ომით გამოწვეულ თეატრების საერთო კრიზისის დროს ქართულ თეატრს ახალი უბედურება დაატყდა. დიდის წვალებით 1908 წლის 14 დეკემბერს (გიორგი არადელი-იშხნელის დებიუტისას) რეკონსტრუირებულ და აღდგენილ ქართულ თეატრს 1914 წლის 25 სექტემბერს, ნაშუადღევის 5 საათზე ცეცხლი გაუჩნდა. ელვის სისწრაფით მოედო ეს საშინელი ამბავი მთელ თბილისს. მეხანძრეთა ცდამ უშედეგოდ ჩაიარა და თეატრი თავისი გარდერობით, ბიბლიოთეკით და ავეჯით მთლიანად დაიწვა.

თეატრის დაწვა დიდი უბედურება იყო. გაზეთების ყოველი ნომერი სავსეა თანაგრძნობის დეპეშებით. ყურადღებას



დამწვარი თეატრი

იპყრობს მოსკოვიდან ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის, ქუთაისიდან ვალერიან გუნიას, ბაქოდან შალვა დადიანის და ელო ანდრონიკაშვილის დეპეშები. მთელი თვის განმავლობაში იბეჭდებოდა თანაგრძნობის წერილები და გაზეთების რედაქციებს მოსდიოდათ შემოწირულებანი.

თეატრის დაწვამ ყველა დააღონა, განსაკუთრებით ხელოვნების მოღვაწენი. მოვიყვანოთ ჩვენი სცენის დიდი მსახიობის მარიამ საფაროვი-აბაშიძის წერილი.

„ბ. რედაქტორო! ამასთანავე გაახლებთ ჩემს წვლილს სამ მანეთს ქართული ეროვნული თეატრის ასაგებ ფონდისათვის. როდესაც პირველი ქართული თეატრი შენდებოდა, ბედმა მარგუნა პირველი აგურის დადება საძირკველში. დეე, განგება ისე ნუ მომკლავს, რომ არ მოვესწრო ახალს, უფრო მტკიცესა და საუკეთესო ეროვნული ხელოვნების ტაძარს“. („სახალხო გაზეთი“, 1914 წ. 30 სექტემბერი, № 110).

ნათქვამია „თავად არ იყო ძმარიო, ზედ დაუმატეს წყალიო“. ჯერ საკუთარ თეატრში რა მძიმე პირობებში უხდებოდა ქართულ დასს მუშაობა და ახლა უბინაოდ დარჩენილნი აქ-იქ თავშესაფარს ეძებენ. ხან სახაზინო თეატრს მიადგებოდნენ, ხან ისაი ფითოევს თხოვდნენ კვირაში ერთი დღის დათმობას, ხან ავლაბრის თეატრს ეწვეოდნენ, ხან სახალხო სახლს. თუ პირველ ხანებში ქართულ დასს ყველა თანაგრძნობით შეხვდა, ბოლოს გული გაცივდა და მასპინძლებმა სტუმრები აითვალწუნეს. დაიწყო ქართველი აქტიორის ხეტიალი ერთი თეატრიდან მეორეში, ვაივაგლახით წარმოდგენების მართვა.

გ. არადელი-იშხნელი ისეთი გამოჩენილი მსახიობია, რომ მას დიდი სიყვარულით იწვევენ ქუთაისსა და ბათუმში, ხოლო თბილისელი ამხანაგები თხოვენ მათთან დარჩენას, მაგრამ განა ეს საქმეს შველის? ყველა ეს მოწვევა მეტად ხანმოკლეა, რადგან დასის წარმოდგენები მხოლოდ ორ-სამ თვეს გასტანს.

პრაქტიკული უნარის მქონე მსახიობებმა გამოსავალი ნახეს. ერთმა ჯგუფმა ოპერეტების დადგმას მოკიდა ხელი და უ. ჰაჯიბეგოვის „არშინ მალ—ალანის“ დადგმით კარგა საგრძნობი თანხა იშოვა. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი არადელი-იშხნელი ვოკალური მონაცემით, ხმით და სმენით ყველას სჯობდა, ის მაინც ოპერეტებში არ გამოდიოდა. არა იმიტომ, რომ ეს მას დაბალი ღირსების ჟანრად მიაჩნდა, არამედ კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ოპერეტას სულ სხვა ტიპის უნივერსალური მსახიობი სჭიროდა. გიორგი არადელი-იშხნელი ყურადღებას არ აქცევდა იმას, დიდი როლი შეხვდებოდა, თუ პატარა; ოღონდ წარმოსასახავი სახე რეალური ყოფილიყო და მხატვრულად გამართლებული. შესაძლებელია ხუსტ მსახიობებთან ეთამაშა, ან თვითონაც არ ჰქონოდა კარგად დამუშავებული როლი, მაგრამ არასოდეს მეღვინეთ-უხუცესის ვოდევილ „კატა აწონაში“ არ გამოვიდოდა და ნიკო გალუსტოვის „არკადიას სადილში“ მონაწილეობას არ მიიღებდა. ამ მხრივ გიორგი არადელი-იშხნელი ემსგავსებოდა ლადო მესხიშვილს, რომელსაც როგორი კრიზისიც არ უნდა ჰქონოდა, არასოდეს ფულის გულისათვის მხატვრულად მდარე ღირსების პიესაში არ მიიღებდა მონაწილეობას.

სეზონის დამთავრების შემდეგ გიორგი თავის საყვარელ სოფელს მიაშურებს ხოლმე, ოჯახის საქმიანობაში იღებს მონაწილეობას — თიბავს, მკის, ლეწავს, და დროდადრო ჩადის გორში და ქალაქის საკრებულოს საზაფხულო დარბაზში მართავს წარმოდგენებს.

სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად ხშირად იწვევს ლადო მესხიშვილს, ელისაბედ ჩერქეზიშვილს და სხვებს.

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ნიკო გოცირიძეს მდიდარი თეატრალური ბიბლიოთეკა ჰქონდა. არ იყო ისეთი პიესა ქართულ ენაზე დაბეჭდილი თუ ხელნაწერი, რომ ნიკოს ბიბლიოთეკაში არ ყოფილიყო. ლადო მესხიშვილი და გიორგი არადელი-იშხნე-

ლი ამ მხრივ დაუდევრები იყვნენ და თავიანთი მუდმივი რეპერტუარის პიესებიც კი არ ჰქონდათ. ნიკო გოცირიძის ბიბლიოთეკა ყველასათვის ღია იყო. ნიკო არასოდეს უარს არ ეუბნებოდა მსახიობებს და სცენისმოყვარეებს, ესარგებლათ მისი ხელშეწყობით. ამ მხრივ მეტად საყურადღებო დეპეშები და წერილები არის გამოქვეყნებული ნიკო გოცირიძის „მოგონებაში". მოგვყავს ორი მათგანი:

Тбилиси!

Грузинский театр Имедашвили. Возьми у Гоциридзе „Разбойники" и вышли первым поездом

Месхиев.

ახლა მოვიყვანოთ იმავე პიესის შესახებ ნიკო გოცირიძისადმი მიწერილი წერილი.

Дорогой Нико!

Я хотел бы лично зайти и попросить тебя, но не успел и потому присылаю тебе только письмо, ради бога будь другом и не откажи мне сыграть в Гори, в предстоящее воскресенье какую нибудь роль по своему выбору или пастора, или Шпигельберга в „Разбойниках"!

Я беру на себя все твои расходы по путешествию и останусь премного тебе обязанным. Сообщи сейчас мне, если сможешь поехать, приходи сегодня в 6 часов на репетицию в Груз. театр, надеюсь не откажешь.

твой Георги Ишхнели

...შენი ჭირიმე უარი არ მითხრა, მთელი დასი აქედან მოდის, ფრანცის როლს, რასაკვირველია, ლადო თამაშობს".

გასაგებია, ასე სახელდახელოდ მოწყობილ სპექტაკლებს რა ღირებულება ექნებოდა.

არ ყოფილა ჯერ შემთხვევა, რომ აქტიორული ხეტიალით, სახელდახელოდ შეკოწიწებული დასით, რომელიმე მსახიობს ახალი სიტყვა ეთქვას და დიდი ღირებულების სპექტაკლი შე-

ექმნას. მსახიობი კარგ თეატრში იზრდება. გასტროლიორი ხშირად იშტამპება და მისი ოსტატობა ხელოსნობად გადაიქცევა ხოლმე. ამას ვერც გიორგი არადელი-იშხნელი ასცდა და დიდ გამარჯვებებთან ერთად, თანდათანობით დაავადდა იმ სპეციფიკური ნაკლით, რითაც ცნობილი იყვნენ დიდად ნიჭიერნი გასტროლიორები. გავიხსენოთ თუნდაც გიორგისდროინდელი გასტროლიორი, მისებრ დაუდეგარი და ამბოხი სულის მატარებელი მამონტი დალსკი. მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთს ასეთი მასშტაბის ტრაგიკული როლების მსახიობი არა ჰყოლია. და ეს უნიჭიერესი მსახიობი თეატრის უსულგულო მოხელეებმა განდევნეს ალექსანდრეს თეატრიდან. დაიწყო დალსკიმ აქტიორული ხეტიალი ქალაქებსა და დაბებში. ხალხი ყველგან აღფრთოვანებით ეგებებოდა ამ შესანიშნავ მსახიობს. მის მიერ განსახიერებული ოტელო, ჰამლეტი, ნეზნამოვი, რაგოჟინი („იდიოტში"), როტმისტრი (ა. სტრინდბერგის „მამაში"), — ეს აქტიორული ოსტატობის ნიმუში იყო. მაგრამ ხეტიალმა, სუსტ მსახიობთა ანტურაჟმა დააკნინა მისი შემოქმედება და ის უკვე აღარ იყო ისეთი წარმტაცი, როგორც ალექსანდრეს თეატრში ყოფნისას და საგასტროლო მოგზაურობის პირველ წლებში. დალსკის პირადი მეგობარი და მისი ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი სსრ კავშირის სახალხო არტისტი იური იურევი თავის მეტად საინტერესო წიგნში, რომელიც გამოქვეყნდა 1948 წელს, მთელ თავს უძღვნის მ. დალსკის. ალექსანდრეს თეატრში ამ დიდი ტალანტით მოხიბლული იური იურევი დაესწრო გასტროლიორი დალსკის მონაწილეობით გამართულ საღამოს. მ. დალსკიმ წაიკითხა ა. ოსტროვსკის პიესა „ვასილ შუისკის და დიმიტრი თვითმარქვიდან": დიმიტრის მონოლოგი. მწუხარებით აღნიშნავს იურევი, რომ მის წინაშე, „მსახიობი დალსკი აღარ არსებობდა". რატომ მოხდა ასეთი მეტამორფოზა? კითხულობს ავტორი და დაასკვნის: „ისეთი ადამიანები, როგორიც არის დალსკი, საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურად-

ლებას და სიფრთხილით მოპყრობას". მოეპყრენ თუ არა გიორგი არადელ-იშხნელს სიფრთხილით? შეეცადნენ თუ არა — თავი დაეღწია ამ ადამიანს ბოჰემური ცხოვრებისათვის?

არა. არ შეუწყვეს ხელი!

ან ვის უნდა შეეწყო ხელი? ყოველი ქართველი აქტიორი უარეს პირობებში იყო ჩავარდნილი. გიორგის სოფელი მაინც გააჩნდა და გაჭირვებისას თავს ყოველთვის გამოიკვებავდა, ქართველი აქტიორი კი ლუკმაპურის ძებნაში იყო და ჰონორარის გულისთვის ოპერეტაში ხრინწიანი ხმით მღეროდა არიებს და საჩუქრად ნაცვლად თაიგულისა, ზოგჯერ ლაყე კვერცხებით უმასპინძლდებოდნენ.

ქართული თეტრის დაწვისთანავე დაისვა საკითხი მისი აღდგენის შესახებ და ამისათვის შემოწირულებაც გროვდებოდა, მაგრამ იმპერიალისტურმა ომმა დღის წესრიგიდან მოხსნა ეს საკითხი. ხალხს თეატრისათვის არ ეცალა, ომისაგან მიყენებულ ჭრილობას იშუშებდა, წელებზე ფეხს იდგამდა და თავს ისე იკვებავდა. განცხრომის ძენი, ექპლოატატორები, სპეკულანტები, ომით გამდიდრებულნი და მათი დამქაშები კლუბებში ბანქოს თამაშით კლავდნენ დროს და „კახეთის" და „საეროს" ფირმის ღვინოებით გაჟღენთილნი გათენებისას ბრუნდებოდნენ შინ. მათ სრულიადაც არ აფიქრებდათ იმედაშვილებისა და იშხნელების უთეატროდ დარჩენა. პრესაში თუ დროდადრო გაისმოდა ხმები თეატრის აღდგენის შესახებ, ამას ყურადღებას არავინ აქცევდა.

„ჩვენი თეატრი უპატრონო ტაძარია".—გულისტკივილით აღნიშნავდა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" და ეს ამონაკვნესი გამოხმაურებას ვერ პოულობდა.

ქართული კლუბის გამგეობა შეუდგა თავისი შენობის აღდგენას. კლუბის მამასახლისები შეეცადნენ სათეატრო დარბაზი და სცენა ისე მოეწყოთ, რომ რთული პიესების დადგმა შეუძლებელი ყოფილიყო. მათ არ უნდოდათ ხელი შეეწყოთ ქართული თეატრის დასისათვის, რადგან კარგ წარმოდ-

ობილისის დრ. დასი

ა. ჭიქიძე ნ. ფალთაშვილი

ბ. [illegible]

ნ. ჯაფარიძე ვ. ქალაბაევი

ვასო [illegible]

ვ. [illegible]

ი. [illegible]

ბ. [illegible]

ვ. [illegible]

ს. [illegible]

ი. [illegible]

ნ. [illegible]

გენებს შეეძლო ბანქოს მოთამაშეები მიეზიდნა და ამით კრუპიებს ნაკლები სამუშაო ექნებოდათ და მართლაც, გააკეთეს ისეთი პატარა, მოუხერხებელი დარბაზი, ისეთი უშნო და მოუწყობელი სცენა, რომ სერიოზული დასი იქ ვერაფერს გააწყობდა. ამიტომაც კლუბის წევრები იაფფასიანი ვოდევილებით, უიდეო კომედიებით კმაყოფილდებოდნენ. ქართული კლუბის დარბაზში ქართველი მსახიობი სასურველ სტუმრად არ ითვლებოდა. განა ასეთი დამოკიდებულების შემდეგ ვისმე შეეძლო ეკითხა — რად გარბის ლადო მესხიშვილი საქართველოდანო? გიორგი არადელი-იშხნელიც რომ გაქცეულიყო, უდაოდ მოიგებდა. სამოქმედოდ უფრო დიდი ასპარეზი ექნებოდა და მისი ნიჭი უფრო გაშლიდა ფრთას.

სამწუხაროდ მას ლადო მესხიშვილის ენერგია არ ჰქონდა, არც ლადოსავით ცნობილი იყო რუსეთის თეატრებისათვის, ახალი კარიერის შექმნის ძალა კი მას არ შესწევდა.

უთეატროდ დარჩენილმა ქართულმა დასმა 1916 წლის ზამთრის სეზონი 5 ნოემბერს ხარფუხის კლუბში გახსნა. გაზეთი „საქართველო“ თავის 1916 წლის 12 ნოემბრის ნომერში, ეხებოდა რა სეზონის გახსნას, სხვათა შორის წერდა: „სრულის შეგნებით და ბუნებრივობის იერით ჩაატარა თავისი როლი ბ. იშხნელმა. ამ მეტად რთულ და თან მიმზიდველი ტიპის განსახიერება-დახატვა არც ისე ადვილია, მაგრამ საზოგადოება წინდაწინვე დარწმუნებული იყო მსახიობის სიძლიერეში ამ მეტად რთულ მდგომარეობის დასაძლევად. მხოლოდ ბ-ნი იშხნელი, რომელმაც მეორე და მესამე მოქმედებაში დაკვირვებული თამაშით მთელი მომენტები შექმნა სასცენო ხელოვნების დამახასიათებელი, თითქოს სდგებოდა, ეხამუშებოდა უჩვეულო გარემოებასა და პირობებში მთელი თავისი ნიჭის გამოჩენა. პირადად მსახიობმა სძლია ეს დაბრკოლება, მაგრამ დარბაზში მყოფთ შავი ყორანის ჩხავილივით დასძახოდა გარედან მოვახშმეთა უდარდელი ხრიალი, თითქოს მათ აინუნშიაც არ მოსდიოდათ ბედი ქართული მელ-

პომენისა, თითქოს არც კი გრძნობდნენ. რომ სწორედ მათი „კუჭის“ საქმის გამოსწორების დროს იქვე გვერდით ქართული სულის გამოხატულებას ერთ საუკეთესო ქარვას ჰმატებდა ხელოვანი მსახიობის მოხდენილი თამაში და ერთხელ კიდევ მწვავედ წარმოგვიდგა ბედი ჩვენი თეატრისა. როდის, როდის გვეღირსება კლუბებიდან ჩვენი თეატრის დახსნა, როდის დაჰკრავს ჟამი ქართული მელპომენის მკვდრეთით აღდგენისა“.

თეატრის მკვდრეთით აღდგენას გიორგი ვერ მოესწრო, კლუბის პატარა სცენებზე თამაშს თავი ვერ დააღწია. თეფშების ჩხრიალი, დანა-ჩანგლის ჩხარუნი და მოვახშმეთა შეძახილები კლუბის პატარა დარბაზში იჭრებოდა და მსახიობთა თამაშს აკომპანიმენტს უწევდა. ჩიხში მომწყვდეული მსახიობი უღიმღამოდ განაგრძობდა გზას, ლამობდა ბორკილების დალეწვას, ფრთების გაშლას, მაგრამ ამბოხი სული დამარცხდა და უდროოდ დაიღუპა.

ამაზე შემდეგი თავი მოგვითხრობს.

თავი VIII
კატასტროფა

უთეატროდ, უსახსროდ დარჩენილი ქართული დრამატული დასი სულს ღაფავდა. სეზონი ორ-სამ თვეს ძლივს გრძელდებოდა, დადგმას რეჟისორის ხელი არ ეტყობოდა. ათასჯერ გადაღეჭილი პიესები მაყურებელს არ იზიდავდა. თეატრის გულშემატკივარნი გრძნობდნენ, რომ ძველი გზით სიარული არ შეიძლებოდა, საჭირო იყო კრიზისიდან თავის დაღწევა. ბევრი მკურნალი გამოუჩნდა თეატრს, მრავალი რეცეპტი იწერებოდა, მაგრამ ხსნა არსაიდან არ ჩანდა.

ახლადდაარსებულ სტუდიას ცის მანანასავით შეჰყურებდა ყველა, განახლებულ ცვლას მოელოდა.

მართლაც, სტუდიაში ნიჭიერმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი. სერიოზული მომზადების შემდეგ, (ჩატარდა 150 რეპეტიცია), 1918 წლის 18 და 22 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში წარმოადგინეს ბრიეს პიესა „სარწმუნოება“.

ამ სპექტაკლს გაჭედილი დარბაზი აღფრთოვანებით შეხვდა: ახალი დეკორაციები, ეპოქასთან შეხამებული კოსტუმები, მსახიობთა თამაში იქცევდა დამსწრეთა ყურადღებას. ქართული თეატრის მაყურებელს ამაზე კარგი სპექტაკლები ბევრი ენახა, უფრო დიდი მსახიობები ეხილნა, მაგრამ ერთი გარემოება იქცევდა ყურადღებას და უპირატესობას ამ სტუდიის სპექტაკლს აძლევდა: ამ თეატრში მოკარნახის ხმა არ მოისმოდა. 150 რეპეტიცია ერთი სპექტაკლის გასამართავად — ძველ თეატრში წარმოუდგენელი იყო. ძველი ქართული თეატრის არტისტს უფლება არ ჰქონდა ერთ სპექტაკლზე ამდენი დრო დაეხარჯა, რადგან შინ კიდობანი ცარიელი იყო და ჯიბეში გროში კაპიკი არ უჭყაოდა. ერთი-ორი რეპეტიციის შემდეგ ბეგლარ ახოსპა-

რელის, ან იოსებ გრიშაშვილის იმედით ფარდა აიწეოდა და წარმოდგენა იწყებოდა. ყოველი სპექტაკლის წინ ბევრი მსახიობი აფრთხილებდა მოკარნახეს—გავჩერდები თუ არა, სიტყვები მომაწოდე, რემარკებიც მითხარიო.

რამდენი კურიოზების მომსწრენი ვართ. რამდენჯერ მოგვისმენია მოკარნახის ხმა: „ადექ, გაიარ-გამოიარე“. „გადი სცენიდან“. „წყალი დალიე“ და სხვა ამგვარი.

რამდენჯერ გაგვიგონია დარბაზის შეძახილები „მოკარნახე, ჩუმად!“

აქ კი მოკარნახის ხმა არ ისმის. როლი ყველამ ზეპირად იცის.

ამ სპექტაკლში ძველი თაობის მსახიობებიდან მონაწილეობას იღებდნენ გ. არადელი-იშხნელი, იუზა ზარდალიშვილი, ცაცა ამირაჯიბი, ანეტა ქიქოძე; რეცენზენტებმა დადებითი შეფასება მისცეს ვერიკო ანჯაფარიძეს (იაუ), ვეჩე ჯიქიას (ქურუმთქურუმი), ძიხეილ გელოვანს (სათნო), მიხეილ ჭიაურელს (სათნო), დიმიტრი მჟავიას (ბათიუ), გიორგი სარჩიმელიძეს (ოკიტ) და სხვ. რაც შეეხება ძველი თაობის მსახიობებს, იწონებდნენ რა გიორგი არადელ-იშხნელის ფარაონს, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ „როლს კარგად ასრულებდა, მაგრამ საერთო ფარგლიდან ირკვევოდაო[1]. „საერთოდ ახალი დასი, რომ მხოლოდ ახალი ძალთაგან შესდგებოდეს უკეთესიაო“.

გიორგი არადელი-იშხნელი ამ წარმოდგენაში გასტროლიორის შთაბეჭდილებას ახდენდა, ყველა იმ დადებითი თვისებით და ნაკლით, რაც ამ შემთხვევაში დამახასიათებელია გასტროლიორისათვის — დიდად ნიჭიერია იგი, თუ საშუალო მსახიობი. უნიჭიერესმა მსახიობმა გ. არადელ-იშხნელმა თუ ამ სალამოს ჩვეულებისამებრ ვერ მოაჯადოვა დამსწრენი,

---

[1] უეკველია რეცენზენტი ანსამბლიდან გამოთიშვას გულისხმობდა. ავტ.

ეს იმიტომ, რომ როლი ამის საშუალებას არ იძლეოდა. და არც თუ მიზანსცენები იყო ფარაონისათვის ხელსაყრელი. რეჟისორს სცენის ბოლოში მაღლობზე დაესვა ფარაონი. ალბათ ფიქრობდა — მსახიობის ძლიერმა ხმამ და დიდმა ტემპერამენტმა არ დაჩრდილოს სხვა მონაწილენიო, მაგრამ ეს მაინც მოხდა. ბევრს მსახიობს ბოლო მოქმედებამდე აღარ ეყო ხმა.

„თეატრი და ცხოვრების“ რეცენზენტი არჩევდა რა სტუდიის პირველ წარმოდგენას, სხვათაშორის წერდა: „ამ პიესის პირველმა წარმოდგენამ დიდძალი საზოგადოება მოიზიდა, მეორეზედაც საკმაო ხალხი დაესწრო, მიუხედავად იმისა, რომ „ავთა ენათ“ საზოგადოებრივი აზრი მოშხამეს, ბევრს იმედი აღეძრა: „აჰა, ძლივს ვეღირსებით — ჩვენი სცენის განახლებასო. ეს არც უსაბუთო იყო, მაგრამ... თურმე ჩვენში ხელოვნება და მის ოფიციალ ჭირისუფალთა გრძნობა ალღოიანობა იმდენად გაყინულია, რომ ამ ახალ ქურუმთ ცივგულა სუსხისგან ფრთები დასცვივდათ. ეს კი დიდი უსამართლობა და უბადრუკობაა ჩვენი სასცენო ხელოვნების წინაშე“ („თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ. № 18).

მენშევიკურმა მთავრობამ არავითარი დახმარება არ გაუწია სტუდიას. სტუდიამ სულ რამდენსამე თვეს იარსება. დადგა „თეთრი ვახშამი“, ჰაუპტმანის „ჰანელე“, ბრიეს „სარწმუნოება“, და „ვითა ფოთლები“ და შეწყვიტა არსებობა.

ქართულ დრამას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. თუ წინათ, ცარისტული რეჟიმის დროს, სახაზინო თეატრის დირექცია ორშაბათ დღეს უთმობდა ქართულ დასს იმ პირობით, რომ რეპეტიციები სხვაგან გაემართნათ და საგრძნობი ქირაც გადაეხადათ, მენშევიკურმა მთავრობამ 1919 წელს ქართული დასი სრულიად გამოდევნა თეატრიდან. „ქართული დრამატიული მსახიობთა დასი დაიშალა. მიზეზია სახელმწიფო თეატრის კომისართან შეუთანხმებლობა“ („თეატრი და ცხოვრება“, № 13, 1919 წ. 30 ნოემბერი).

ვ. გუნია, გ. იშხნელი, ალ. იმედაშვილი და ვ. აბაშიძე

1920 წელს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აჯამებდა რა 1919 წლის სეზონს, წერდა: „1919 წლის დასაწყისში სეზონი მიმდინარეობდა სახელმწიფო თეატრში, მაგრამ ადმინისტრაციასთან კონფლიქტის გამო დასი ქუჩაში დარჩა. დადგა მხოლოდ რამდენიმე ორიგინალური პიესა ნიკო შიუკაშვილის „მთის ზღაპარი“, ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ და იოსებ გედევანიშვილის „სინათლე“ I და II ნაწილი“ (თ. და ც. 1920 წ. № 1).

უთეატროდ დარჩენილმა დასმა კლუბის სცენაზე წარმოადგინა ტრიფონ რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“ და ამით დასრულდა მათი სეზონი „ვითა სიზმარი ღამისა“. ამ სეზონისათვის ამხანაგებმა გიორგი არადელი-იშხნელი ქუთაისს არ გაუშვეს, და გიორგიც სხვებთან ერთად უმუშევარი დარჩა.

საქართველო მაშინ თეატრებით არ იყო მდიდარი და გასტროლების მოწყობა ორ-სამ ქალაქში თუ შეიძლებოდა. გასტროლიორობით ლადო მესხიშვილსაც არ შეეძლო ცხოვრება და, ცხადია, გიორგი შემთხვევით გამართულ წარმოდგენებით ოჯახს ვერ დაარჩენდა. შრომა კი ბავშვობიდანვე უყვარდა. მალე გიორგის თბილისის ბირჟაზე ვხედავთ, როგორც მეეტლეს. სამწუხაროდ გამართლდა დათა პარკაძის ხუმრობა:

— რა შენი საქმეა სალონი, შენი ადგილსამყოფელი გომი და ბოსელიაო.

ავჭალის (ამჟამად საბჭოს) ქუჩაზე, აფთიაქის პირდაპირ, იქ, სადაც ძველად გერმანელების სასაფლაო იყო, დაიქირაკა თავლა, ეტლი ამავე ეზოში ეყენა და თავის საყვარელ ცხენებს ეალერსებოდა ხოლმე. ხომ გახსოვთ ფოთის ნავსადგურთან გიორგის ალერსი ლაფში ჩაფლულ კამეჩებთან!

ასეთი ორიგინალური იყო ეს ბავშვივით გულუბრყვილო, კეთილი და უეშმაკო გიორგი.

გიორგი არადელი-იშხნელის ხსოვნის საღამოზე რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნუცა ჩხეიძემ დიდის სიყვარულით მოიგონა უნიჭიერესი მსახიობი და სხვათაშორის, თქვა: „როგორც ამხანაგი — გიორგი ძალიან გულთბილი იყო. თავაზიანი, პირდაპირი. ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა — ღვინის სმა უყვარდა. რომ დალევდა, ონუფრისავით ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედა-მიწა ქალამნად. ქუთაისში მაშინ ბოჭკებით დაატარებდნენ წყალს და აი გიორგი ჩამოსვამდა მებოჭკეებს, თვითონ დაიჭერდა მის ადგილს და ერეკებოდა ცხენს. ასეთი მისი ოინები არ იწვევდა არავისში გულისწყრომას — იმდენი გულუბრყვილობა იყო მის მოქმედებაში. მხიარული იყო. რეჟისორი გაჯავრებასაც კი ვერ უხერხებდა: „მიშა, არ გამიჯვარდე, ძალიან კარგ გუნებაზე ვარ და თუ ძმა ხარ, ხასიათს ნუ გამიფუჭებო“. და ყველას ღიმილი მოსდიოდა. წარმოდგენის დროს კი მეტად სერიოზულად ეკიდებოდა საქმეს“.

გიორგის მეეტლეობა ბევრს ახსოვს და მრავალი კურიოზიც აგონდებათ.

თამამშვილის ქარვასლის წინ ბირჟაზე დგას ეტლი. მას მიუახლოვდა მანდილოსანი, ჩაჯდა ეტლში და თხოვა ქართულ გიმნაზიამდე წაყვანა. მეეტლესათვის არ შეუხედნია. ეტლი სახელმწიფო თეატრს მიუახლოვდა და გაჩერდა. მეეტლე გადახტა ეტლიდან და თავისი ტყაპუჭით შევიდა თეატრში. ქალი ეტლში ზის და მეეტლეს ელოდება. მცირე ხნის შემდეგ გამოდის მეეტლე და მას ქალის ნაცნობი მსახიობები ეხვევიან.

მეეტლე ბოდიშს იხდის, სწრაფად შეახტება კოფოს და მგზავრს დანიშნულებისამებრ მიიყვანს.

მხოლოდ შემდეგში შეიტყო, რომ მისი მეეტლე ეს ის მსახიობია, რომლის თამაშითაც ყოველთვის ასე აღფრთოვანებული იყო. ეს მანდილოსანი ელისაბედ ორბელიანის ქალი იყო.

მეეტლეობამ გამახსენა კიდევ ერთი ამბავი. გიორგის უნივერსიტეტის ამხანაგი დავით ტატიშვილი გორიდან დაბრუნდა თბილისში. ღამეა. სადგურის ბირჟაზე ეტლები დგას. უხმო ერთერთს.

— Куда прикажете? — ეკითხება მეეტლე.

— Кирпичный переулок.

— Слушаюсь — გაისმა ხავერდოვანი ხმა და ეტლიც დაიძრა. ამ ხმამ შეაკრთო დათა, ეს ხომ მისი მახლობელი მეგობრის ხმასა გაკს. ეტლში ვეღარ ისვენებს.

— Ну Давид Михаилович мы приехали..

მოესმა თუ არა ნაცნობი ხმა, დათა ტატიშვილი დაიბნა. მეგობრების ხვევნა-კოცნამ მეზობლების ყურადღება მიიპყრო. უკვირდათ — ყოველთვის წყნარი დათა ისე როგორ დათვრა, რომ მეეტლეს კოცნისო.

გიორგი არადელი-იშხნელის ცხოვრებით დაინტერესებულს ხშირად გამახსენებდა ხოლმე დათა ტატიშვილი ამ ეპიზოდს და მისებრ მსგავს სხვა ამბებს.

გაჭირვებამ და უმუშევრობამ აიძულა ეს უნიჭიერესი მსახიობი სხვა პროფესიისათვის მოეკიდა ხელი და ცოლშვილი ისე ერჩინა. თუ რა საავალალო მდგომარეობაში იყვნენ ქართული თეატრის მსახიობნი ამ პერიოდში, ამაზე ჩინებულად მოგვითხრობს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1920 წლის მარტის ნომერში მოთავსებული შემდეგი ქრონიკა:

ვასო აბაშიძე

(ახლო მომავალში მისი საღამოს გამართვის გამო)

იშვიათია ქართველი, რომელიც სიყვარულით არ ატარებს გულში ვასო აბაშიძის სახელს, მაგრამ იშვიათია ქართველი,

რომელმაც კარგად იცოდეს ამ მხცოვანი მსახიობის დიდი ნივთიერი გაჭირვება, რომელიც ადგა დღეს ავადმყოფობასთან ერთად. ვასო აბაშიძე ახალგაზრდა არ არის, იგი იშხნელივით ვერ შეჯდება კოზლაზე და მეეტლეობას ვერ გასწევს...

ქ ა რ თ ლ-ი მ ე რ ე ლ ი

ბევრს გიორგი არადელი-იშხნელის მეეტლეობა არ მოსწონდა. გაიძახოდნენ — სწავლა აქვს, დადგეს სამსახურშიო. მაგრამ გიორგი ამ მითქმა-მოთქმას არაფრად აგდებდა. ჯერ ერთი — მისთვის პატიოსანი შრომა სათაკილო არ იყო, და მეორეც — ეს იყო ერთგვარი პროტესტი მენშევიკური ხელისუფლებისადმი. მენშევიკების ბატონობის დროს ქართველი მსახიობი და შიმშილი სინონიმებად იყო გადაქცეული, გიორგის, როგორც მეეტლეს, კუჭი მაძღარი ჰქონდა და საშუალებაც ეძლეოდა სპექტაკლის დროს არ გამოსულიყო ბირჟაზე. პარადოქსად მოგეჩვენებათ — დილით მეეტლე განცხრომის შვილთ დაასეირნებდა, საღამოს სცენაზე მბრძანებლობდა, მსმენელთ იმონებდა და დაფნის გვირგვინებს იღებდა.

ტყუილად კი არ უთქვამს მგოსანს მსახიობზე:

„ხან მეფე ვარ სვე-მღვიმარე, ქედს მიხრიან ქვეყნის მპყრობელს,
ხან ვით ნაძვი ტბის ნაპირას ვღვრი ცრემლებსა შეუშრობელს[1]“.

გიორგის ასეთი შეთავსებითი პროფესია აიხსნება კიდევ იმით, რომ იგი ბავშვობიდანვე შეჩვეული იყო ფიზიკურ შრომას. ამასთანავე ეტლით გაქროლება მას, როგორც სპორტსმენს, იზიდავდა — ეს მის აღზნებულ სულს შვებას აძლევდა. დიდი ენერგია გამოსავალს ეძებდა. მუქთახორობა გიორგის ბუნებას არ ეგუებოდა. შრომისმოყვარეობა თეატრშიაც

---

[1] ეს ლექსი „მსახიობი“ პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა უძღვნა ლადო მესხიშვილს და მის იუბილეზე წაიკითხა 1913 წ.

ვამოჰყვა: თუ როგორ გულმოდგინედ ამზადებდა იგი როლს, ამის შესახებ ვრცელი ამონაწერი მოვიყვანეთ რეჟისორ მიხეილ ქორელის წერილიდან. ძველ თეატრში ისეთი პირობები იყო შექმნილი, რომ პიესის მომზადებისათვის ბევრი დრო არ ჰქონდათ.

რასაკვირველია, როცა მაყურებელი მიდის თეატრში, ის იმის განსჯაში არ შედის—რამდენი რეპეტიცია ჰქონდა მსახიობს, მაყურებელი მოითხოვს, რომ მსახიობმა ზედმიწევნით იცოდეს როლი. მოკარნახის მოლოდინში დიდი, მომაბეზრებელი პაუზები არ გააკეთოს, ავტორის ტექსტი არ დაამახინჯოს. რემარკები ზეპირად იცოდეს და ა. შ. ვინ უწყის რამდენი საყვედური მოუსმენია ქართველ მსახიობს ხალხისაგან, რეცენზენტებისაგან და ამ მხრივ არც გიორგი არადელიიშხნელი შეადგენდა გამონაკლისს. მაგრამ, როცა კი შესაძლებლობა იყო, თუ სამზადისი ერთ კვირას მაინც გრძელდებოდა, გიორგიმ როლი ყოველთვის კარგად იცოდა და მოკარნახის იმედით არ გამოდიოდა სცენაზე. ყველა მსახიობი როდი იყო ასეთი.

ალექსანდრე იმედაშვილის ერთ ნაამბობს გადმოგცემთ. ქართულ დრამატულ თეატრში მსახურობდა მეტად საყვარელი ადამიანი სვიმონ სიმონიძე. ამ მსახიობმა თითქმის არასოდეს არ იცოდა როლი, მაგრამ ისე მოხდენილად ჩაურთავდა თავის სიტყვებს, რომ ბევრი ამას ვერ ამჩნევდა. დგამენ ჰ. სენკევიჩის რომანიდან ნ. სობოლშჩიკოვ-სამარინის „ვიდრე ხვალ უფალოს“. გოლიათ ურსის როლი მას დააკისრეს. გადაწერილი როლი სახლში გაატანეს. რეჟისორმა თხოვა: არ გვიღალატო, როლი დაისწავლეო.

პიესა იწყება ლიგიას, პატარა აბლუს და ურსის სცენით. სვიმონმა რაღაცა თქვა, არც ლიგიას არც აბლუს ლაპარაკი არ აცალა და პეტრონიუსი (ვლადიმერ მესხიშვილი) და მარკუს (ალ. იმედაშვილი) რომ არ შემოსულიყვნენ სცენაზე, ალ-

ბათ ჰერნიხ სენკევიჩის ბიოგრაფიასაც მოგვითხრობდა. რეჟისორმა საყვედურით მიმართა:— რატომ როლი არ ისწავლეო-

— როგორ არ ვისწავლე, მაგრამ ამერია.

ალექსანდრე იმედაშვილი შეეკითხა — როლი სამსახურში ხომ არ დაგრჩაო.

— აი როლი— და სვიმონმა უბიდან ამოიღო რვეული და რეჟისორს გაუწოდა. ყველანი გაოცდნენ. ფურცელი-ფურცელზე წებოთია დაკრული. თურმე ალექსანდრე იმედაშვილს დაეწებებია ერთმანეთზე ფურცლები და გამოსაცდელად მიეცა სვიმონისათვის — ვნახოთ გადაშლის თუ არა რვეულსო.

თეატრის მოყვარულებმა ეს ამბავი მეორე დღესვე იცოდნენ, ბევრს იცინოდნენ და სხვადასხვა ვარიანტებით უამბობდნენ ერთმანეთს.

გიორგი არადელ-იშხნელს ასეთი გამოცდა არ სჭირდებოდა. ის არამც თუ ტექსტს იზეპირებდა, პიესაში ასახულ ეპოქის შესწავლასაც კი შეუდგებოდა ხოლმე. რამდენჯერ უნახავთ ამხანაგებს თავლის დირეზე მჯდომი გიორგი, იგი ცხენებს ასვენებდა, ხელში წიგნი ეჭირა და ხმამაღლა კითხულობდა. როცა კი როლის დამუშავებას მოჰკიდებ ეა ხელს, მთელ ლიტერატურას გადაიკითხავდა ხოლმე. როცა გიორგი „ანტიგონეში“ კრეონის როლზე მუშაობდა, გვიამბობს ნიკო გვარაძე რუსულ წიგნებს კითხულობდა და თან იძახდა — რატომ არ დავუჯერე ბერძნული ენის მასწავლებელს, ახლა ხომ ორიგინალში გავეცნობოდი დიდ კლასიკოსებს, „ოიდიპოს მეფეში“ ტირეზს უკეთ დავძლევდი და კრეონსაც კარგად ვითამაშებდიო. გიორგი წარმატებას მარტო თავის დიდი ნიჭით არ აღწევდა, არამედ გულმოდგინე შრომითაც.

მრავალი ლეგენდაა ხალხში შექმნილი გიორგი არადელი-იშხნელის უდისციპლინობაზე, მაგრამ ეს მხოლოდ ლეგენდაა, სინამდვილეში კი ის მუშაობას დიდის სერიოზულობით ეკიდებოდა.

გიორგი არანდელი-იშხნელისათვის თეატრი წმიდათა წმიდა იყო და მკრეხელობად მიაჩნდა მოუმზადებლად სცენაზე გამოსვლა. თუ როგორ ზუსტად იცავდა ნაკისრ ვალდებულებას ეს გულუბრყვილო დიდი ბავშვი, ამაზე ერთი ამბავი უნდა გავიხსენო, რაც მსახიობ ალექსანდრე გუგუშვილისაგან მოგვისმენია.

ალექსანდრე გუგუშვილი ქუთაისის დასში მუშაობდა რეჟისორის თანაშემწედ. საღამოს 8 საათისათვის რეპეტიციაა დანიშნული. გიორგი სამთვალა წამოკიდებული ქაქანით მოადგა თეატრის კარს. ყველას ეღიმება, ფიქრობენ ნასვამია. მაგრამ არა! იგი საკვლებით ფხიზელია. საქმე შემდეგში იყო: გიორგი მსახიობ დავით ჩარკვიანის სანახავად იყო. ჩარკვიანი არქიელის გორაზე ცხოვრობდა. საუბარი დიდხანს გაგრძელდა. საინტერესო ამბებმა გაიტაცა გიორგი, და გადაავიწყდა რომ 8 საათზე რეპეტიცია იყო დანიშნული. როცა კედლის საათმა რვაჯერ ჩამოკრა ზარი, თოფნაკრავივით წამოხტა გიორგი, წამოავლო ქუდს ხელი და გარეთ გამოიჭრა. აივანზე გამცილებლები არ გამოყოლიან. დავითი წევს... მისი მეუღლე დავრდომილია და როცა ქუჩაში სურთ მისი გამოყვანა სამთვალაზე (ინვალიდებისათვის სპეციალურად განკუთვნილი ეტლი) დასვამენ ხოლმე. ამ სამთვალას შეხედა გიორგიმ, შესკუპდა და სრიალით დაეშვა თავქვე და ერთ წუთში ჯაჭვის ხიდთან გაჩნდა. აქ ეტლი მოიშალა, (უეჭველია დიდ სიმძიმეს ვერ გაუძლო) გიორგი იძულებული გახდა წამოეკიდა სამთვალა და ქაქანით მიეტანა თეატრში; 8 საათსა და 5 წუთზე გიორგი რეპეტიციაზე იყო და მისი ხავერდოვანი ხმა გვხიბლავდა ყველას. დამთავრდა რეპეტიცია, გიორგიმ კვლავ მოიკიდა სამთვალა და ქარში შეუდგა აღმართსო.

შეიძლება ამაში ბავშვური სიცელქეც იყო. ის ხომ სიკვდილამდე დიდ ბავშვად დარჩა. ეს გონიერი ადამიანი ზოგჯერ ისეთ რამეს მოიმოქმედებდა, რაც მხოლოდ ბავშვს ეპატიება. ახლაც სიცილი აგიტყდებათ, როცა გაიხსენებთ აქლემზე შემ-

ჯდარ გიორგის. ნაცნობების მეტი ვერავინ მიხვდებოდა, რომ აქლემზე იჯდა გამოჩენილი მსახიობი არადელი-იშხნელი...

როგორც ადამიანი, გიორგი ყველასათვის საყვარელი იყო. მე არ მქონია შემთხვევა რომელიმე მის ამხანაგისაგან რაიმე მესმინოს ისეთი, რომ ოდნავ მაინც ჩრდილს აყენებდეს მის სახელს. ყველა ერთხმად აღიარებს მის უანგარობას, პირდაპირობას.

1910 წლის სეზონის დამთავრებისას, როგორც ჩვენ წინა თავებში აღვნიშნეთ, გიორგი, მსახიობი ნიკო ციციშვილი და სოსო ჟივიძე ქართლის დაბა სოფლებში სპექტაკლების დადგმას შეუდგნენ. პირობისამებრ სამ ნაწილად უნდა გაგვეყო შემოსავალიო,—გვიამბობს სოსო ჟივიძე; გადავშალე რვეული და ამხანაგებს ვაცნობდი შემოსავალ-გასავალს. გიორგი აენთო და მითხრა:

— ბიჭო ჩარჩი ხომ არა ხარ, აგრე რომ ანგარიშობ? თუ რამე დარჩა, მომეცი, მორჩა და გათავდა.

ანგარიშიანობა მის ბუნებას არ ეგუებოდა, უკანასკნელ გროშს დახარჯავდა, ამხანაგს ხელს გაუმართავდა და გაჭირვებასაც ადვილად იტანდა.

პირველი სპექტაკლის შემოსავლით ვალები ძლივს გავისტუმრეთ და იძულებული გავხდით ცხინვალიდან (სტალინირი) გორში ფეხით ჩამოვსულიყავით. გიორგის ამაზე „ანტრეპრენიორებისათვის“ ე. ი. ჩვენთვის პროტესტი არ განუცხადებია. პირიქით, ისა და ნიკო ციციშვილი იმდენს ოხუნჯობდნენ გზაში რეკვიზიტ და გარდერობ აკიდებულნი, რომ დაღლა სულ არ გვიგრძნია. გენადი ნესჩასტლივცევის და არკაშკა სჩასტლიცევის[1] სვლას ემსგავსებოდა ჩვენი მგზავრობა სტალინირიდან გორში, მწერს დამსახურებული არტისტი სოსო ჟივიძე.

შრომისმოყვარეს და ცოდნით აღჭურვილ გიორგი არადელიშხნელს, შეეძლო უზრუნველეყო თავისი თავი და ოჯახიც-

[1] ა. ოსტროვსკის „ტყეს“ მსახიობები.

მაგრამ ძვალსა და რბილში ისე ჰქონდა გამჯდარი თეატრის სიყვარული, რომ მშიერ-მწყურვალს თეატრის დაფლეთილ, დაძონძილ დეკორაციებში ყოფნა ერჩივნა, ვიდრე განცხრომით ცხოვრება. გიორგი არადელი-იშხნელის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი აკაკი ფაღავა სხვათაშორის აღნიშნავდა: „გიორგი არადელი-იშხნელი იყო დიდი მსახიობი და დიდ ადგილსაც დაიჭერს ქართული თეატრის ისტორიაში. იშხნელის მაგალითი — მისი ნიჭი, მისი სიყვარული თეატრისადმი, ხელოვნებისადმი სამაგალითო იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის... გ. იშხნელი იყო ქართული სცენის და კულტურის დიდი პატრიოტი“.

1919 წლის სეზონი ქუთაისის დასში დამთავრდა. დრამატულმა საზოგადოებამ ანგარიში გაუსწორა მსახიობებს. შედგა ამხანაგობა და დაიწყო წარმოდგენების მართვა. ამხანაგობაში არიან მარგალიტა ქილარჯიშვილი, მარო მდივანი, ნინო წინამძღვრიშვილი, შაქრო გომელაური, ანდრო მურუსიძე, შალვა ხონელი, ვარლამ ჩხიკვაძე და სხვ. შემოსავლის გასაძლიერებლად გადაწყდა პოპულარული მსახიობის მოწვევა საგასტროლოდ. იცოდნენ რა დასის წევრებმა თუ რა დიდი სიყვარულით სარგებლობდა ქუთაისში გიორგი არადელი-იშხნელი, შაქრო გომელაურს დაავალა არადეთში წასვლა და იშხნელის ჩამოყვანა. შაქრო გომელაურს თან ახლავს თეატრის მოყვარული ახალგაზრდა ენთუზიასტი მიხეილ გაბელაშვილი. ზაფხულია, ქარელიდან არადეთს წავედით, გვიამბობს შაქრო გომელაური. შუადღისას კითხვა-კითხვით გიორგის სახლს მივადექით. ეზოსთან ახლოს კალოზე მიგვიყვანეს. ვხედავ წვერებმოშვებულ მზისაგან გადამწვარს ტომარი აუკიდია და ხაროსაკენ პური მიაქვს. ვიცანი საყვარელი გიორგი. ჩემი მისვლა გაუკვირდა, გულთბილად მოგვესალმა, მაგრამ მუშაობისათვის თავი არ დაუნებებია. პირიქით, ჩვენ ორივენი გვამუშავა, მეუღლეს უთხრა სადილის მზადებას შედგომოდა.

მანამდის პური არ დააბინავა, თითქმის ხმა არ ამოუღია და მოსვლის მიზეზი არ უკითხავს. ბოლოს სახლში მიგვიპატიჟა. სუფრაზე ვისხედით გიორგის მეუღლე ალექსანდრა, ორი პატარა ბიჭუნა, გიორგი და ჩვენ.

— აბა მითხარი ჩემო შაქრო, რაზედ გარჯილხარ. შენ, დარწმუნებული ვარ, ტომრების ასაკიდებლად არ ჩამოხვიდოდი — მითხრა და თავისებურად გაიღიმა ამ საყვარელმა ადამიანმა. მე გადავეცი დასის სურვილი.

— Ну что ты скажешь Ася! поехать что ли?— შეეკითხა მეუღლეს.

— Поезжай раз это небходимо, надо помочь товарищам.— მოისმა სათნო ადამიანის ხმა და მე მაშინ დავრწმუნდი, რომ საუცხოონი იყვნენ მეუღლენი—კულტურულნი და გულკეთილნი.

როცა თანხმობა მივიღე გიორგისაგან და განვიზრახე ჰონორარის შესახებ ხმის ამოღება, ისე შემომხედა, რომ მე მაშინვე გავჩუმდი. საკვირველი ადამიანი იყო გიორგი. ჭირვარამმა და გაჭირვებამ ის სრულიად ვერ შეცვალა და ანგარიშიანობას ვერ შეაჩვია. მიგვყავდა ორი-სამი კვირით იმ დროს, როცა სოფლად მოსავალი ასაღებია და ზამთრის სარჩო დასაბინავებელი. არა, სხვას ასეთს არ შევხვედრივარ, აცხადებს შაქრო გომელაური და ამით ადასტურებს გიორგის ყველა ამხანაგის აზრს.

მეორე დღეს წამოსასვლელად მოვემზადენით. გიორგიმ ერთი სავსე ტომარა წამოიკიდა და გზად იქვე ვიღაც მედუქნეს მიუტანა, ფული გამოართვა და ქარელიდან ქუთაისში წავედით.

გიორგი არადელი-იშხნელის გასტროლებმა დიდძალი ხალხი მიიზიდა და ამხანაგობის საქმე გამოასწორა. დავდგით ლეონიდ ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, ჰაუპტმანის „დაძირული ზარი“ და პ. სენკევიჩის „ვიდრე ხვალ უფალო“. გიორგის მიერ განსახიერებული ონუფრი და ჰენრიხი ეს აქ-

ტიორული შემოქმედების შედეგი რომ იყო, ყველასათვის ცნობილია და რაც შეეხება „ვიდრე ხვალ უფალოში“ აქაც მეტად ორიგინალურად ასახიერებდა ნერონის როლს. ნერონის როლს გიორგი წინა სეზონებშიაც თამაშობდა, მაგრამ ეტყობა ზოგიერთი დეტალი დასამუშავებელი ჰქონდა და დიდის გულმოდგინებით შეუდგა საქმეს... ტრიუმფით დამთავრდა „ჩაძირული ზარი“. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ აქვს. ქუთაისის ახალგაზრდობა თეატრიდან არ მიდის. ქუჩაში ელოდებიან მსახიობს. გიორგი კი მეუბნება: შაქრო, დარჩი თეატრში, ნერონის ადგილები უნდა გავიარო, სცენის პირობებში უნდა ვცადო. ორი დღე და ღამე ამუშავებდა როლს. ერთხელ ღამის სამ საათამდე დამტოვა თეატრში და თითქმის ათჯერ გაიმეორა სცენა და მეკითხებოდა — რა აზრისა ხარო. ჩემი აზრი კი ასეთი იყო: დიდი მსახიობი იყო, დიდი ბუნების ადამიანი! ორ კვირას ცხოვრობდა გიორგი ჩემს ბინაში. მაშინ ჩემი ვაჟი ლევანი 8—9 თვისა იქნებოდა და უნდა გენახათ როგორ ეალერსებოდა, როგორ დახაროდა ეს გულჩვილი და ადამიანის მოყვარული დიდი ბავშვი პატარა ბავშვს!“

გიორგი თავს არ უფრთხილდებოდა და ეს ყველა მის მახლობლებს აღონებდა. ხედავდნენ რომ ეს დიდად ნიჭიერი ადამიანი, ბედუკულმართი ცხოვრების მორევში ჩაფლული, ალკოჰოლს ეტანება, ღუპავს თავისთავს და ამით ზიანს აყენებს იმ საყვარელ საქმეს, რასაც თვითონვე ეთაყვანებოდა.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნინო დავითაშვილი, რომელიც ხშირად გიორგი არადელი-იშხნელის პარტნიორი იყო სცენაზე და მასთან ერთად მონაწილეობას იღებდა იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლში“, თავის მოგონებაში წერს:

„გიორგი იშხნელი გადაიქცა საყვარელ მსახიობად, შესანიშნავ ამხანაგად.. თეატრის დაწვამდის მიდიოდა წინ, იხვეჭდა სახელს. მისი ხავერდოვანი ხმა სასიამოვნოდ ჟღერდა, მის

შინაგან ტემპერამენტს აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი. იგი გადაიქცა დიდ მსახიობად.

1917 წელს უთეატრობის გამო, თითქმის ჩამოშორდა თეატრს. უთეატროდ ცხოვრება კი მას არ შეეძლო. მაშინდელი წესწყობილების პროტესტის ნიშნად მეეტლეობას მოკიდა ხელი. ამ სულისკვეთებას გაიგებს ის, ვისაც სცენაზე ერთხელ მაინც შეუდგამს ფეხი. 1918 წელს ოპერის თეატრში მოგვცეს კვირაში ორი დღე, მაგრამ სეზონი არ დაგვამთავრებინეს და დაგვითხოვეს თეატრიდან. დაიშალა ამხანაგობა, ვინ სად წავიდა, ვინ სად. 1919 წელს გ. იშხნელი ჩამოვიდა პროვინციიდან. გზაზე შეხვედროდა ჩემს მეუღლეს სოლომონ ახვლედიანს. იგი შეეკითხა გიორგის — ვისთან ჩამოხვედით? ვინც მიმიღებსო! უპასუხა გიორგიმ.

მოვიდნენ. გიორგი ორ დღეს დარჩა ჩვენთან. რასაკვირველია, სულ თეატრის გარშემო იყო ჩვენი ბაასი. გულისტკივილით ვლაპარაკობდით — როდის უნდა გამოსწორდეს თეატრის საქმე, მსახიობთა მდგომარეობა. თვითონ გიორგისაც ვუსაყვედურებდით. რად იღუპავ თავს. შენ მარტო შენ თავს არ ეკუთვნი. შენთვის ბუნებას ნიჭი მოუცია, მოვალე ხარ შენს სამშობლოს მოახმარო შენი ნიჭი. დაფიქრდა და თქვა:

—„თუ თქვენ პირობას მომცემთ, რომ მხარში ამომიდგებით, მეც გაძლევთ სიტყვას—ან ჩემ თავს ჯვარს დავუსვამ, ან მართლა შევიცვლი ცხოვრებასო“.

სამწუხაროდ გიორგის არ დასცალდა თავისი სიტყვა შეესრულებინა და მართლაც სულ მალე ჯვარი დაუსვა თავის სიცოცხლეს.

თავი IX
დასასრული

„ოხ, წადით, წადით თეატრში, თუ შეგიძ-
ლიანთ იქ იცხოვრეთ და იქ მოკვდით“.
ბ. ბელინსკი

„იქაც, იქაც არის მწუხარება ჩემო შვილო, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი სიხარულიც არის, რაც სხვა ადამიანებმა არ იციან. უქმად რისთვის უნდა დაისნეულო გული. ვინ, ვინ მიგიხვდება, ვინ გაიგებს შენი ძვირფასი სულის მწუხარებას. ვის ძალუძს დააფასოს ობოლი მარგალიტები, შენი ცრემლის ეს ბრილიანტები... იქ კი, თუ ამ საუნჯეთა ნახევარს ხალხს მიუძღვნი, თეატრი ტაშისაგან ზანზარს დაიწყებს; ვარდ-ყვავილებს დაგიფენენ... აქ შენს ცრემლებს, შენს წუხილს ვერ გაიგებენ, იქ კი ერთ ცრემლს ათასი თვალი დააცქერდება... შემომხედე, მათხოვარი ვარ, საბრალოდ ვცხოვრობ მაგრამ სცენაზე უფლისწული ვარ. ვცხოვრობ მისი სიცოცხლით ვიტანჯები და ვფიქრობ. ცრემლს ვაფრქვევ საწყალ ოფელიაზე და მიყვარს ისე, როგორც 40 ათას ძმას არ ძალუძს შეიყვარონ თავიანთი და“...

ასე ამბობს ა. ოსტროვსკის „ტყეს“ გმირი გენადი ნესჩასტლივცევი და თვალწინ წარმოგიდგება გიორგი არადელი-იშხნელი. გიორგი ხომ ცხოვრებაში ნამდვილი ნესჩასტლივცევი იყო. მისებრ უანგარო, ფაქიზი, ადამიანის მოყვარული, მაგრამ ამავე დროს უფრო ნიჭიერი და კულტურული. როგორც გენადის არ შეეძლო უთეატროდ ცხოვრება, ასევე გიორგის. უეჭველია ამიტომ უყვარდა ეს როლი გიორგის ასე, ამიტომაც,

ასახიერებდა ასე წარმტაცად გენადის. ეს უთქმელი ადამიანი თავის გულში მოწოლილ ბოღმას — გენადის სიტყვებში აწნავდა. ეს პროტესტანტი და ამბოხი სული თავის გულის ნადებს გენადის პირით გამოხატავდა.

გარემოებამ ჩამოაშორა გიორგი თავის საყვარელ თეატრს. მაგრამ მარტო გიორგი? იმ პერიოდში ქართველი აქტიორი ცხოვრების გერად იყო გამოცხადებული. სახელმწიფო თეატრში მას არ უშვებენ. ქართული კლუბის მამასახლისნი ალმაცერად უცქერიან მას.

თუ ზაფხულის პერიოდში დაბა-სოფლებში ეზოებში შეიძლება სპექტაკლების მოწყობა, ზამთარში ამის საშუალება არ არის.

სოფლებში გამართულ წარმოდგენების ისტორიამ ერთი ეპიზოდი გაგვახსენა. გიორგი არადელი-იშხნელი აპირებს იოსებ გედევანიშვილის „გამცემით“ დაბა-სოფლებში მოგზაურობას. წინათ თუ მაზრის უფროსის ნებართვა არ გექნებოდათ მამასახლისი ისე ნებას არ მოგცემდათ სპექტაკლი მოგეწყოთ. ამიტომ პროფესიონალ მსახიობს უნდა შეეტანა განცხადება მაზრის უფროსთან წარმოდგენის ნებართვის შესახებ. გიორგიმ ქართული თეატრის ერთ ახალგაზრდა მსახიობს დაავალა გორში ჩასვლა და ნებართვის მიღება. მსახიობი მაზრის უფროსის კანცელარიაშია. უთხრეს — საჭიროა განცხადების დაწერა. ოფლი სდის საწყალ მსახიობს, წერა არ ეხერხება, მაგრამ რა ქნას, ფულიც არ აქვს, რომ ტალანში ასასივით აყუდებულ განცხადებების მწერალს დააწერინოს თხოვნა. მოიმარჯვა კალამი და ასეთი თხოვნა დაწერა:

Горски Уездни начальник,
полковник Павлов Андро Павлович!
артист грузински труп....
Прашение

15 августа деревну руиси на небе играем пес Гедеванов Иосиб „Шпиона“

Артист грузински труп (подпись)
10 август
1916-ы

როცა ასეთი განცხადება წარვუდგინე კანცელარიის თანამშრომელს, მიამბობდა ეს მსახიობი, მაშინვე სიცილით შემიყვანა მაზრის უფროსის კაბინეტში და პოლკოვნიკს გადასცა. მაზრის უფროსის მოღუშული სახე შეიცვალა. მან ხარხარი დაიწყო და მითხრა:

На небе экзарх Грузии Иннокентий дает разрешение, а на земле я.“

ნებართვა მივიღე და გამარჯვებული წამოვედი.

ამ განცხადების ამბავი გახმაურდა მსახიობებში. სხვადასხვა ვარიანტებით უყვებოდნენ ერთმანეთს და გიორგიც, რომლის უწყინარი იუმორიც ყველასათვის ცნობილი იყო, ამ მსახიობს დასძახებდა ხოლმე —„Эй, небесный артист“.

და დაიწყო ქართველი გენადი ნესჩასტლივცევების და არკაშკა ნესჩასტლივცევების არსებობისათვის ბრძოლა, პატარ-პატარა პიესებით მოგზაურობა. შემოსავლის გასაძლიერებლად და ხალხის მისაზიდად პოპულარულ მსახიობებს იწვევდნენ და ამ მხრივ გიორგი არადელი-იშხნელი პირველობდა.

იანვრის სუსხიანი ზამთარია. გიორგი არადეთშია. თბილისიდან იღებს წერილს — 21 იანვარს გორში დანიშნულია ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, ანანიას როლი უნდა ითამაშოო. საუკეთესო მეგობრები სწერენ წერილს, უარს ხომ არ ეტყვის! ამასთანავე თვითონაც ეხალისება სცენაზე გამოსვლა და საყვარელი როლის განსახიერება.

21 იანვარს დილით არადეთიდან ქარელისაკენ წამოვიდა ფეხით გიორგი. ამ საბედისწერო დღეს ქარელთან მტკვარზე ბ ი-რანი არ მუშაობდა. როგორ გავიდეს მეორე ნაპირზე? გორში რომ არ ჩავიდეს, წარმოდგენა გადაიდება და ამხანაგები პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩებიან. დიდხანს არ უფიქრია. მასში ძველმა სპორტსმენმა გაიღვიძა, აქაც თავისი უცნაურო-

ბა გამოიჩინა. ბორნის მავთულს ორივე მკლავით ჩამოეკიდა და ჯამბაზივით გამოყვა. ნახევარი გზა არ ჰქონდა გავლილი, რომ მტკვარში ჩავარდა. როგორც იქნა ვაი-ვაგლახით ნაპირს გამოვიდა. გაწუწული ქარელის სადგურზე დიდხანს ელოდებოდა მატარებელს.

საღამრს 8 საათია.

გორის პატარა თეატრს აუარებელი ხალხი მოაწყდა. ა. სუმბათაშვილის „ღალატმა", პოპულარული მსახიობების მონაწილეობამ და რაც მთავარია გორელებისათვის მეტად საყვარელი გიორგი არადელი-იშხნელის სახელმა მიიზიდა ეს ხალხი.

გულისფანცქალით მოელიან მეორე მოქმედების დაწყებას და საყვარელი მსახიობის ანანიას როლში ხილვას. ანანიას გამოჩენას სცენაზე დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა.

გაისმა ანანიას ხმა, ყველასათვის ნაცნობი მომხიბლავი ხმა და მიეცნენ მსმენელნი ნეტარებას.

— ცხოვრების გზა გავლილ ბატონო და სიკვდილმა კი დამივწყა",— ღაღადებს ანანია და არავინ უწყის, რომ სიკვდილი თავს დასტრიალებს ამ სიტყვების წარმომთქმელს, ანანიას სახის უკვდავმყოფელს. დაეშვა ფარდა და მოსწყდა დარბაზს ერთსულოვანი ტაში. გიორგი კი კულისებში ზის სკამზე და სიცხისაგან გავარვარებულს არ ესმის რაც მის გარშემო ხდება. ძლივს-ძლივობით დამთავრდა სპექტაკლი და შეწუხებული გიორგი ამხანაგებმა მიიყვანეს ნათესავის ბინაზე. გორის მაშინდელი სცენისმოყვარეების სოფიო ბიბილურის და იაკობ ელიაშვილის გადმოცემით დასს „ღალატის" შემდეგ უნდა დაედგა ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა", მაგრამ სპექტაკლისათვის ვის ეცალა, გიორგი სიკვდილს ებრძოდა.

ატლეტური ჯანმრთელობის, კლდესავით მაგარი აგებულების გიორგის ასე უცბად მოწყვეტამ ყველა შეაწუხა. რა გულით უნდა დაბრუნდნენ თბილისს მისი საყვარელი მეგობრები, როცა გიორგი ასეთ მდგომარეობაში ეგულებათ? გორის

საუკეთესო ექიმები ფეხზე დააყენეს. სამწუხარო დიაგნოზი დასმულია — კრუპოზული ანთება. ვინ არ დასტრიალებს თავს გიორგის! საყვარელი მეუღლე ალექსანდრა, ნათესავნი, მახლობლები და მეგობრები.

ნუთუ ჩვენს თეატრს არწივის ფრთა უნდა მოსტყდეს? — გაუელვებს ხოლმე აზრი გიორგის სცენის პარტნიორებს.

მათ თეატრი არ აქვთ, საკუთარი კერა დაენგრათ, მაგრამ იქ, სადაც ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, გიორგი არადელიშხნელია, იქ თეატრია. პირველნი ხანდაზმულნი არიან და ისე ველარ ელვარებენ სცენაზე, როგორც წინათ, ხოლო უკანასკნელი იქ, გორში, ნათესავის სახლში, სარეცელზეა მიკრული და სიკვდილს ებრძვის. თეატრის საერთო კრიზისს გაუძლო გიორგიმ ისე, რომ არასოდეს ხელოვნების წმინდა დროშა ძირს არ დაუხრია, არ დახურდავებულა, ანთების კრიზისს კი ვერ გაუძლო და ავად გახდომიდან მეცხრე დღეზე, 1920 წლის 1 თებერვალს 38 წლის ვაჟკაცის მაჯისცემა შეწყდა....

ხავერდოვანი ხმა სამუდამოდ დადუმდა!

ალექსანდრას გულგამგმირავმა კვნესამ, ჩაფუფქული დედის ქვითინმა გიორგის გარდაცვალების ამბავი ამცნო ყველას. გორის მწუხრი დადგა. მათი საამაყო მსახიობი ასე უდროოდ მოსწყდა. მაგრამ მარტო გორი?

ქართული თეატრი გლოვობდა.

მის რაზმს ერთი უნიჭიერესი მსახიობი მოაკლდა.

ქართული თეატრის მსახიობთა კავშირმა სასწრაფოდ გამოჰყო დელეგაცია, რომელსაც დაევალა ცხედრის თბილისში გადმოსვენება. დელეგაციაში შედიოდნენ მსახიობები ტასო აბაშიძე, დუდე ძნელაძე და გოგია ფრონისპირელი. სამივენი გიორგის მეგობრები იყვნენ, მისი ნიჭით მოხიბლულნი. დელეგაციას გორში ჩასვლისას მოულოდნელი სურათი დახვდა. გორის რაიონის სოფლებიდან უამრავ გლეხობას მოეყარა თავი გიორგის ცხედართან და დასტიროდნენ. როდესაც დელე-

გაციის განზრასვა შეიტყეს — გიორგის თბილისში წასვენება. უნდათო, ერთხმად ალაპარაკდნენ გლეხები:

— ცოცხალი თქვენი იყო, მკვდარი მაინც დაგვანებეთ. არადეთს უნდა ესვენოს ჩვენი ღვიძლი, ჩვენი ძმა გიორგიო.

ისეთი კატეგორიული და ერთსულოვანი იყო ხალხის მოთხოვნა, რომ დელეგაცია იძულებული გახდა დათანხმებულიყო.

გიორგის გასვენება დანიშნული იყო 4 თებერვალს.

დილიდანვე სტიქიურად დაიძრა ხალხი ძვირფასი ცხედრის სანახავად. გორის ყველა სახლის აივანზე და ფანჯარაზე შავი დროშები გამოფენა ხალხმა. ყველა სავაჭრო, დუქანი და დაწესებულება დაიკეტა. მთავარი ქუჩა ხალხით იყო გაჭედილი. როცა კუბო ხიდს გასცდა და სადგურს უახლოვდებოდა, სამგლოვიარო პროცესიის ბოლო მთავარ ქუჩაზე იყო. სუსხსა და ქარბუქში ხალხი კუბოს ქუდმოხდილი მისდევდა. სადგურზე სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვას ამბობს მსახიობი დუდე ძნელაძე. გაისმის ჯერ ყრუ ქვითინი, თანდათან ძლიერდება მოთქმა-გოდება. ორატორს ენა აღარ ემორჩილება და ხალხის ქვითინს მისი ქვითინიც უერთდება.

5 თებერვალს არადეთის მიწაზე, იშხნელების საგვარეულო სასაფლაოზე მიიბარეს თავისი საყვარელი შვილი. მესაფლავეებს ბარითა და ნიჩბით საფლავის მიწით ამოვსება არ დასჭირებია. ზღვა ხალხი ერტყა სასაფლაოს. ქუდმოხდილი გლეხები მდუმარედ უახლოვდებოდნენ სამარეს, თითო მუჭა მიწას აყრიდნენ და საუკუნო ხსენებას უსურვებდნენ ვეგობარს და ძმადნაფიც გიორგის.

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1920 წლის 8 თებერვლის ნომერში მოთავსებულ ნეკროლოგში სვ. წერეთელი წერდა:

„ჩაქრა ვარსკვლავი ქართული დრამის.

გარდაიცვალა ქართული სცენის გამოჩენილი მსახიობი, გიორგი არადელი-იშხნელი.

ეროვნული ხელოვნების დიდი დანაკლისია.



გ. იშხნელის შვილები: ირაკლი და გიორგი

ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის გაქცევის შემდეგ, ქართული დრამა ამაყობდა მისი ღირსეული მემკვიდრე გიორგი არადელი-იშხნელის სახელით. მან შექმნა მთელი გუნდი ეროვნული ტიპების... მშვენიერი სასცენო ხმა, გასაკვირველი მიმიკა, გრძნობა, შეთვისებული სასცენო ტექნიკა — აი საუკეთესო მისი სამსახიობო თვისებანი... მას შეეძლო საკუთარი სკოლის შექმნა, მაგრამ სამარეში ჩასვლისას მან თან ჩაიტანა ქართული დრამის დიდება და დამწვარ ქართულ დრამატიულ თეატრის ნანგრევებზე აღმართა შავი სამგლოვიარო დროშა.

ამავე ნომერში მოთავსებულია ვრცელი წერილი, რომელიც ეხება გიორგი არადელი-იშხნელის, ამ სცენის ტიტანის პიროვნების ტრაგედიას.

ამავე ჟურნალის 4 ივნისის ნომერში დაბეჭდილია ზ. ზემოხანდაკელის ლექსი „გიორგი არადელ-იშხნელს". უანგარო გიორგი ამხანაგებს ძალიან უყვარდათ. უთეატროდ დარჩენილი მსახიობთა კავშირი სულს ღაფავდა. უმუშევარ ამხანაგებს შველა და დახმარება სჭირდებოდათ. მანეთიც მათთვის საგრძნობი თანხა იყო. მიუხედავად ასეთი გაჭირვებული მდგომარეობისა, მსახიობთა კავშირის ყველა წევრმა სიამოვნებით და კმაყოფილების გრძნობით ამოიკითხა „თეატრი და ცხოვრების" 1920 წლის 29 თებერვლის ნომერში მოთავსებული შემდეგი ცნობა: „მსახიობ გ. იშხნელის ბავშვების აღსაზრდელ ფონდის გასაძლიერებლად მსახიობთა კავშირმა გადასდო 10000 მანეთი".[1]

გიორგის საფლავს მზრუნველი ხელი არ აკლდა. არადეთელებს ახლაც კარგად ახსოვთ — თითქმის ყოველ ცისმარე დღეს, შებინდებისას ძვირფას სამარესთან მდგომი ძაძით შემოსილი ქალი. ალექსანდრა ზარით არ მოთქვამდა სამარესთან, თმებს არ იგლეჯდა და ღაწვებს არ იკაწრავდა, მდუმარედ დაყურებდა ძვირფას საფლავს და ჩურჩულით ამბობდა;

Родной, родной ты мой,
Сокол, сокол ты мой.

ამ ხმას დამწვარი დედა ბანს აძლევდა და ჩაფუფქული ამბობდა: შვილო გიორგი, შვილო გიორგი! გამვლელნი მათის ცოდვით იწოდნენ, მათთან ერთად ისინიც იფუფქებოდნენ.

მიწა კი ბრუნავდა და ცხოვრება წინ მიდიოდა. ოქტომბრის რევოლუციის მზის სხივები ჩვენს ქვეყანასაც მოეფინა. მა-

---

[1] მსახიობ გ. არადელ-იშხნელს ორი ბავშვი დარჩა ირაკლი და გიორგი ორივენი ინჟინერ-გეოლოგები არიან.

ნამდე გერად აღიარებული ქართველი აქტიორი სრულუფლებიან მოქალაქედ იქნა ცნობილი. თეატრის კარიბჭენი მშრომელთათვის ფართოდ გაიღო. ქართველი აქტიორი წელში გასწორდა. ამიერიდან მას აღარ უხდება ერთი თეატრიდან მეორეში ხეტიალი, დანა-ჩანგლების ჩხრიალში და მოვახშმეთა ხმაურში თამაშობა. ქართველ აქტიორებს საკუთარი თეატრები აქვთ, თავისი ბუდმივი მაყურებელი ჰყავთ. თუ უწინ მესხიშვილები და გიორგი იშხნელები თითებზე ჩამოსათვლელნი იყვნენ, ახლა წადით, წადით, ჩვენს თეატრში, ნახეთ ჩვენი ბსახიობნი, დასტკბით მათი თამაშით. მაგრამ არასოდეს არ დაივიწყოთ სცენის ის ტიტანები, რომელნიც უკუღმართმა დრომ უდროოდ დასცა, მათ ხომ პიარნათლად შეასრულეს თავიანთი ვალი ხალხის წინაშე.

ჩვენი თეატრის მკვლევარნი, მისი პირუთვნელი მემატიანენი, ქართული თეატრის ისტორიის წიგნში უდაოდ ჩასწერენ:

მხოლოდ 11 წელიწადს იყო სცენაზე. ასიათასი თვალი დაატკბო, მათი ყურთა სმენა მოხიბლა. დაუვიწყარი სახეები შექმნა, უდროოდ დაეცა, მაგრამ მაინც შესძლო რჩეულთა შორის საპატიო ადგილის დამკვიდრება.

მემატიანენი აღნიშნავენ რა ამ მსახიობის განელილ გზას, შთაუნერგავენ ახალგაზრდობას, რომ საჭიროა უფრო გაბედულად გადალახვა სიძნელეებისა, უფრო მეტი შრომა ხელოვნების მბრძანებელი მწვერვალების დასაპყრობად.

გიორგი არადელი-იშხნელის კარგს მივბაძოთ, უარყოფითი მხარე უკუვაგდოთ და მუდამ გამარჯვებულნი ვიქნებით.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲠᲐᲓᲔᲚᲘ-ᲘᲛᲬᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲚᲔᲑᲘ

(არასრული სია)
1901—1903 წლებში
თბილისის მეორე გიმნაზია

1. ა. ოსტროვსკი „ტყე“	ნესჩასტლივცევი
2. ნ. გოგოლი „რევიზორი“	ოსიპი
3. ნ. გოგოლი „შეშლილის წერილები“	პოპრიშჩინი

1906 წელი
ოდესა

4. ჟულავსკი „ეროს და ფსიქეა“	ეროსი

1908—1920 წლები

5. დ. ერისთავი „სამშობლო“	ლევან ხიმშიაშვილი
6. „ „	სიმონ ლიონიძე
7. „ „	შაჰი
8. „ „	ისრაფილ
9. ა. სუმბათაშვილი „ღალატი“	ოთარბეგი
10. „ „	სულეიმანი
11. „ „	ბესო
12. „ „	დათო
13. „ „	ანანია გლახა

14.	ა. ცაგარელი „მათიკო“	თომა
15.	„ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“	მოურავი
16,	„ „ხანუმა“	ტიმოთე
17.	ა. ჩეხოვი „ალუბლის ბაღი“ (გადაკეთებული „სალხინოს“ სახელწოდებით)	ლოპახინი
18.	ა. ჩეხოვი „შავი ბერი“ (ინსცენირებული ლ. ლ. ტოლსტოის მიერ)	შავი ბერი
19.	უ. შექსპირი „ოტელლო“	ლოდოვიკო
20.	„ „ვენეციელი ვაჭარი“	მაროკოს პრინცი
21.	„ „იულიოს კეისარი“	კასიოს
22.	„ „მეფე ლირი“	კენტი
23.	ფ. შილერი „ყაჩაღები“	შვეიცერი
24.	„ „	კარლ მოორი
25.	„ „დონ კარლოსი“	ალბა
26.	„ „მარიამ სტიუარტი“	ამიას პოლეტი
27.	ა. გრიბოედოვი „ვაი ჭკუისაგან“	პლატონ მახაილოვიჩ
28.	ა. ოსტროვსკი „ტყე“ (რუსულად)	გენადი ნესჩატლივცევი
29.	კ. გუცკოვი „ურიელ აკოსტა“	დე-სანტოს
30.	ლევ ტოლსტოი „წყვდიადის მეუფება“	მიტრიჩ
31.	„ „ცოცხალი ლეში“	მაშას მამა
32.	სოფოკლე „მეფე ოიდიპოსი“	ტირეზი
33.	„ „ანტიგონა“	კრეონი
34.	ჯიოკონდეტი „ივდითი“	ფლიაქიმი

35. ო. ერნსტი „პედაგოგები“ ფლაქსმანი
36. პ. ჰაუპტმანი „შლუკ და იაუ“ იაუ
37. „დაძირული ზარი“ ნიკელმან ნული მესი
38. „ „ „ ჰენრიხი
39. გ. ზუდერმანი „პატიოსნება“ ჰენიკლი
40. „ „ქვის მთლელნი“ მეტლინგ
41. „ქალის სამშობლო“ პოლკოვნიკი
42. ილია ჭავჭავაძე „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროის სცენები“ გლახა ჭრიაშვილი
43. ი. გედევანიშვილი „მსხვერპლი“ გიგო ტეტიაშვილი
44. „ „გამცემი“ შაქრო ჩვილიშვილი
45. „ „სინათლე“ სარდალი
46. ლ. ანდრეევი „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ ონუფრი
47. ი. გორდინი „საკლავი“ რაპოპორტი
48. აკაკი წერეთელი „პატარა კახი“ გელა
49. „ „ „თამარ ცბიერი“ გურული
50. ანრი კისტემეკერს „ინსტიქტი“ ერთ-ერთი გმირი
51. ბაიარი და ვარერბურხი „პარიზელი ბიჭი“ გენერალი
52. ანდრეი დე-ლორდი და პიერ შენი „ბავშვების კატორლა“ შარლ ლამარე
53. ჯერომ ჯერომ „მის გობს“ (ქალის ლოლიკა) მსახური ჩარლზ
54. ვ. ყიფიანი „სამეგრელოს მთავარი ლევან“ ეიორგი

55.	ვ. შალიკაშვილი	„გადაჭრილი მუხა“	გიგლა (მოურავი)
56.	„	„უნიადაგონი“	პავლე
57.	ნ. შიუკაშვილი	„ციცინათელა“	მაქსი
58.	„	„მთის ზღაპარი“	თუში ლეო
59.	„	„ „	ვეფხვა
60.	ვ. გუნია	„აღლუმი“	პეტრე რაინდაძე
61.	„	„ციხის საიდუმლოება“ (გადმოკეთებული ალ. სუმბათაშვილის „ძველი ნაწრთობიდან“)	მეომარი
62.	ს. ნაიდენოვი	„ვანიუშინის შვილები“ (გადმოკეთებული „ივერიეძის ოჯახად“ ვ. გუნიას მიერ)	მამა
63.	ბრიე	„სარწმუნოება“	ფარაონი
64.	ადოლფ შვაიერ	„ნიშანი ყოფაქცევაში“	ულერი
65.	ან. ბერნშტეინი	„ურიის სისხლი“	გუტლიბი
66.	კ. ანდრონის	„ჯადოსანი“ (გადმოკეთებული)	მეწისქვილე
67.	ა. ყაზბეგი	„არსენა“	არსენა
68.	ბორდო	„სოფლის აქიმი“	ბრუნე (აქიმი)
69.	ნეპოტი	„დედაკაცი და დედა“	ვილიარე
70.	ნ. აზიანი	„გაცრუებული იმედები“	გიგო

71.	გ. ერისთავი „დავა“	სასამართლოს შიკრიკი
72.	ნ. სობოლშიკოვ-სამარინი „ვიდრე ხვალ უფალო“ (ჰ. სენ-კევიჩის რომანიდან)	ნერონი
73.	„ „იუდას მემ-კვიდრე“	ფაონი
74.	ა. დუმა (შვილი) „მარგარიტა გოტიე“	ჟორჟ დიუვალი
75.	თ. დოსტოევსკი „დანაშაული და სასჯელი“ (ინსცენირება) დელფისა	რაზუმიხინი
76.	ნ. ლუხმანოვა „ნაპოლეონის სიკვდილი“	ჯარისკაცი
77.	ბარ „ნაპოლეონი და ჟოზეფინა“	მუსტაშ
78.	რიპშენი „ქალი და სიყვარული“	ერთ-ერთი გმირი
79.	ჰ. დეკურსელი „ორი ჯიბგირი“	მიულო
80.	ა. ცაგარელი „ბაიყუში“	რევაზ თავქარიანი

სახელთა საძიებელი

ა

ابباშიძე ვასო 18, 42. 43, 54, 69, 74, 96, 104, 108, 109. 121, 127, 129. 130
აბაშიძე ტასო 121
აბდუშელიშვილი ნიკო 35, 36
ადელგეიმები რობერტ და რაფაელი 19, 89, 90
აზიანი ნინო 151
ალექსიძე ალექსანდრე 114
ამირაჯიბი ცაცა 125
ანდრეევი ლეონიდე 39, 80. 91, 103, 150
ანდრონიკაშვილი ელო 116
ანდრონი კონ. (ანდრონიკაშვილი კოწო) 151
ანჯაფარიძე ვერიკო 125
არადელი გიორგი (იხ. იუხნელი)
არხანგელსკი მიხეილი 15
აქსაგარსკი 80
ახვლედიანი სოლომონი 138
ახოსპირელი ბეგლარი 124

ბ

ბაგროვი (ტოპორ) მიხეილი 39. 40,
ბაიარი 150
ბარ 152
ბარნაბიშვილი კიაზო 34
ბერნშტეინ ანრი 151
ბეთჰოვენი ლუდვიგ 32
ბელინსკი ბესარიონი 89, 96. 139
ბიბილური სოფიო 142
ბიზე ჟორჟ 70, 71
ბორისოვი ბორისი 81

ბორდო ანრი 79, 151
ბიმერგალი იოსები 14
ბრიე ეექენ 124, 126, 151
ბულგაკოვი თეოდორე 14

გ

გაბელაშვილი მიხეილი 135
გაბუნია ნატო 19, 48, 69, 74, 98
გალუსტოვი ნიკო 117
გამყრელიძე ვიქტორი 74, 108 109
გამყრელიძე ივანე 16, 17
გარიკ დავითი 75
გედევანიშვილი იოსები 73—76, 81, 91 99, 127, 137, 140, 150
გედევანიშვილი დავითი (ჩიქოვანი) 114
გელოვანი მიხეილი 103, 105, 125
გერცენი ალექსანდრე 65
გეხტმანი გიორგი 14,
გვარაძე ნიკო 38, 40, 55, 101, 103, 107, 132
გოგებაშვილი იაკობი 28
გოგოლი ნიკოლოზი 18, 30, 57, 96, 97, 148
გომელაური შაქრო 109, 135—137
გომელაური ლევანი 137
გორდინი იაკობი 150
გორკი მაქსიმ 74, 111, 112
გოცირიძე ნიკო 117, 118
გრიბოედოვი ალექსანდრე 96, 97, 149
გრიშაშვილი იოსები 125, 130
გუგუშვილი ალექსანდრე 133
გუნია ვალერიანი 51, 52, 55—57, 72, 85, 86, 99, 102, 103, 108 109 ,127, 151
გურამიშვილი დავითი 8, 20
გუცკოვი კარლი 58, 69, 149

დ

დადიანი შალვა 42, 98, 116
დავითაშვილი ნინო 38, 57, 74, 121, 137
დალსკი მამონტი 24, 49, 83, 86, 119
დარახველიძე (კრინიცკი) ალექსანდრე 63

დაფქვიაშვილი გიორგი 20, 22, 24, 26, 27, 31
დეკურსელი152
დელფი 152
დიდრო დენი 89
დიუმა ალექსანდრე (შვილი) 64, 152
დოლინოვი ანატოლი 28, 30, 31, 36—38, 46, 49, 54. 85
დელორდი ანდრე 150
დოსტოევსკი თედორე 64, 112, 152
დრბოგლავ ბორისი 16, 17
დუბროვინი ნიკოლოზი 23
დუვან-ტორცოვი 39

ᲔᲚ

ელიაშვილი იაკობი 142
ერისთავი გიორგი 19, 50, 87, 152
ერისთავი დავითი 42, 56, 99, 148
ერმოლოვა მარიამი 97, 98
ერნსტი 150

Ꮓ

ვაჟა-ფშაველა 53
ვარერბურხი 150

ᲖᲗ

ზავადსკი მიხეილი 17
ზარდალიშვილი იუზა 64, 109, 121, 125
ზედგინიძე ალექსი 26, 30
ზუდერმან გერმანე 25, 150
ზემოხანდაკელი 146
ზურაბიშვილი ილია 60

Ꮤ

თამამშევი 128
თარალაშვილი იოსები 121
თოიძე მოსე 42

Ꮡ

იავორსკაია ლიდია 80, 84, 113
იბსენ ჰენრიხ 25

ივანიძე სოსო 43, 54, 80
იმედაშვილი ალექსანდრე 54, 56, 58, 76, 78, 81, 82, 108, 109, 118, 120, 127, 131, 132
იმედაშვილი შალვა 18, 36
ინოკენტი 141
იორდანიშვილი გიგო 70, 71
ურევ იური 83, 119
იუშკევიჩი სიმონი 55
იშხნელი გიორგი 3, 6, 7, 10—36, 39, 40, 43—45, 49—57, 61—66, 68, 69, 71—76, 78—108, 110, 114, 117—123, 125, 127—148
იშხნელი ნიკო 5—10, 12, 14, 19—21, 30, 38
იშხნელი ნინო 5—8, 12, 13, 19, 20, 146
იშხნელი ანა 23
იშხნელი გიორგი 145
იშხნელი ირაკლი 145

კ

კაკაბაძე პოლიკარპე 48
კანტი იმანუილ 22
კარატიგინი ვასილი 89
კარგარეთელი კოტე 15
კისტემეკერს ანრი 150
კლენევსკი ვიქტორ 18
კნოტ ალიოზი 14,
კონი ანატოლი 25
კომისარჟევსკაია ვერა 25
კოსინსკი 31
კოსტავა ანდრო 26
კრამარენკო ბორის 14

ლ

ლაზარაშვილი ი. 113
ლიმონიძე (სვიმონიძე) არტო 114
ლენსკი ალექსანდრე 98
ლეონიდოვი ლეონიდე 55
ლოგინოვა ალექსანდრა 32, 33, 35, 136, 143, 146
ლოლაძე ნინო 27, 33, 39
ლოპატინსკი (მხატვარი) 42

ლოპატინსკი ლევ 17
ლუხმანოვა ნადია 152

მ

მარჯანიშვილი კოტე 39, 40, 71, 90, 112, 113
მაჩაბელი ზაალ 19
მაჩაბელი ირაკლი 114
მგალობლიშვილი ალექსანდრე 105
მერეჟკოვსკი დიმიტრი 112
მესხი კოტე 56, 60, 64—66, 107
მესხიშვილი ლადო 39, 42, 47, 49, 58, 60, 61, 69, 71, 78, 81, 83, 85, 98 99, 102, 103, 105, 107, 108, 117, 118, 122, 130, 131, 143, 145
მესხიშვილი შალვა 26, 27, 31, 33, 100
მესტიაშვილი სოლომონი 15, 16
მეღვინეთუხუცესი დიმიტრი 117
მოისი სანდრო 86
მოსკვინი ივანე 47
მოჩალოვი პავლე 89, 97, 106
მჟავია დიმიტრი 125
მურუსიძე ანდრო 135
მღვიმელი შიო 53, 54

ნ

ნაიდენოვი სერგეი 151
ნაპოლეონი 64
ნაჟუეპია ივანე 63
ნემიროვიჩ-დანჩენკო ვლადიმერ 41, 74, 112
ნერონი 137
ნიკულინი ვ. ი. 99
ნოვაკი ა. ო. 42

ო

ორბელიანი ელისაბედი 129
ორლოვ-ჩუეგინინი ი. ვ. 99
ორლენევ პავლე 25
ოსიპოვი ალექსანდრე 18
ოსტროვსკი ალექსანდრე 17, 18, 25, 87, 96, 97, 104, 105, 119, 139, 148 149

პ

პავლოვი ანდრეი 140
პარკაძე დათა 27, 29, 39
პევცოვი ილარიონ 80, 84
პეტიპა მარიუს 28
პროტოპოპოვი ვიქტორი 113
პურიშკევიჩი ვლადიმერი 23

ჟ

ჟელეზნოვი ვლადიმერ 28
ჟივიძე სოსო 68, 134
ჟულავსკი იური 33, 148

რ

რაზსოხინა 99
რაკუშანი ვაჩესლავი 16
რამიშვილი ტრიფონი 114, 127
რიმსკი-კორსაკოვი ნიკოლოზი 18
რიპშონი 152

ს

სადოვსკი პროვ 97
სადოვსკაია ოლლა 98
სალვინი ტომაზო 86
სარაული მიხეილი 121
სარდუ ვიქტორენ 64
სარჩმელიძე გიორგი 125
საფაროვი მარიამი 69, 74, 98, 116
საფაროვი შაქრო 52
სენკევიჩი ჰენრიხი 64, 131, 132, 136, 152
სვატოშ იაროსლავ 17
სვიმონიძე სვიმონი 131, 132
სიბირიაკოვი ა. ი. 33
სიმოვ ვ. ა. 74
სკოტაკ ალიოზ 14
სკრიბ ოგიუსტ 47
სლავინსკი ალექსანდრე 17
სობოლშჩიკოვი — სამარინი 64. 131, 152 -
ჭოლოვცოვი ნიკოლოზი 99

სოფოკლე 54, 58, 106, 149
სპასოვიჩი ვლადიმერი 25
სტანისლავსკი კონსტანტინე 41, 71, 93, 112
სტრინდბერგ ავგუსტ 24, 119
სულხანიშვილი ყარამანი 25
სუმბათაშვილი ალექსანდრე 36, 38—40, 46, 47, 49, 50, 86, 97, 98, 107 108, 110, 116, 141, 142, 148
სუმბათაშვილი 6
სურგუჩოვი ივანე 112
სუხოვო-კობილინი ალექსანდრე 47

ტ

ტატიშვილი იპოლიტე 11, 25
ტატიშვილი დათა 24, 25, 29, 129
ტოლმაჩოვი 39
ტოლსტოი ლევ 33, 79, 149
ტოლსტოი ლ. ლ. 149
უშინსკი კონსტანტინე 28

უ

ფავლენიშვილი კირილე 5
ფალიაშვილი ანტონი 15, 17, 18
ფალავა აკაკი 135
ფითოევი ისაი 41, 116
ფრონისპირელი (ყოფშიძე) გიორგი 121, 143

ქ

ქიაჩელი ლეო 127
ქილარჯიშვილი მარგალიტა 121, 135
ქიქოძე ანეტა 121, 125
ქორელი მიხეილ 42, 79, 81, 82, 88, 89, 92, 99, 131
ქუჩუკაშვილი ნიკო 18

ყ

ყაზბეგი ალექსანდრე 69, 151
ყალაბეგაშვილი სანდრო 56, 80
ყანჩელი სანდრო 42, 56, 59
ყიფიანი გიორგი 23, 25
ყიფიანი კოტე 108, 109
ყიფიანი ვასილი 150

ყიფშიძე ილია 15, 16, 22, 85
ყიფშიძე გიგა 15
ყიფშიძე ალექსანდრე (ფრონელი) 15

შ

შათირიშვილი კოტე 18, 19, 43
შალიკაშვილი ვალერიანი 42, 43, 52, 56, 71, 73, 74, 77, 98, 99 ,102, 15?
შარაშიძე შალვა 56
შვაიერ ადოლფ 72
შექსპირი უილიამ 31, 47, 55, 64. 74, 103, 106, 149
შილერ ფრიდრიხ 47, 55, 69, 97, 149
შიუკაშვილი ნიკო 92, 94, 127, 151
შოთაძე პაშა 121
შორშტეინი 90
შოპენი ფრედერიგ 32
შპაკოვ 31
შუშერინი იაკობი 54
შჩეპკინი მიხეილი 65, 97

ჩ

ჩარინი ალექსანდრე 80
ჩარკვიანი დათიკო 105, 133
ჩერქეზიშვილი ელისაბედი 117
ჩეხოვი ანტონი 53, 78. 91, 149
ჩხეიძე ნუცა 3, 56. 60. 63, 64, 75, 81, 82, 108, 128
ჩხეიძე უშანგი 47
ჩხიკვაძე ვარლამი 135

ც

ცაგარელი ავქსენტი 50, 69, 109, 152
ციციშვილი ნიკოლოზი 68, 105, 134
ციციშვილი ალექსანდრე 25

ძ

ძნელაძე დავით (დუდე) 143, 144

წ

წერეთელი აკაკი 41. 50, 53, 54, 58, 68, 150
წერეთელი სვიმონ 144

წინამძღვრიშვილი ნინო 135
წეწუნავა ალექსანდრე 76, 99, 121

ჭ

ჭავჭავაძე ილია 50, 60, 61, 150
ჭიაურელი მიხეილი 125

ხ

ხარლამოვი ალექსი 34
ხერასკოვი მიხეილი 14
ხოლინი ევგენი 10
ხოლინი ალექსანდრე 10
ხონელი (გოგოლაშვილი) შალვა 135

ჯ

ჯავახიშვილი ნატალია 121
ჯაფარიძე ივანე 29, 30
ჯერომ ჯერომ 150
ჯიოკომეტი 149
ჯიქია ვეჩე 125

ჰ

ჰაინე ჰენრიხ 75
ჰაჯიბეკოვი უზეირ აბდულ ჰუსეინ ოღლი 117
ჰაუპტმან ჰერგარტ 126, 136, 150

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. წინასიტყვაობა . . . 3
2. ბავშვობა და ყრმობა 5
3. სამზადისი . . 21
4. პირველი ნაბიჯი . . 41
5. გამარჯვების დასაწყისი 63
6. სცენიური მონაცემები . 83
7. ზიგზაგები . 96
8. ჩიხში . . . 111
9. კატასტროფა . . 124
10. დასასრული 139
11. გიორგი არდელი-იშხნელის მიერ შესრულებული როლები 148
12. სახელთა საძიებელი . 153

რედაქტორი ა. ადამია
მხატვარი ლ. გრიგოლია
ტექრედაქტორი თ. მამფორია
კორექტორი თ. ხვინტიძე

გადაეცა წარმოებას 8/IV-54წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VII-54 წ.
ანაწყობის ზომა 5,5×8,5, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა
რაოდენობა 10,25.

უე 05915. შეკვ. № 901. ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის
გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა მთავარ სამმართველოს
სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного Управления по делам полиграфической
промышленности, издательств и книжной торговли Министерства
Культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе, № 5.

შემჩნეული შეცდომა

52 გვ. ქვევიდან მე—2 სტრ. უნდა იკი-
თხებოდეს მე—3 სტრ. მე—3 სტრ.
კი მე—2 სტრ.